

609
1949



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქარის მევენახეობა-მელანიკონის სახლელი საღვარის

შ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

САКАРСКОЙ ОПЫТНОЙ СТАНЦИИ ВИНОГРАДАРСТВА И ВИНОДЕЛИЯ

ტომი | ТОМ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი

1949

ТБИЛИСИ



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქარის მევენახეობა-მელვინეობის სახელწი საღვარის
 შ რ თ ე ბ ი

Т Р У Д Ы

САКАРСКОЙ ОПЫТНОЙ СТАНЦИИ ВИНОГРАДАРСТВА И ВИНОДЕЛИЯ

ტომი I Том

5445



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
 ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

შინაარსი—СОДЕРЖАНИЕ

1. ი. დონჯაშვილი. იმერეთის მევენახეობის ძირითადი რაიონების ნიადაგები	5
И. Донджашвили. Почвы основных районов виноградарства Имеретии	36
2. თ. კვარაცხელია. ვაზის დატვირთვა დასავლეთ საქართველოს პირობებში	39
Ф. Кварацхелиа. Нагрузка виноградного куста в условиях Западной Грузии	57
3. ა. მიროტაძე. მასალები სუფრის ყურძნის საკითხისათვის დასავლეთ საქართველოში	89
А. Миротадзе. К вопросу подбора столовых сортов винограда в условиях Западной Грузии	99
4. ლ. ქოჩიაშვილი. ვაზის რიგთაშორისი დამუშავების მექანიზაციის შესახებ	101
Л. Кочиашвили. О механизации междурядной обработки в виноградниках	105
5. ა. ცერცვაძე. ქართული ვაზის ზოგი ჯიშის კულტურა საკუთარ ფესვებზე (დასავლეთ საქართველოში)	111
А. Церцвадзе. Культура некоторых сортов винограда на собственных корнях (в Западной Грузии)	144

ი. ღონეჯაშვილი

იმერეთის მშენებლობის ძირითადი რაიონების ნიადაგები

შ ე ს ა ვ ა ლ ი

აკად. ვ. ვილიამსმა საბჭოური ნიადაგმცოდნეობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, დაუდვა რა მას საფუძვლად მეცნიერული კვლევის ერთადერთი სწორი მეთოდი—დიალექტიკური მატერიალიზმი. ამ თვალსაზრისით მან დაამუშავა და წამოაყენა ნიადაგწარმოქმნის ერთიანი პროცესის თეორია.

აკად. ვ. ვილიამსმა მოგვცა ნიადაგის ნაყოფიერების ღრმა მეცნიერული განსაზღვრა. ის განიხილავს ნიადაგს როგორც ისეთ ბუნებრივ სხეულს, რომლის ძირითად ნიშანთვისებას წარმოადგენს ნაყოფიერება, ე. ი. თვისება მცენარეთა ზრდა-განვითარების უზრუნველყოფისა. ამის საფუძველზე მან მჭიდროდ დაუკავშირა ნიადაგმცოდნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, საფუძველი ჩაუყარა ნიადაგის აგროსაწარმოო თვალსაზრისით შესწავლას.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევები იმერეთის ძირითადი რაიონების ნიადაგების შესასწავლად მიზნად ისახავდა, პირველ ყოვლისა, მოგვეცა ამ მხარეში გავრცელებული ნიადაგების აგროსაწარმოო დახასიათება. ამისათვის ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა მათი ზოგიერთი, ამ თვალსაზრისით აუცილებელი, აგრონომიული თვისება: ჰუმუსის შემცველობა, ჰიგროსკოპული წყლის რაოდენობა, რეაქცია, ადვილად მოძრავი ფოსფორის რაოდენობა, კარბონატულობა (ნიადაგის სათანადო ტიპებში) და სხვა. შრომაში მოცემული ცნობები, რასაკვირველია, ოდნავადაც არ ამოწურავს შესწავლილი ტერიტორიის ნიადაგების აგროსაწარმოო დახასიათებას ვაზის კულტურის გავრცელების თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ მაინც მიზანშეწონილად დავინახეთ ამ შრომის გამოქვეყნება, რამდენადაც, ჩვენი აზრით, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზედაც მას შეუძლია ერთგვარი წვლილი შეიტანოს იმერეთის ნიადაგების ამ მხრივ დახასიათების საქმეში.

მუშაობა დასავლეთ საქართველოს მევენახეობის ძირითადი რაიონების ნიადაგების უფრო ღრმად შესწავლისათვის გრძელდება და უახლოეს დროში უნდა იქნეს დამთავრებული.

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები

ზემო იმერეთის გამოკვლეული ნაწილი აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ქართლ-იმერეთისა და აჭარა-იმერეთის ქედებითაა შემოფარგლული, ხოლო დასავლეთიდან ჯერ ქედით, რომელიც მეფისწყაროს მთის კვანძიდან მოდის, მერე მდ. რიონის შენაკადი—მდ. ფერეთათი და ბოლოს მდ. ჩოლაბურის შენაკადი ძვერულათი; ჩრდილოეთით მისი საზღვარი რაჭის ქედს მისდევს.

გამოკვლეულ ტერიტორიას სამივე მხრივ, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით, მოსაზღვრე ქედების თითქმის განუწყვეტელი სალტე არტყია, დასავლეთიდან კი იგი სრულიად ღიაა იმ ქარებისათვის, რომლებსაც შავი ზღვიდან ნალექების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოაქვს.

მოსაზღვრე ქედებს მდ. ყვირილისაკენ მთელ სიგრძეზე მრავალი შტო ჩამოსდევს; რის გამოც ეს ტერიტორია მთაგორიანია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მთის შტოები, ხეობები, ლარტაფები, ერთი სიტყვით, რელიეფის ყველა ელემენტი მდ. ყვირილას მიმართულებით დაბლდება და ამავე დროს მთელი ეს ნაწილი (როგორც მთლიანად იმერეთი), აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენა დაქანებული.

მთებისა და მათი შტოების კალთები აღმოსავლეთ ნაწილში ციცაბოა და ნიადაგის თხელი ფენა აქვს; დასავლეთ ნაწილს უფრო რბილი რელიეფი აქვს და ფერდობები ნაკლებადაა დაქანებული, მათ ხშირად გავაყვებული ადგილები ენაცვლება და მდინარენი და ნაკადულები ისეთ ღრმა და ფლატოვან ხეობებში არ მოედინება.

მთების შტოები (მათ მთელი ეს ტერიტორია უჭირავს) უპირატესად მერიდიანულადაა მიმართული და ამის გამო აქ მომეტებულად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ექსპოზიციის კალთები ჭარბობს. უფრო მთიანი სამხრეთი ნაწილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაჭიმულ ზოლს წარმოადგენს, რომელიც ჩრდილოეთით საგრძნობლად დაბლდება. ამ ზოლის ვადამკვეთი აჭარის ქედის შტოები, რომლებიც ზღვის დონედან 2400—2500 მეტრსა და მეტსაც აღწევს, უმთავრესად ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მისდევს. ისინი სულ ახლო-ახლოა მიწყობილი და მათ ვიწრო, ღრმა, ადგილ-ადგილ მიწათმოქმედებისათვის სრულიად გამოუსადეგარი ხეობები ყოფს.

ქართლ-იმერეთის ქედის სიმაღლე 1200—2000 მეტრამდეა; მისი ყველაზე უფრო დაბალი ნაწილი სურამის უღელტეხილთანაა და 1197 მეტრს აღწევს.

რაჭის ქედის სიმაღლე 1300—1800 მეტრია. მისი სამხრეთი კალთები ციცაბო და კლდოვანია. თეთრი კირქვის შევული კედლები სერს ათეული კილომეტრის მანძილზე გასდევს და ზოგან რამდენიმე სართულის სიმაღლე საფეხურებივითაა. რაჭის ქედის შტოები (რომლებსაც ამ ტერიტორიის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს), დასაწყისში თითქმის ასეთივე მკაცრია. მთავარ ქედთან მათი სერები კლდოვანი, ვიწრო და მიუვალია, ციცაბო კალთები კი ღრმა და ვიწრო ხეობებსა ქმნის. სამხრეთით თხემები განიერდება და ცოტად თუ ბევრად ფართო და დასამუშავებლად გამოსადეგ ზეგნებად იქ-

ცევა. დანარჩენი, უფრო დაბალი სერები თანდათან მდ. ყვირილას ხეობაზე გადმომდგარ ფართო ბორცვებსა ქმნის.

დაბლობები მხოლოდ სამიგანაა. ერთი ზესტაფონთან იწყება და მდ. ყვირილას ფართო ხეობას წარმოადგენს; იგი დასავლეთისკენაა ოდნავ დაქანებული და მდ. ყვირილასა და მდ. რიონის შესართავამდე თანდათან იშლება და 5—6 კილომეტრის სიგანეს აღწევს.

მეორე, მეტნაკლებად შესამჩნევი ხეობა, რომლითაც მდ. ყვირილას შენაკადი ჩოლაბური მოედინება, სოფ. ზოვრეთთან იწყება, სოფ. ღვანკითს ჩამოუვლის, ფართოდება და ყვირილას ხეობას უერთდება.

დასასრულ, მესამე დაბლობი მდ. ყვირილას ვიწრო ზოლად სოფ. საჩხერიდან სოფ. ჭალამდე მისდევს.

გეოლოგიური აგებულება

რელიეფის დასერილობის გამო ეს ტერიტორია გეოლოგიურად დიდი სხვადასხვაობით ხასიათდება.

მთის ქანები, რომელთაგანაც ნიადაგები წარმოდგება, შემდეგი თანამიმდევრობით მდებარეობს:

ალუვიური ნაფენები, რომლებიც რიყის ქვისა, კენჭებისა და ქვიშის თანამედროვე მდინარული ნალექებიდან და აგრეთვე მდინარეთაგან დანალექი წვრილმიწა მასალისაგან შედგება;

ძველი ტბა-მდინარეული ნალექები და ხევების გამოწინააღმდეგ, რომლებიც მდინარეთა ხეობების გასწვრივ ადგილ-ადგილ ტერასებადაა;

სარმატული იარუსის თიხოვანი და ნიჟარიანი კირქვები და თიხნარ-კირნარი ქვიშაქვები, რომლებიც მთელ გამოკვლეულ ნაწილში ცალკე უბნებადაა გაფანტული და მდ. ყვირილას ორივე ნაპირზე და მისი შენაკადი ჩხერიმელას მარცხენა ნაპირზე გვხვდება;

თიხიანი ქვიშაქვები, ტკილები, ფიქალოვანი თიხები და თიხა-ფიქლები, რომლებიც ფართო გაშიშვლებულ ზოლადაა რაიონის სამხრეთ ნაწილში; აჭარა-იმერეთის ქედი თავისი მრავალრიცხოვანი შტოებით მათგან შედგება;

შორეული, მკვრივი, ხშირად კაჟის განფენებიანი კირქვები, ტკილები და გლაუკონიტის ქვიშაქვები, რომლებიც ჩხერიმელას ორივე ნაპირზე, სოფლებს ხარაგოულსა და ამამუკეთს შუა გვხვდება და შემდეგ მდინარის აღმა, მის მარცხენა ნაპირზე ზოლად გრძელდება. ეს ზოლი მდინარეს ხან უახლოვდება, ხან შორდება და სურამის უღელტეხილთან თავდება;

კირქვები, რომლებიც მდ. ყვირილას შუა წელის ორივე ნაპირზეა გაშიშვლებული და მესამეული ნალექების ფუძეს წარმოადგენს;

თიხა-ფიქლები, ქვიშაქვები და კონგლომერატები, რომლებსაც უმნიშვნელო გაშიშვლება აქვს მდ. ჩხერიმელას ხეობის რამდენიმე ადგილას სად. მოლითსა და სად. წიფას შუა, სად. ხარაგოულთან და ქვეითაც, სად. ძირულასა და სად. ზესტაფონს შორის.

გაშიშვლებანი უფრო დიდ ადგილზეა მდ. ყვირილასა და მისი შენაკადების—ძირულას, ჯრუჭულას, ძუსასა და ბუჯას სათავეებში.

გრანიტების გაშიშვლებანი მდ. ძირულასა და მდ. ჩხერიმელას გაყოლებათაზეა. მდ. ძირულას მთელი აუზი მცირედი ნაწილის გამოკლებით და მდ. ყვირილას ხეობის კალთები სოფ. სანახშირედან ჭიათურამდე გრანიტისაგან შედგება. მათი გამონაზიდი მდ. ჩხერიმელას მარცხენა ნაპირზე მდ. ლედვანისწყალის შესართავსა და სოფ. მოლითს შორის ჩანს. მარჯვენა ნაპირზე ისინი სათავიდან სოფ. ცხერისციხემდე ვრცელდება.

ვულკანური წარმოშობის ქანები-მელაფირები და დიაბაზები, საკმაოდაა გავრცელებული მდ. ყვირილას სათავეებში (მიუდგომელ ადგილებში); ბაზალტები მდ. ჩხერიმელას, ძირულასა და ყვირილას გაყოლებათზე გვხვდება. მდ. ყვირილას სოფ. დილიკოფრიდან ზესტაფონამდე რქამატყუარიანი და ავგიტიანი პორფირიტის, დიაბაზისა და მელაფირის გაშიშვლებებს ვხედავთ. ანდეზიტები უმთავრესად მდინარე ხანისწყლის აუზშია გავრცელებული და, გარდა ამისა, მათი გაშიშვლებანი სოფ. ხრეთთანაცაა.

მცენარეულობა

გამოკვლეული ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყეებს უჭირავს. არამცთუ მარტო მაღალმთიანი ზონაა ტყით შემოსილი, არამედ ქვემო ზონაშიაც მიწის ყველა თავისუფალ ფართობს ტყე ეპატრონება.

ქვემო ზონაში ტყე ფოთლოვანი ჯიშებითაა წარმოდგენილი—მუხით, რცხილითა და სხვა, ზემო ზონაში კი წიფლის, წიფლნარ-წიწვნარი და ნაძვნარ-ფიჭვნარი ტყეებია. ქვემო ზონის ვერტიკალური გავრცელების მეტნაკლებობა დიდია და 400-დან 1300 მეტრამდე მერყეობს ზღვის დონედან; მისი ტყეები კულტურულ ზონას ემთხვევა და თითქმის ყველა სოფელი მუხნარ-რცხილნარი ტყეების ზოლშია.

ქვემო ზონაში, მუხისა და რცხილის გარდა, წიფელი, მურყანი, თელა და ნეკერჩხალიც გვხვდება (ლიანებიდან გავრცელებულია ღვედკეცა, სურო, კატაბარდა, ქატვი და სხვა).

წიფლნარის მეორე ზონა გამოკვლეულ რაიონს სამი მხრიდან—ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით—თითქმის განუწყვეტელ ზოლად არტყია. იგი ჩვეულებრივ ზღვის დონედან 900 მეტრზე ცოტა მაღლა იწყება და ან წიწვნარად გადადის, ან ტყის ზედა საზღვრამდე აღწევს.

უფრო მშრალ ადგილებში წიფლისა და წაბლის გარდა აქ მუხა და რცხილაც არის. წიფლნარების ქვეტყეში გავრცელებულია ყოლო, მოცვი, ძახველი და მარადმწვანე ბუჩქები—წყავი, ბზა, შქერი და სხვ.

ზღვის დონედან დაახლოებით 1500 მეტრის სიმაღლეზე ნაძვნარ-სოჭვნარი ტყეები იწყება; ეს ტყეები ქვეალბურ ტყემდე აღწევს, რომელიც ხეობებში 1300 მეტრამდე ჩამოდის.

ქვეტყეს, რომელიც ჩვეულებრივ მეტად თხელია, ძირითადად იგივე მცენარენი შეადგენენ, რაც წიფლნარებში.

ჰ ა ვ ა

საერთო გეოგრაფიულ პირობათა გარდა (სიმაღლე ზღვის დონიდან და სხვა) იმერეთის ჰავაზე დიდ გავლენას რელიეფი ახდენს.

ჰავის თვალსაზრისით გამოკვლეული ტერიტორია ვერტიკალურად შემდეგ სამ ზონად შეიძლება გავყოთ:

1. დაბლობი ზონა, რომელსაც მდ. ყვირილასა და მდ. ძირულას ხეობები უჭირავს;

2. დაბალმთიანი ზონა, რომელსაც ბორცვები და გარშემორტყმული ქედების კალთები უჭირავს; იგი ზღვის დონიდან 700—800 მეტრის სიმაღლემდე აღწევს;

3. მაღალმთიანი ზონა, რომელსაც რაიონის დანარჩენი ნაწილი ეკუთვნის. დაბლობ ზონაში თბილი, მოჭარბებით ტენიანი ჰავაა, რომელსაც სისტემატური აცივება ახასიათებს. ჰაერის ტემპერატურა ზამთრობით, როგორც ამას მრავალწლიური საშუალო მოწმობს, 0°-მდე და ზოგჯერ ბევრად ქვეითაც, 6—8°-მდე, ჩამოდის; ზოგ წელიწადს ტემპერატურის მინიმუმი—16—17°-საც აღწევს. ზაფხული ცხელი იცის. ჰაერი ზაფხულში მეტისმეტად ტენიანია, ოღონდ როდესაც ჰაერის მასები ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოიჭრება, ჰაერი ცხელი და მშრალი ხდება.

მთის ქვემო ზონაში ზომიერად თბილი, მოჭარბებით ტენიანი ჰავაა; მას ზამთრობით უფრო მკვეთრი აცივება და მთის ქარების მეტი გავლენა ახასიათებს.

მაღალმთიანი ზონის ქვემო ნაწილი ზომიერად ცივი, მოჭარბებით ტენიანი ჰავის ზონაში გადადის, სადაც ხანგრძლივი ზამთარია და ხუთ თვემდე დიდი თოვლის საფარი იცის.

იმერეთის ნიადაგური საფარი

ს ა ე რ თ ო შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

გამოკვლეული ტერიტორიის რელიეფის ხასიათსა და მთის ქანების შემადგენლობას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ნიადაგების ქიმიურ შემადგენლობასა და ფიზიკურ თვისებებზე.

აქ, როგორც საერთოდ მთის პირობებში, რელიეფი ნიადაგწარმოქმნის ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორთაგანია. ამ გარემოებას ნიადაგური საფარის შესაფერისი სხვადასხვაობა უნდა გამოეწვიოს, რადგან მთის რელიეფი სხვა პირობებთან ერთად განსაზღვრავს ნიადაგების ხირხატიანობას, ნიადაგის სისქეს, მექანიკურ შედგენილობას და ნიადაგური საფარის დიდ სიჭრელეს ან კომპლექსობას იწვევს.

მთის ნიადაგების ხასიათი მათ ქიმიურსა და მექანიკურ შედგენილობაზე მკვეთრ გავლენას ახდენს.

სინამდვილეში ეს სხვადასხვაობა იმდენად დიდია, სხვადასხვა ტიპის ნიადაგები ერთმანეთს ისე მალ-მალე ცვლის და თითოეულ მათგანს ისეთი მცირე

ფართობი უჭირავს, რომ მათი დაწვრილებით დანაწილება და დახასიათება მეტად ძნელდება.

იმერეთის გამოკვლეული ტერიტორიის ძირითადი ნიადაგები მთაბრუნის ნიადაგებია; ისინი წარმოდგენილია ერთმანეთის შემცვლელი ზონებით, როგორცაა მთამდელის ნიადაგების ზონა მაღალმთიან არეში, მთაბრუნის ნიადაგების ზონა შუა და ქვემო მთის სარტყელში და აგრეთვე იქ, სადაც რელიეფი და დაბლბულებულია და, ბოლოს— ბარის პირობებში— ეწერი და ალუვიური ნიადაგები.

ნიადაგური საფარის განაწილებას ერთნაირი კანონზომიერება ემჩნევა, რომელიც რელიეფზე, ჰავაზე, მცენარეულობასა და მთის ქანებზეა დამოკიდებული. გარშემო მდებარე მაღლობებიდან მოყოლებული, რელიეფის და დაბლბულებულ ნაწილებამდე, შეიძლება ვერტიკალური ზონალობაც დავადგინოთ და იმ ცვლილებებსაც გავადგინოთ თვალი, რომლებსაც ნიადაგური საფარი ნიადაგის წარმოქმნელების შეცვლის შესაბამისად განიცდის.

გამოკვლევის შედეგად შეიძლება შემდეგი ნიადაგური ზონები დაისახოს:

1. მთამდელის ნიადაგების ზონა,

2. მთაბრუნის ნიადაგების ზონა:

ა) ტყის ზემო სარტყლისა,

ბ) ტყის ქვემო სარტყლისა.

3. ეწერი და ალუვიური ნიადაგების ზონა.

მთამდელის ნიადაგების ზონას მცირე გავრცელება აქვს და აჭარა-იმერეთის ქედის თხემები უჭირავს. იგი ამ ქედს ლომის მთიდან დასავლეთისაკენ ვიწრო და გრძელ ზოლად მისდევს. პატარა უბნებად ეს ნიადაგები შქმერის უღელტეხილის დასავლეთითაცაა.

მთამდელის ნიადაგების რელიეფი ტალღისებრია და ბორცვები და ქედები თანაბარი, მშვიდი მოხაზულობისაა; აქაური ალპური ველები საძოვრებადაა გამოყენებული.

ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან გამოკვლეულ ტერიტორიას მთაბრუნის ნიადაგების ზონა აქვს შემოვლებული. ამ ზონის ზემო ნაწილს მაიაკოვსკის რაიონის დასავლეთ მხარეში საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს, შემდეგ თანდათან ვიწროვდება და სურამის უღელტეხილთან თავდება. გამოკვლეული ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეში ფართობის დიდი ნაწილი მთაბრუნის ნიადაგებს უჭირავს და სამხრეთ ოსეთის საზღვრებიდან ჩრდილოეთით რაჭის ქედისკენ მისდევს, სადაც სოფლები ქვიშორი, ჯრუჭი და უზუნთაა; ეს ნიადაგები მთა საწალიკესთან თავდება.

თუ მთაბრუნის ნიადაგების ზონაში ტყიან კალთებზე მოგვხვდებით, ჯერ მუქი ჰუმუსიანი ნიადაგები შეგვხვდება, მერე უფრო ღია ფერისა— მუქი ყომრალი; უფრო ქვემოთ კი ბაცი, ჰუმუსის ნაკლებად შემცველი ნიადაგები ჭარბობს.

ამრიგად, შეიძლება ნიადაგების შემდეგი შენაცვლება აღვნიშნოთ: ზემო ნაწილში ტყის ნაცრისფერი ნიადაგებია, მათ შემდეგ— მუქი მონაცრისფერო და ბოლოს, ზონის ქვემო ნაწილში— სუსტი ეწერი ნიადაგები.

მთაბრუნის ზონის ქვემო ნაწილს ირგვლივ მდებარე მთების შტოებისა და მთისძირა შებორცვებთან ფართო ზოლი უკავია. ზონის ამ ნაწილის ნიადაგებს

გამოკვლევულ ტერიტორიაზე დიდი გავრცელება აქვს და შემდეგი ადგილები უჭირავს: სამხრეთ ნაწილში—მდ. ფერეთასა და ქორისწყლის შუა და ზემო წელი, შემდეგ კი მდ. ხანისწყლის შენაკადთა—საკრეულასა და ლაიშურას წყალგამყოფი ქედი, ხოლო აღმოსავლეთისაკენ—მდ. ყვირილას, ძირულასა და ჩხერიმელას მცირე შენაკადების სათავეები, სადაც მათი ფართობი თანდათან ვიწროვდება და სურამის უღელტეხილთან თავდება კიდევ; აღმოსავლეთ ნაწილში მათ უკავიათ მთელი ფართობი: მდ. ჩხერიმელას ჩრდილოეთით მთლიანად, მდ. ძირულას მთელი აუზი მცირეოდენი გამონაკლისით და მდ. ყვირილას ხეობის კალთები; ჩრდილოეთ ნაწილში—მდ. ჩორათისწყლის, ჩიხურასა და ჯრუჭულას ქვემო და შუა წელი და მდ. ბუჯასა და ძუსას სათავეები.

მთაყის ზონის ქვემო სარტყლის თითქმის ყველა ნიადაგი მცირე სისქის ხირხატიან ნიადაგებს უნდა მიეკუთნოს, რომლებშიაც ხირხატიანობა სიღრმით მატულობს. მათ შორის მომეტებულად მთაყის გაეწრებული ნიადაგებია გავრცელებული.

მთაყის ნიადაგების ზონასეუ ეკუთვნის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ტერიტორიას ჩრდილოეთი ნაწილის ყველაზე უფრო დასახლებულ ადგილებში, მდინარე ძუსას შუა წელზე, დიდ მასივს წარმოადგენს; ეს ნიადაგები აღმოსავლეთით ზევითა და ზევით იწვევს და საჩხერესთან თავდება. მათი ზოლი თითქმის სურამის გვირაბთან იწყება, ადგილადგილ განივრდება, მდ. ჩხერიმელას ორივე ნაპირს მისდევს და სოფ. სვირთან თავდება.

ამ ნიადაგებს ქვემოდან ჩვეულებრივ კირნარი ქვიშაქვები, ნიჟარიანი კირქვები და კარბონატული თიხები უფენია.

ნიადაგი ჩვეულებრივ რუხი ან ღია რუხი ფერისაა, მარცვლოვან-გორი-ხოვანი სტრუქტურის და კირნარი ქანების ნატეხებს მრავლად შეიცავს.

მათ შორის მომეტებულად ნეშომპალა-კარბონატული და მთაყის კარბონატული ნიადაგებია, რომლებსაც მასივის დიდი ნაწილი უჭირავს. ნეშომპალა-კარბონატულებს შორის ცალკეულ დიდ უბნებად გამოტუტვილი, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებია; ისინი დიდი სისქითა და კარბონატების მცირედი შემცველობით ხასიათდება.

დაბლობის ეწერი და ალუვიური ნიადაგების ზონას შედარებით მცირე ფართობი უჭირავს. ისინი ზესტაფონის დასავლეთით, ყვირილას ორივე ნაპირზე და სოფ. საჩხერიდან სოფ. ჭალამდე ვიწრო ზოლად გვხვდება. მდ. ყვირილას ვაკეობაზე ადგილ-ადგილ ვიწრო ზოლებად ალუვიური თიხნარი ნიადაგები იჭრება; მათ გაეწრებული ალუვიური ნიადაგების ზოლი ცვლის, რომელიც ზევით, მდ. ხანისწყლის მეორე ტერასაზე სუსტ ეწერ, ძლიერ ხირხატიან ნიადაგებს ცვლის.

ფართო ძველ ტერასაზე ეწერი ნიადაგებია განვითარებული, რომლებიც ბორცვების ზოლის პირამდე აღწევს.

ამ ნიადაგებს შორის ძლიერი, საშუალო და უფრო იშვიათად სუსტი ეწერი სახესხვაობანი გამოირჩევა; მათი მექანიკური შედგენილობა ძირითადად თიხნარია, ხოლო ქვემო ფენებში მძიმე თიხაა.

ალუფიურ ნიადაგებში უკარბონატო სახესხვაობანი კარბობს, რომლებსაც მდ. ყვირილასა და ჩოლაბურის ქვემო ტერასაზე ადგილ-ადგილ ფართო ზოლი უკავია.

გამოკვლეული ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ძირულასა და მისი შენაკადის ღუმალას ხეობის თავზე საკმაოდ დიდ მასივად თავისებური შედგენილობისა და თვისებების წითელი ფერის ნიადაგებია, რომლებიც სუსტადაა განვითარებული და მცირე სისქითა და დიდი ხირხატიანობით ხასიათდება.

ნიადაგური საფარის აღწერას ჩვენ ცალკეულ ნიადაგურსხვაობათა დახასიათებას დაეძენთ, რომელშიაც მათ შედგენილობას, გეოგრაფიულ გავრცელებასა და ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს შევეხებით.

ი მ მ რ ე თ ი ს ნ ი ა დ ა გ ე ბ ი ს კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა

I. მთამდელოს ნიადაგები:

1. მცირე სისქის ხირხატიანი, კორდიანი მთამდელოს ნიადაგები;
2. დიდი სისქის კორდიანი მთამდელოს ნიადაგები.

II. მთაყვის ნიადაგები:

ა) ტყის ზემო სარტყლის (მთაყვის) ნიადაგები:

3. დიდი სისქის გაეწრებული ყომრალი ნიადაგები, წიწვნარების ქვეშ;
4. მუქი ყომრალი ნიადაგები, ფოთლოვანი (წიფლნარი) ტყეების ქვეშ.

ბ) ტყის ქვემო სარტყლის (მთაყვის) ნიადაგები:

5. სუსტად განვითარებული, მცირე სისქის ხირხატიანი ყომრალი ნიადაგები, უმთავრესად ფოთლოვანი ტყეების ქვეშ;
6. სუსტად გაეწრებული ყომრალი ნიადაგები, უმთავრესად ფოთლოვანი ტყეების ქვეშ;
7. სუსტად გაეწრებული ქვიშნარი ყომრალი ნიადაგები, ჯაგნარების ქვეშ;
8. წითელი ფერის მცირე სისქის ხირხატიანი ყომრალი ნიადაგები.

გ) ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები:

9. მცირე სისქის ხირხატიანი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები კირქვებზე;
10. გამოტუტვილი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები;
11. თიხიანი, ადგილ-ადგილ მცირე სისქის ხირხატიანი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები;
12. კირქვებზე განვითარებული გამოტუტვილი ნეშომპალა-კარბონატული თიხანიადგები.

III. დაბლობის ეწერი და ალუფიური ნიადაგები:

ა) ეწერი ნიადაგები:

13. მძიმე თიხნარი და თიხიანი ეწერი ნიადაგები, მდინარეების ძველ ტერასებზე;
14. სუსტი ეწერი, ძლიერ ხირხატიანი ნიადაგები, მდინარეების ძველ ტერასებზე.

ბ) ალუვიური ნიადაგები:

15. სუსტად გაეწრებული თიხნარი ალუვიური ნიადაგები;
16. ალუვიური თიხნარი ნიადაგები რიყის ნაფენზე;
17. ალუვიური თიხნარი კარბონატული ნიადაგები.

I. მთამდლოს ნიადაგების ზონა

1. მთამდლოს კორდიანი მცირე სისქის, ხირხატიანი ნიადაგები

ეს ნიადაგები, როგორც აღინიშნა, ნაკლებად არის გავრცელებული.

მათი ზოლი დაახლოებით 2000-დან 2500 მეტრის სიმაღლემდე მდებარეობს, მაგრამ ზოგან უფრო მაღალ ადგილებსაც აღწევს, როგორცაა, მაგალითად, დიდი ლაბოროთი (2728 მ), მთაგრეხილი საირმე (2714 მ), მეფისწყარო (2842 მ), ლამაზი მთა (2776 მ) და სხვა.

გამოკვლევული ტერიტორიის შიგნით 2000 მეტრის სიმაღლის ერთი მთაც არ არის.

რელიეფი ტალღისებრია და ბორცვებისა და ქედების მოხაზულობა ერთობ რბილია; აქა-იქ კლდოვანი მწვერვალებია. ამ მწვერვალებზე ლაქებად მხოლოდ მეტად ხირხატიანი, მცირე სისქის ნიადაგებია, რომლებიც დავაკებულ კალთებად საერთო რელიეფს უერთდება. აქ მრავალი განიერი და ღრმა ხევი და დელეა, რაც რელიეფის დასერილობას იწვევს.

ნიადაგურ საფარს აქ მხოლოდ ლაქებად დადაბლებულ ადგილებსა და ბაქან-საფეხურებზე ვხვდებით და ისიც განსაკუთრებით აჭარა-იმერეთისა და რაჭის ქედებზე.

ადგილის უსწორმასწორობა დიდ გავლენას ახდენს ნიადაგური საფარის სისქესა და ხირხატიანობაზე. ზოგან მისი სიღრმე 35—40 სმ არ აღემატება.


მორფოლოგიურად ეს ნიადაგები ჰორიზონტების მურა და ყავის ფერით, მკვრივი აგებულებით, ზედა ჰორიზონტის კორდიანობით, ქვედა ფენების ხირხატიანობითა და მცირე სისქით ხასიათდება.

ნიადაგის მექანიკური შედგენილობა საკმაოდ ერთგვარია და ღრმა ჰორიზონტებში დიდ ხირხატიანობას იჩენს; წვრილმიწის შედგენილობა მთელ ჭრილში თითქმის ერთნაირია და თიხნარებს უახლოვდება.

ცხრილი 1

მექანიკური ანალიზი საბანიის მეთოდით (აბს. მშრ. ნიადაგის %-ებად)

მდებარეობა	ქრილის №	სიღრმე სმ	მექანიკური ფრაქციები მმ-ით			
			1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01
მოლობილას ქედიდან სამ-ზრეთ - დასავლეთისაკენ 1,5 კილომეტრის დაშორებით	19	0—8	7,20	39,30	31,00	22,50
		14—22	14,84	85,44	25,01	24,71
		25—33	14,92	36,65	22,80	25,63
ზეკარის უღელტეხილი	65	2—8	9,91	40,44	20,00	29,65
		20—28	10,85	45,31	18,21	25,63
რკინისჯვრის ქედიდან სამ-ზრეთ-დასავლეთისაკენ 3 კილომეტრის დაშორებით	80	0—8	6,95	38,56	29,15	25,34
		18—26	15,20	37,59	21,04	26,17
		34—44	6,71	34,98	19,63	28,68



ყურადღებას იქცევს ჰუმუსის დიდი შემცველობა და პროფილში მისი საკმაოდ თანაბარი განაწილება.

ცხრილი 2

შემაღგენელი ნაწილების ანალიზი (100 გრ. აბს. მშრ. ნიადაგში)

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	კრილის №	სიღრმე სმ.	ჰიგროსკოპული წყალი	ჰუმუსი	P ₂ O ₅ კირსანოვით	pH წყლით გამონაწურში
მოდობილის ქედიდან სამ-ბრეთ-დასავლეთისაკენ 1,5 კილომეტრის დაწორებით	19	0—8	6,02	9,72	7,50	5,9
		14—22	5,11	7,85	8,75	5,3
		25—33	4,23	6,82	8,75	5,5
ზეკარის უღელტეხილი	65	0—8	4,99	4,38	10,00	6,0
		20—28	3,24	1,39	10,00	5,6
რკინისჯვრის ქედიდან სამ-ბრეთ-თასავლეთისაკენ 3 კილომეტრის დაშორებით	80	0—8	5,07	6,14	2,50	6,0
		18—26	4,62	4,92	1,56	5,5
		34—44	3,55	1,89	7,50	5,7

მიუხედავად იმისა, რომ ჰუმუსის შემცველობა პროფილის ზემო ნაწილში 10⁰/₀-მდეა, ნიადაგი მაინც რუხი მურა ფერისაა, რაც, ადვილი შესაძლებელია, დაკავშირებულია ჰუმუსის შედგენილობასთან, რომელიც მცენარეული საფარის ხასიათით განისაზღვრება.

შესათვისებელი ფოსფორმჟავა ცალკეულ კრილებში ძალიან მერყეობს და 100 გრ. ნიადაგში 10 მგ. არ აღემატება; მეტნაწილად მისი მაჩვენებელი 7—8 მგ-ია. მჟავიანობა დიდად არ იცვლება; ზედა ჰორიზონტები pH 6,0-ზე მეტი არაა, ხოლო პროფილის ქვემო ფენები რამოდენიმედ მეტი მჟავიანობით ხასიათდება.

2. მთამდელოს კორდიანი დიდი სისქის ნიადაგები

რბილი რელიეფის პირობებში, მცირე დაქანების კალთებზე, დადაბლებულ ადგილებსა და ბაქან-საფეხურებზე მეტი სისქის, წვრილმიწა და ამ სიმაღლისათვის დამახასიათებელი ნიადაგები ვითარდება.

ამ ნიადაგების ერთი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თვისება მათ არაკარბონატობაში მდგომარეობს; ამის გამო, ჰუმუსის ნაწილობრივი გამორეცხვის შედეგად, ნიადაგის მთელი ფენა თანაბრად იფერება და განსხვავება ცალკე ჰორიზონტებს შორის მცირდება.

მორფოლოგიური ნიშნებიდან აღსანიშნავია: ზედა ჰორიზონტების რუხი-მურა, უფრო ღრმა ფენების კი ჩალისფერ-მურა ფერი; სისქე საკმაოდ დიდია და საშუალოდ 1 მ აღემატება, ხოლო რელიეფის მიხედვით დიდად იცვლება; ზედა ფენა დაკორდებულია, ღრმა ფენები—მცირედ ხირხატიანი.

მთამდელოს ნიადაგების ზოლში ჰავა დიდად იცვლება, რაც სიმაღლისა და ფერდობების ექსპოზიციის სხვადასხვაობით აიხსნება.

მთამდელოს დიდი სისქის ნიადაგები მექანიკური შედგენილობის მხრივ სიჭრელით არ ხასიათდება და მსუბუქ თიხნარებს ეკუთვნის.



ცხრილი 3

მექანიკური ანალიზი საბანინის მეთოდით (აბს. მშრ. ნიადაგის %-ებად)

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ.	მექანიკური ფრაქციები მმ			
			1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01
დიდმაღალას ქედიდან ჩრდილოეთისაკენ 2 კილომეტრის დაშორებით	18	0—8	15,46	46,30	18,42	19,82
		20—28	6,67	49,25	16,95	27,13
		41—49	9,25	58,75	13,85	18,15
		63—71	13,22	51,25	13,89	21,64
		90—98	16,19	50,98	13,27	19,56
სოფ. შქმერიდან სამხრეთისაკენ 2,5 კილომეტრის დაშორებით	303	0—8	21,24	31,23	32,55	14,98
		21—29	16,03	30,48	24,60	28,89
		40—48	18,47	23,22	22,95	35,36
		71—79	22,26	27,34	17,87	34,53

მექანიკური შედგენილობის განხილვა ფიზიკური თიხის მცირედ შემცველობასა და მსხვილი ქვიშიან-მტვრიანი ფრაქციების საკმაოდ დიდ რაოდენობას გვიჩვენებს, რაც ალბათ ქვეშე ფენილი ქანის შედგენილობასა და მისი გამოფიტვის პროდუქტებზეა დამოკიდებული.

ამ ნიადაგების სახესხვაობანი, რომლებიც უმთავრესად ქვიშაქვის გამოფიტვის ქერქზეა წარმოქმნილი, უფრო ხშირად მსუბუქი თიხნარი შემადგენლობითა და დადებითი ფიზიკური თვისებებით ხასიათდება.

ანალიზმა ორივე ქვემოთყვანილ ჭრილში ჰუმუსის დიდი შემცველობა აღმოაჩინა, რომელიც სიღრმით თანდათან კლებულობს და პროფილში 9,98-დან 1,60%-ამდე იცვლება.

ჰუმუსის შედარებით დიდი რაოდენობა ნიადაგის ქვედა ჰორიზონტებში, მის ღრმა ფენებში ჩარეცხვას უნდა მიეწეროს.

ცხრილი 4

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	ჰიგროსკოპული წყალი	ჰუმუსი	P ₂ O ₅ კირსანოვით	pH წყლით გამონაწურში
დიდმაღალას ქედიდან ჩრდილოეთისაკენ 2 კილომეტრის დაშორებით	18	0—8	5,82	9,98	5,00	5,5
		20—28	4,04	6,33	5,00	5,6
		41—49	3,72	3,98	5,00	5,5
		63—71	3,89	1,16	5,00	5,8
		90—98	3,02	0,99	—	—
სოფ. შქმერიდან სამხრეთისაკენ 2,5 კილომეტრის დაშორებით	303	0—8	8,03	6,21	ნიშნ.	5,8
		21—29	8,10	3,46	0	5,6
		40—48	7,55	2,08	0	5,8
		71—79	7,32	1,60	0	5,9

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, შესათვისებელი ფოსფორმჟავა თითქმის სრულიად არ არის; იგი მცირედი რაოდენობით № 18 ჭრილში გვხვდება და აქ მთელ სიღრმეზე 100 გრ. ნიადაგზე 5,0 მგ. შეადგენს.

II. მთაბჟის ნიადაგების ზონა

ა) ტყეების ზედა ზოლის ნიადაგები

 3. დიდი სისქის გაეწრებული ყომრალი ნიადაგები,
 წიწვნარების ქვეშ

ამ ნიადაგების ზოლი დაახლოებით 1600 მ სიმაღლეზე იწყება და 2000 მ სიმაღლემდე აღის; იგი მთამდელოს ნიადაგებს ესაზღვრება, ხეობებში კი 1500 მ სიმაღლემდე ეშვება.

ტოპოგრაფიულად მათი გავრცელების არე უმეტესად მთაგორიან სივრცეებს წარმოადგენს, რომლებიც ადამიანის კულტურული გავლენისათვის დღემდე თითქმის მიუწვდომელი დარჩა.

ამ ზონის ზედაპირი გრძელი და ვიწრო ქედებითაა დასერილი; მათ შორის ციცაბო კალთებითა და ზოგან ფრიალო კლდოვანი კლდეებით შემოზღუდული ღრმა ხეობებია, რომლებშიაც მთის მდინარენი და ნაკადულები მოედინება.

აჭარის ქედის ჩრდილო კალთებზე ეს ნიადაგები ზოლად არის გაჭიმული; ეს ზოლი ხან ვანივრდება, ხან ვიწროვდება. მას მდ. წაბლარის წყლის, ქერშევეთას, ლაიშურას, მეგრუკისა და ვახანისწყლის სათავეები უკავია.

გამოკვლევული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, რაჭის ქედის სამხრეთ-კალთებზე მდინარეების ხახიეთისწყლის, ჩიხურასა და ჯრუჭულას სათავეებში ამ ნიადაგებს ნაკლები ფართობი უკავია.

ეს ნიადაგები წიწვნარი ტყეების ქვეშაა წარმოქმნილი (აქ წიწვნარი უმთავრესად ნაძვნარ-სოჭნარს წარმოადგენს).

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ რაიონის სამხრეთ ნაწილში დიდი სისქის გაეწრებული ყომრალი ნიადაგები თითქმის მთლად წიფელნარევი წიწვნარი ტყეებითაა დაფარული. ჩრდილოეთ ნაწილში წიწვნარი ტყე სულ არაა და მას წიფლნარი ცვლის.

ამ ნიადაგებისათვის დამახასიათებელია A ჰორიზონტში ჰუმუსის სიმდიდრე. მერქნიან მცენარეთა და მათი უხვი ამონაყარის მიწისზედა ორგანოების ჩამონაცვენით შექმნილი ტყის მკვდარი საფარი ნიადაგის ჰუმუსოვანი ნივთიერებებით გაზდიდრების წყაროდ იქცა და მის ზემო ჰორიზონტებს მუქი ფერი შესძინა.

ამ ნიადაგების სისქე ცვალებადია და საშუალოდ 55—60 სმ შეადგენს. ხირხატინობა მთელ პროფილს ეტყობა, სიღრმეში მატულობს და 25—30%—ს აღწევს.

მორფოლოგიური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ჰორიზონტი A₀ კარგადაა გამოსახული და მხოლოდ რელიეფის ციცაბო ელემენტებს აკლია; ეს ჰორიზონტი მუქი მურა ფერისაა. ნიადაგს მთელ სიღრმეზე კარგად გამოსახული მარცვლოვან-კაკლოვანი სტრუქტურა ახასიათებს.

მორფოლოგიურად გაღიავებული ჰორიზონტი ხშირად ნიადაგის პროფილის ქვედა ფენებში მქდავენდება. მუქ სახესხვაობებში იგი უფრო იშვიათია და ზოგჯერ სულაც არ არის.



აღწერილი ნიადაგები მექანიკური შემადგენლობის მიხედვით უპირატესად თიხნარი სახესვაობებითაა წარმოდგენილი; მათი ხიჩხატეობა მარტო სიღრმეზე კი არ მატულობს, არამედ რელიეფის პირობების მიხედვითაც.

ცხრილი 5

მექანიკური ანალიზი საბანიის მიხედვით (აბს. მშრ. ნიადაგის %-ებით)

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	მექანიკური ფრაქციები მმ			
			1-0,25	0,25-0,05	0,05-0,01	<0,01
სოფ. ქვიჩორიდან ჩრდილოეთისაკენ 2 კილომეტრის დაშორებით	305	2-10	14,50	10,36	29,35	45,79
		19-27	20,34	14,40	26,03	39,23
		40-48	21,69	19,28	16,92	42,11
		65-73	15,94	14,05	20,08	48,93
ნაკალთარის ქედის თხემი	17	0-8	19,56	29,60	19,91	30,93
		14-22	25,90	30,87	15,35	27,88
		31-39	24,30	35,80	15,92	23,98

ეს ნიადაგები, როგორც ვხედავთ, ჭრილის მთელ პროფილში ქვიჩორი-მეტრის ნაწილაკების საკმაოდ დიდი შემცველობით ხასიათდება. ლამის ნაწილაკები პროფილის მთელ სიღრმეში თანაბრადაა განაწილებული.

ანალიზი ჰუმუსის დიდ შემცველობას გვიჩვენებს; ზევიდან ქვემოთ იგი თანდათანობით კლებულობს.

ცხრილი 6

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	ჰუმუსი კმობით	P ₂ O ₅ კირსანოვით	pH წყლით გამონაწურში	შთანქმეული ფუძეები	ჰიგროსკოპული წყალი მილ-გვს.
სოფ. ქვიჩორიდან ჩრდილოეთისაკენ 2 კილომეტრის დაშორებით	305	2-10		1,25	7,0		12,40
		19-27		ნიშნ.	6,82		8,66
		40-48		0,31	6,80		9,17
		65-73		0,31	6,80		8,25
ნაკალთარის ქედის თხემი	17	0-8		8,74	6,70	29,99	7,25
		14-22		7,50	6,70	5,03	6,23
		31-39		—	6,83	6,02	3,98
მდინარეების საკალმახელელისა და წაბლარისხევის შესართავთან	13	5-13		15,00	6,50	—	—
		20-28		15,00	6,50	—	—
		36-44		6,24	6,40	—	—
		73-81		6,24	6,90	—	—

როგორც ვხედავთ, ადვილად შესათვისებელი ფოსფორმუცავას რაოდენობა დიდად ცვალებადია. ზოგან მისი რაოდენობა საკმაოა, ზოგან კი, როგორც ჭრილ № 305-ში, თითქმის სულ არაა.

ნიადაგის რეაქცია ნეიტრალურს უახლოვდება.



4. მუქი ყომრალი ნიადაგები ფოთლოვანი (წიფლნარი) ტყეების ქვეშ

ეს ნიადაგები დიდად არ არის გავრცელებული. მათ ორი ცალკე მასივი უკავიათ—ერთი მდ. ხანისწყლისა და მდ. საკრეულას წყალგამყოფზე, ხოლო მეორე—ჩოკითის უღელტეხილის დასავლეთით, მდ. ძირულასა და მდ. ჩხერი-მელას წყალგამყოფზე; ცალკე პატარა ლაქებად ისინი სოფ. დეისის, ჩრდილისა და ზვარეს მიდამოებში გვხვდება.

მუქი ყომრალი ნიადაგები წიფლნარის ქვეშ წარმოიქმნა, რომელსაც მუხა, რცხილა, ჯაგრცხილა და თხილი ურევია.

ზემოთ გარჩეულ სახესხვაობასთან შედარებით, ამ ნიადაგების ჰუმუსოვანი ჰორიზონტი რუხსა და მურა-რუხ ელფერს იღებს. ქვემოთ შეფერილობა თანდათან სუსტდება. გორონოვან-კაკლოვანი სტრუქტურა სიღრმეზე გორონოვანი ხდება.

ამ ნიადაგებს ახასიათებს მკვდარი საფარის უქონლობა, ნაკლები სისქე, რომელიც 45—50 სმ არ აღემატება, და ზოგჯერ ქვემო ჰორიზონტებში ძლიერი ხირხატიანობა, რომელიც 60%-ამდე აღწევს.

ცხრილი 7

მექანიკური ანალიზი

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	მექანიკური ფრაქციები მმ			
			1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01
ბივრეთის სერიდან აღმოსავლეთისაკენ 1 კილომეტრის დაშორებით	27	3—11	12,55	34,35	25,09	28,01
		21—29	8,80	35,40	20,87	34,93
		53—61	7,27	31,25	16,71	44,77
კინკილეთის მთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 3 კილომეტრის დაშორებით	87	5—13	22,75	27,41	17,13	32,71
		20—28	15,75	27,40	14,96	41,89

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ზემო ჰორიზონტები ქვიშა-მტვრის ნაწილაკების დიდ %-სა და ფიზიკური თიხის მცირე რაოდენობას შეიცავს, რაც საბუთს იძლევა ეს ნიადაგები მსუბუქ თიხნარებს მივაკუთნოთ. ქვედა ფენები, რომლებიც მეტ ფიზიკურ თიხას შეიცავს, შეიძლება საშუალო თიხნარებად მივიჩნიოთ. ანალიზი ჰუმუსის დიდ შემცველობასა და მის დიდ სიღრმემდე განაწილებას გვიჩვენებს.

რაც შეეხება შესათვისებელ ფოსფორმეჯავას, უნდა ითქვას, რომ მისი რაოდენობა, ისევე როგორც წინა სახესხვაობაში, მერყეობს.

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

ცხრილი 8

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	ჰივროს-კაპული წყალი	ჰუმუსი	P ₂ O ₅ კირსანოვით, მილიგრამ. 100 გრ.	pH წყლით გამონაწურში
ნებივრეთის სერიდან აღმოსავლეთისაკენ 1 კილომეტრის დაშორებით	27	3—11	6,39	12,21	15,00	5,8
		21—29	3,07	8,95	10,00	5,6
		53—61	3,20	3,54	5,00	5,5
კინკილეთის მთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 3 კილომეტრის დაშორებით	87	5—13	5,02	8,01	5,00	6,5
		20—28	3,69	2,75	7,50	6,3

წინა სხვაობასავით ეს ნიადაგებიც მოკლებულია ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობას.

ბ) ტყეების ქვედა სარტყლის ნიადაგები

ტყეების ქვედა სარტყლის ნიადაგებს გამოკვლეული ფართობის დიდი ნაწილი უჭირავს და რაიონს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან განიერ ზოლად არტყია.

მათი ზემო საზღვარი ზღვის დონიდან 1800 მეტრის სიმაღლეს აღწევს; ამაზე დაბლა ეს ნიადაგები მთის ზოლის მთელ ქვემო ნაწილსა ფარავს და მთისწინებზე 200 მეტრის სიმაღლემდე ჩამოდის.

მათი გავრცელების სარტყელი ფოთლოვანი ტყის ზონას ემთხვევა. ტყე მუხის, რცხილის, წიფლის, წაბლის, თელასა და ნეკერჩხლისაგან შედგება; ქვეტყეს—კუნელი, გვიმრა, იელი და სხვა ბუჩქები შეადგენს.

ნიადაგების შემადგენლობა, აგებულება და თვისებები დიდი სხვადასხვაობით ხასიათდება, რაც ნაწილობრივ დედაქანებისაგანაა დამოკიდებული, ხოლო უმთავრესად კი რელიეფის შედეგია.

ნიადაგური საფარი იცვლება მთის კალთების დახრილობის მიხედვით. დიდი დახრილობის კალთებზე მცირე სისქის და ძლიერ ხირხატიანი ნიადაგებია, რომლებიც სუსტად გამოფიტულ დედაქანის დაკუთხულ ნატყეებს შეიცავს. ხირხატი აქ ჩვეულებრივ მეტია, ვიდრე ნაკლებად დაქანებული კალთების ნიადაგებში, რომლებიც მხოლოდ მეტი სისქით განსხვავდება.

ბორცვების ზოლში განსახილველი ნიადაგები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება; მათი კანონზომიერი განაწილება თითქმის მთლიანად რელიეფითაა გაპირობებული.

ამ რაიონის ყომრალ ნიადაგებს შორის, როგორც ზემოთ ითქვა, ოთხი სახესხვაობა გამოიყოფა. ყველაზე მეტად სუსტად განვითარებული, მცირე სისქის ხირხატიანი ყომრალა ნიადაგებია გავრცელებული, რომლებიც უმთავრესად ფოთლოვანი ტყეების ქვეშაა.

5. სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ხირხატიანი ყომრალი ნიადაგები, უმთავრესად ფოთლოვანი ტყეების ქვეშ

ამ სახესხვაობის ნიადაგები უმთავრესად მაიაკოვსკის, ზესტაფონისა და ნაწილობრივ ორჯონიკიძის რაიონების ბორცვოვან მთისწინებშია გავრცელებული, სადაც ისინი დიდ მასივებადაა. გამოკვლეული ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, აჭარა-იმერეთის ქედის შტოებზეც მათ დიდი გავრცელება აქვთ.

ნაკლებია ამ ნიადაგების გავრცელება ჩრდილოეთ ნაწილში; მათ ვპოულობთ ჩხარისა და ჭიათურის რაიონში რაჭის ქედის შტოებზე, ცალკე ნაკვეთებად—ამ ქედის სამხრეთით მდ. ბუჯას ორივე ნაპირზე, ჭიათურის რკინიგზის აღმოსავლეთით—მდ. ყვირილას შუა წელის მარცხენა ნაპირზე და, ბოლოს, ცალკე ნაკვეთებად—მდ. ძირულას ორივე ნაპირზე; მდ. ჩხერიმელას სათავეების მარცხენა ნაპირზე მათ საკმაოდ დიდი მასივი უკავიათ და სურამის უღელტეხილამდე აღწევენ.

მექანიკური ანალიზი

ცხელი 9

მდებარეობა	პირადი	სიღრმე მ	>10 მმ	ნიადაგური ხიობი					მექანიკური ფრაქციები				
				10-7	7-5	5-3	3-1	1-0,5	0,5-0,25	0,25-0,05	0,05-0,01	$<0,01$ მმ	
				10-7	7-5	5-3	3-1	1-0,5	0,5-0,25	0,25-0,05	0,05-0,01	$<0,01$ მმ	
მდ. მუსას ხეობა; სოფ. მუხტირიდან სამხრეთისაკენ 2 კილომეტრის დაშორებით	32	0-10	38,10	1,90	0,67	17,87	12,94	9,64	12,72	19,29	23,41		
		15-23	83,34	2,32	3,18	13,01	10,52	10,64	11,97	13,75	30,12		
	33	0-8	5,43	1,06	0,35	27,33	9,31	10,20	12,31	15,31	21,58		
მდ. ბუჯას სათავე		17-26	27,76	0,31	0,80	21,23	11,24	10,34	12,66	14,07	27,29		
		41-49	63,22	1,31	1,08	23,55	7,36	11,00	10,27	12,22	29,15		
	22	0-8	7,38	0,37	1,19	16,30	10,42	19,42	21,87	12,33	35,38		
მდინარე კურშულას სათავე		16-24	14,57	1,62	0,42	9,23	10,02	10,02	22,49	12,81	40,68		
		40-48	6,19	0,09	1,14	7,72	10,25	10,25	21,80	13,80	44,15		

მათი სისქე საშუალოდ 40—45 სანტიმეტრია; ხირხატიანობა ზედაპირთან საშუალოდ 30—35%-მდეა, ქვემო ჰორიზონტებში კი 60 და მეტი პროცენტიცაა.

მექანიკური შემადგენლობით ეს ნიადაგები მსუბუქ თიხნარებს უახლოვდება, თუმცა ადგილ-ადგილ საშუალო თიხნარი სახესხვაობანიც გვხვდება.

მექანიკური შემადგენლობით ისინი საშუალო თიხნარ ნიადაგებს უახლოვდება; ფიზიკური თიხის შემცველობა 23,44-დან 44,15%-დეა და სიღრმეში მატულობს. ანალიზი გვიჩვენებს ამ ნიადაგების დიდ ხირხატიანობას.

ცხრილი 10

შემადგენელი ნაწილების ანალიზები

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	კრილის №	სიღრმე სმ	ჰუმუსი	P ₂ O ₅ კირსანო- ვით მგრ.	pH წყლის გამონა- წურში	პიგროს- კალული წყალი
მდ. ძუსას ხეობა; სოფ. მუ- ხურადან სამხრეთისაკენ 2 კი- ლომეტრის დაშორებით	32	0—10 15—23	2,56 —	3,74 5,00	6,3 6,2	5,17 6,98
მდ. ბუჯას სათავე	33	0—3 17—26 41—49	1,72 1,83 1,31	3,74 5,00 6,24	6,9 6,3 6,0	6,40 6,97 6,58

ანალიზის მონაცემები ჰუმუსის უმნიშვნელო შემცველობასა და სიღრმეზე მის თანაბარ განაწილებას გვიჩვენებს, რაც ამ ნიადაგების დიდი დახრილობის მქონე ფერდობებზე განვითარებით და ჰუმუსის ფენის ჩამორეცხვით აიხსნება. შესათვისებელი ფოსფორმუჟავას შემცველობა შეტად მცირეა და პროთილში 3,74-დან 6,24 მილიგრამამდე იცვლება.

კალციუმის კარბონატებს ეს ნიადაგები არ შეიცავს; მას მთავე რეაქცია ახასიათებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მათი გამოყენება შეიძლება, მხოლოდ შესაფერი რელიეფის პირობებში, უფრო განვითარებულ და მეტი სისქის სახესხვაობებზე.

6. სუსტად გაეწრებულ იყომრალი ნიადაგები, უმთავრესად ფოთლოვანი ტყეების ქვეშ

გამოკვლეული ტერიტორიის შუა ზონაში ამ ნიადაგებს უფრო დაბალი, დავაკებულ-კალთებიანი ბორცვები და აგრეთვე კალთების ქვედა ნაწილები უკავია. ისინი მეტი სისქისაა, ნაკლებ ჩამორეცხილი და უმეტეს შემთხვევაში ნაკლებხირხატიანია შედარებით ზემო განხილულ სახესხვაობასთან.

ჩვეულებრივ ამ ნიადაგების სახესხვაობათა უმეტესი ფართობი სუსტად განვითარებულ, მცირე სისქის, ხირხატიან ნიადაგებთან ერთად მდებარეობს და ძირითადად გამოკვლეული ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, მაიაკოვსკის რაიონში იმყოფება. ჩრდილოეთით მათ უფრო ნაკლები გავრცელება აქვთ და უმეტესად მდ. ძუსას, ბუჯასა და ყვირილას სათავეების წყალგამყოფ ქედებს ემთხვევა.



რელიეფის დახრილ ელემენტებზე ეს ნიადაგები ნაკლები სისქისა და უფრო ხირხატიანია, ხოლო მცირე დაქანების კალთებზე მათი სისქე საგრძნობლად მეტია, ხირხატი თითქმის სულ არაა და გამოტუტვა უფრო ეტყობა.

მექანიკური შემადგენლობის მიხედვით მეტნაწილად მიმიე და საშუალო თიხნარები და უფრო იშვიათად მსუბუქი თიხნარები გვხვდება. ეს უკანასკნელი უმთავრესად ქვიშაქვების გამოფიტვის პროდუქტებზეა განვითარებული.

მექანიკური ანალიზი

ცხრილი 11

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	მექანიკური ფრაქციები მმ			
			0—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01,
მდ. ქერშევეთის ნაპირზე, გოგირდოვან წყაროებთან	7	0—8	9,37	37,07	14,88	38,68
		29—37	12,22	39,71	14,08	33,99
		52—60	13,20	46,61	13,20	26,99
		80—88	11,89	47,30	13,11	27,70
მთა უდაბნო; სოფ. გოგნიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კილომეტრის დაშორებით	12	0—8	5,20	13,02	28,91	52,87
		12—20	3,36	13,47	24,61	58,56
		27—35	5,16	11,59	28,35	54,90
		42—50	2,89	12,37	23,95	60,79
სოფ. მუხურა; მთა შვილოსთავის ჩრდილოეთი კალთა	25	0—8	25,58	20,41	16,28	37,73
		21—29	25,28	19,23	14,29	41,20
		42—50	24,16	18,18	14,29	43,37
		70—78	27,34	20,83	16,93	34,90

ანალიზის მონაცემებით ჰუმუსის შემცველობა აქ მეტია, ვიდრე წინა სახესხვაობაში, და მისი რაოდენობა ჭრილ № 7-ის ზედაფენაში 5,17%-მდე აღწევს. შესათვისებელი ფოსფორმუყავას შემცველობა მეტად მცირეა, თუმცა ზოგ ჭრილში იგი მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება.

ცხრილი 12

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	ჰიგროსკოპული წყალი	ჰუმუსი	P ₂ O ₅ კირსანოვით	pH წყლით გამონაწურში
მდ. ქერშევეთის ნაპირზე, გოგირდოვან წყაროებთან	7	0—8	3,79	5,17	10,00	6,5
		29—37	3,81	2,98	15,06	6,5
		52—60	3,21	0,49	17,50	6,5
		80—88	3,19	0,29	15,00	—
მთა უდაბნო; სოფ. გოგნიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ 2 კილომეტრის დაშორებით	12	0—8	4,09	4,98	ნიშნ.	6,3
		12—20	3,55	2,99	0	6,6
		27—35	3,23	2,06	0	6,6
		42—50	5,19	1,96	—	6,8
სოფ. მუხურა; მთა შვილოსთავის ჩრდილოეთი კალთა	25	0—8	3,68	2,39	ნიშნ.	6,8
		21—29	4,42	1,38	0	6,6
		42—50	4,65	0,97	0	6,5
		70—78	5,45	0,48	—	6,7

ისევე, როგორც წინა სახესხვაობის ნიადაგები, ეს ნიადაგებიც მთელ თავის სიღრმეზე მცირე მჟავიანობას ამჟღავნებს და ნეიტრალურს უახლოვდება.

ხელსაყრელი რელიეფის, შედარებით მსუბუქი მექანიკური შემადგენლობისა და მცირე ხირხტიანობის გამო ეს ნიადაგები ვაზისათვის საყვარელი გამოსადეგია, თუმცა კარბონატული ნიადაგები ამ მხრივ მაინც წინა დგას.

ამ ნიადაგებისათვის ყველაზე უფრო შესაფერი საძირე Riparia X Rupestris № 3309 უნდა ჩაითვალოს.

7. სუსტად გაეწრებული, ქვიშნარი ყომრალი ნიადაგები
ჯაგნარების ქვეშ

გამოკვლევული ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთში მდ. ყვირილას ორივე ნაპირას ქიათურის რაიონში, მარგანეცის აუზის ფარგლებში, კაცხურასა და მდ. ჩიხურას შუა, ცალკე პატარა მასივებად ქვიშნარი ყომრალი ნიადაგები მდებარეობს.

ამ ნიადაგების გაგრელების ზოლში მათ ქვემოდან ქვიშაქვები, ბრეჭიები და კონგლომერატები უფენია; აქ აგრეთვე გამოფიტული ქვიშაქვის თხელფენოვანი დაშრეებანიც გვხვდება.

ნიადაგის ზედა ჰორიზონტი ძალიან ფხვიერია, შეფერილობა მურა-მოჩალისფერია, წვრილგორბოვანი სტრუქტურა აქვს, რომელიც ხელის მოჭერით მკვირვდება, მშრალი კი მცირედ წვრილმიწანარევე ქვიშად იფხვნება.

ქვედა ჰორიზონტები უფრო თიხიანია და ქვიშა-ქვის ნატეხებს შეიცავს. ნიადაგის სისქე 50—60 სმ არ აღემატება, ზოგან კი ნაკლებიცაა.

ქვემოთ მოგვყავს ამ ნიადაგის მექანიკური შემადგენლობის მონაცემები.

ცხრილი 13

მექანიკური ანალიზი

მდებარეობა	სიღრმე სმ	>10	ხ ი რ ხ ა ტ ი					მექანიკური ფრაქციები მმ			
			10—7	7—5	5—3	3—1	1—0,5	0,5—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01
მღვიმევი, დარკვეთის გზაზე	0—8 22—30 40—48	1,45 2,00 1,19	2,59 0,26 2,28	0,56 1,25 1,87	0,56 2,68 0,94	30,80 30,26 30,27	18,40 15,75 10,16	12,39 5,69 11,54	10,20 17,77 11,54	9,62 6,86 10,52	15,18 19,48 20,88

ეს ნიადაგები უფრო ხშირად გამოტუტვილია. ჰუმუსის შემცველობა შედარებით მცირეა და 3,5—4,0%-ს არ აღემატება; სიღრმეში მისი რაოდენობა მკვეთრად კლებულობს ისევე, როგორც შესათვისებელი ფოსფორმუცავაც, რომელიც ქვემო ჰორიზონტებში სულ არაა.

ცხრილი 14

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

მდებარეობა	ჭრილის №	სიღრმე სმ	ჰიგროს- კოპული წყალი	ჰუმუსი	P ₂ O ₅ კირსანო- ვით	pH წყლით გამონა- წურით
სოფ. მღვიმევი; სოფ. დარკვეთის გზაზე	282	0—8 22—30 40—48	2,45 2,12 2,87	3,71 1,09 0,66	3,74 0 0	6,49 6,9 6,5



ამ ნიადაგების დიდი ნაწილი მუხნარ-ჯაგრცხილნარით, გვიმრითა და იელითაა დაფარული, უფრო ნაკლები ფართობი სიმინდსა და ვაზს უკავია და უმცირესი კი ნიადაგს სულ მოკლებულია და გაშიშვლებულ ქვიშაქვეს წარმოადგენს.

8. წითელი ფერის, მცირე სისქის ხირხატიანი ყომრალი ნიადაგები

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იმერეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ორჯონიკიძისა და ჭიათურის რაიონებში, მდ. ჩხერიმელას, ძირულასა და მისი შენაკადის დუმალას წყალგამყოფ ქედებზე და აგრეთვე მდ. ყვირილას სათავეებში, მდ. ჯრუჭულას, ჩხურასა და ზოგიერთი სხვების შუა წელზე ცალკე, საკმაოდ დიდ მასივებად მდებარეობს შემადგენლობითა და თვისებებით თავისებური წითელი ფერის ნიადაგები.

მათი მთავარი თავისებურება ფერია, რომელიც, მურა-ნარინჯისფერიდან დაწყებული, წითელ აგურისფერამდე იცვლება. სტრუქტურა ზედაბირიდან კაკლოვან-მარცვლოვანია, სიღრმით კი გორხოვანი.

ამ ნიადაგებისათვის სუსტი განვითარება და მცირე სისქე დამახასიათებელი; უკანასკნელი 45—55 სმ არ აღემატება და ზოგან მხოლოდ 10—15 სმ შეადგენს.

ეს ნიადაგები ძლიერ ხირხატიანია, თუმცა მათ შორის საშუალოდ ხირხატიანი და, იშვიათად, სუსტად ხირხატიანი სახესხვაობებიც გვხვდება.

ცხრილი 15

მექანიკური ანალიზი საბანინის მეთოდით

მდებარეობა	ქრთლ. №	სიღრმე სმ	ნიადაგური ხირხატი				მექანიკური ფრაქციები მმ					
			>10	10—7	7—5	5—3	3—1	1—0,5	0,5—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01
მდ. ჩხურას-ხეობა	300	0—8	12,13	5,98	1,28	0,06	15,70	3,30	3,30	11,00	20,75	38,63
		29—37	11,82	0,36	—	—	16,50	2,74	2,74	12,60	21,92	43,14
სოფ. მუხურა; საიხვესა და ლა-შისილელის შესართავთან	27	0—8	9,55	2,71	1,10	1,21	9,98	14,80	7,79	12,21	13,77	36,43
		16—24	51,06	3,25	1,04	2,27	13,58	8,31	9,02	10,84	13,01	38,68
		39—47	30,08	3,60	2,33	3,03	11,04	12,91	10,52	10,98	10,35	35,24

როგორც ვხედავთ, ეს ნიადაგები ხირხატს დიდი რაოდენობით შეიცავს, ხოლო მექანიკური შემადგენლობით საშუალო თიხნარებს უნდა მიეკუთვნოს.

ჰუმუსის შემცველობა შედარებით მცირეა და ზედა ფენაში საშუალოდ 3,5% არ აღემატება.

შესათვისებელ ფოსფორმჟავას ისინი წინა სახესხვაობასთან შედარებით უფრო ნაკლებად შეიცავენ, მათი რეაქცია სუსტი მჟავაა.

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

მდებარეობა	ჭრილის №	სიღრმე სმ	ჰიგროსკოპული წყალი	ჰუმუსი	P ₂ O ₅ კორსა-ნოვით	pH წყლით გამოწვეული
მდ. ჩიხურას ხეობა	300	0—8 29—37	7,93 9,67	3,32 1,01	3,12 —	6,44 6,65
სოფ. მუხურა; მდ. საიხვესა და ლაშისღელის შესართავთან	27	0—8 16—24 39—47	7,56 7,17 6,96	3,45 1,39 1,75	10,00 7,50 6,24	— — —

ამ ნიადაგების სასოფლო-სამეურნეო ღირებულება მეტად დაბალია, რადგან სიმინდი მცირე მოსავალს იძლევა და მევენახეობაც რელიეფის ძლიერი დასერილობის გამო ვერ განვითარდება. ისინი უმთავრესად ტყის მცენარეულობით—რცხილით, მუხით, წაბლით, შქერითა და იელის ქვეტყითაა შემოსილი.

გ) ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები

9. მცირე სისქის, ხირხატიანი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები კირქვებზე

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების დიდი მასივი გამოკვლეული ტერიტორიის ყველაზე უფრო დასახლებულ ნაწილებს შეიცავს; მათ ბორცვიანი სერები და მდინარეთა წყალგამყოფი ქედები უკავია და ცალკე რაიონებში გაბატონებული ადგილი უჭირავს.

ჩრდილოეთით, ჩხარის რაიონში, ისინი დიდ მასივებადაა წარმოდგენილი; მათ მდ. ძირულას აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია და მდ. ძუსას შუა წელი უჭირავს, აღმოსავლეთისაკენ ზევით იწევს და სოფ. საჩხერესთან თავდება.

მცირე ლაქებად ეს ნიადაგები მდ. ჯრუჭულას სათავეებში სოფ. უზუნთასა და მოხვის მიდამოებში გვხვდება.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების საკმაოდ დიდი მასივები სოფ. საჩხერეს სამხრეთითაცაა. მათი ზოლი ადგილ-ადგილ ფართოვდება და მდ. ჩხერი-მელას ორივე ნაპირს მისდევს. თითქმის ლიხის გვირაბიდან დაწყებული, ვიდრე სოფ. ოზჩამდე. მდ. ყორნებასა და ქვადაჭურას წყალგამყოფი ქედის დასავლეთი ნაწილი ამავე ნიადაგებს უჭირავს.

ვენახების გავრცელება ამ მასივთანაა დაკავშირებული და ვაზი აქ ყველა სხვა კულტურას სჭარბობს. ვაზისათვის ეს ნიადაგები ყველაზე მეტადაა გამოსადეგი.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები ხასიათდება ხირხატიანობით და მცირე, 50—60 სმ სისქით. ეს ნიადაგები უმთავრესად ბორცვების მცირედ დაქანებულ კალთებზე გვხვდება.

ამ ნიადაგებს ჩვეულებრივ რუხი ან ღია რუხი ფერი და მარცვლოვან-გორბოვანი სტრუქტურა აქვს, თანაც კირქვების ნატეხებს მრავლად შეიცავს. ზედაპირი დედაქანის ნატეხებითაა მოფენილი.



ხირხატის რაოდენობის მხრივ უმეტესი ფართობი მცირეხირხატიან სხვაობებს უჭირავს, რომლებიც უფრო ნაკლებად დაქანებულ კალთებზეა და ხირხატს 20%-მდე შეიცავს.

საშუალოდ ხირხატიან სახესხვაობას შედარებით ნაკლები ფართობი უჭირავს და რელიეფის უფრო შემალღებულ ნაწილში გვხვდება. მათი ხირხატიანობა 20-დან 50%-მდეა.

ძლიერ ხირხატიანი ნიადაგები მეტი დაქანების კალთებზეა განვითარებული, ადგილ-ადგილ ზედაპირზე დედაქანია გაშიშვლებული.

მექანიკური შემადგენლობით ეს ნიადაგები მძიმე თიხნარებს უახლოვდება, თუმცა ადგილ-ადგილ თიხიანი და თიხნარი სახესხვაობანიც გვხვდება.

ცხრილი 17

მექანიკური ანალიზი

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	მექანიკური ფრაქციები მმ			
			1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01
სოფ. ბახალეთი	3	0—10	2,79	13,69	8,10	75,42
		20—30	4,64	17,76	24,59	53,01
		40—50	2,42	14,82	23,45	59,31
		60—70	3,21	17,31	25,37	54,11
სოფ. ღარიხევი	5	0—10	6,51	15,03	24,59	53,82
		20—30	4,17	11,11	21,11	63,61
		50—57	2,80	8,40	21,01	67,79

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ამ ნიადაგების სახესხვაობანი, რომლებიც კირქვების გამოფიტვის ქერქზეა განვითარებული, მძიმე თიხნარი მექანიკური შემადგენლობით ხასიათდება; უფრო იშვიათად თიხნარი და თიხიანი ნიადაგები გვხვდება.

ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს ჰუმუსის შემცველობის დიდ მერყეობას.

ცხრილი 18

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	საშუალო სიძლიერე-რისაზღვრე	სიხშირე ჭრებს შორის	მილიგრამ. 100 გრ. ნიად-ში			CaCO ₃	pH
					ჰიდროლიზ. N	შესათვისებელი K ₂ O	P ₂ O ₅		
სოფ. ბახალეთი	3	0—10	10,42	2,57	1,64	3,92	ნიშნ.	21,33	7,85
		20—30	8,44	1,82	1,41	8,93	0	48,72	8,75
		40—50	7,26	1,48	1,64	4,46	0	52,38	8,00
		60—70	10,35	0,09	0,24	7,06	0	84,36	8,80
სოფ. ღარიხევი	5	0—10	8,51	3,03	3,99	7,01	7,5	40,24	7,94
		20—30	10,00	3,46	1,99	8,29	5,0	29,68	8,10
		50—57	10,74	1,33	0,93	7,65	1,25	22,37	7,95
სოფ. ოქონა	7	0—8	6,94	5,98	—	—	—	27,50	7,30
		14—22	6,33	5,53	—	—	—	31,34	7,35
		29—37	5,28	2,35	—	—	—	50,74	7,30

ჰიდროლიზური აზოტის მცირე შემცველობით სავსებით აიხსნება აზოტოვანი სასუქების დიდი ეფექტურობა, რაც მარტო გამოკვლეული რაიონი-

სათვის კი არა, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს ნიადაგებისათვისაა დამახასიათებელი.

შესათვისებელი ფოსფორმუჟავას რაოდენობა ძლიერ მერყეობს და ზოგან სულაც არაა.

კალიუმის შემცველობა დიდ ფარგლებში იცვლება, მაგრამ ამ ელემენტით ნიადაგი შედარებით უზრუნველყოფილია.

განსახილველი ნიადაგები, მცირედი გამონაკლისით, ძლიერ კარბონატულ ნიადაგებს უნდა მიეკუთვნოს, რაც მათ ტუტე რეაქციას უქმნის.

ამრიგად, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები კირს ბევრს შეიცავს, ხირხატიანია და რელიეფის პირობების სითბოს რეჟიმისა და სხვა ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მხრივ დადებითი პირობებით ხასიათდება. ეს ნიადაგები ყველა სხვა სახესხვაობაზე უკეთესია ვენახისათვის და განსაკუთრებით კი შამპანური ჯიშების გასაშენებლად.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგისათვის საძირების შერჩევისას, კირის დიდი შემცველობის გარდა, ხირხატიანობასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. ამიტომ სადაც ძლიერ ხირხატიანი ნიადაგები ჭარბობს, იქ საუკეთესო საძირედ Schasselas × Berlandieri 41 B უნდა ჩაითვალოს. ნაკლებად ხირხატიანი და აგრეთვე ძლიერ კარბონატული ნიადაგებისათვის საძირედ შეაძლება Berlandieri Riparia 420 A გამოვიყენოთ.

10. გამოტუტვილი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები

გამოტუტვილ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს მცირე დაქანების მქონე ადგილები უკავია. წვიმის წყალი აქ ნელა ჩამოედინება და ნიადაგიდან კირის გამორეცხვას იწვევს.

ამ ნიადაგებს ჩხარის, ჭიათურისა და ორჯონიკიძის რაიონებში საკმაოდ დიდი ფართობები უჭირავს.

ეს ნიადაგები ზოგან 120 სმ სისქისაა, ჰორიზონტები ნაკლებად დიფერენცირებული აქვთ, ხირხატიანობა მეტწილად სულ არ ახასიათებს და კარბონატებს ნაკლებს შეიცავს.

მექანიკური შემადგენლობით ისინი მძიმე თიხნარს, იშვიათად თიხნარს და თიხებს წარმოადგენენ.

ცხრილი 19

მექანიკური ანალიზი

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა	კრილის №	სიღრმე სმ	მექანიკური ფრაქციები მმ			
			1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01
სოფ. თუზი	40	0—8	1,27	9,37	23,54	65,82
		20—28	1,06	9,47	21,58	67,89
		43—51	1,35	7,57	20,00	71,08
		80—88	1,35	9,43	20,75	68,47
სოფ. წირქვალი	273	0—8	20,87	21,24	21,73	36,16
		17—25	26,69	22,77	18,88	31,66
		50—58	17,87	18,73	18,22	45,18



შემადგენელი ნაწილების ანალიზი

ცხრილი 20

მდებარეობა	ჭრის ჭრის სიღრმე სმ	ჰიგროს- კომული წყალი	ჰუმუსი	P ₂ O ₅ კორსა- ნოვით	CaCO ₃ %/%	pH წყლით გამონა- წურში
სოფ. თუზი	0-8	7,34	2,65	1,87	11,01	—
	20-28	8,46	2,38	7,50	4,05	—
	43-51	8,49	1,12	7,50	1,38	—
	80-88	9,45	0,57	7,50	0,23	—
სოფ. წირქვალი	0-8	8,01	3,16	3,12	0,55	7,23
	17-25	7,45	2,34	2,50	0,39	7,14
	50-58	9,39	1,26	6,08	0	6,63

ანალიზების მიხედვით ჰუმუსის განაწილება თანაბარი როდია. მისი შემცველობა საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება. ზედა ჰორიზონტებში მისი რაოდენობა 3,16%-მდეა და ქვემოთ თანდათან კლებულობს. ზოგან მისი შემცველობა პროცენტის მეთაედებით გამოიხატება.

შესათვისებელი ფოსფორმევა ცალკე სახესხვაობებში სხვადასხვანაირია, მაგრამ მეტწილად მინიმუმს შეადგენს და ზოგან კი ძლიერ მცირეა.

ნახშირმევა კირის შემცველობა მცირეა, ადგილ-ადგილ კი იგი სულაც არაა. რეაქცია სუსტი ტუტეა, ხოლო უკარბონატო ჰორიზონტებში სუსტი მჟავა.

გამოტუტვილი ნემომპალი-კარბონატული ნიადაგები უმთავრესად რელიეფის დავაკებულ ელემენტებზე და მცირე დაქანების კალთებზეა. მათ ზემოთ განხილულ სახესხვაობისაგან განსხვავებული ფიზიკურ-ქიმიური თვისებები ახასიათებს. ესაა მეტი სისქე, ნაკლები ხირხატანობა, უფრო მძიმე მექანიკური შემადგენლობა, ნაკლები ჰუმუსიანობა და სუსტი კარბონატობა, ნეიტრალური და ადგილ-ადგილ სუსტი მჟავე რეაქცია.

ეს ნიადაგები შეიძლება ვაზის კულტურისა და განსაკუთრებით შამპანური ჯიშებისათვის საუკეთესოდ ჩაითვალოს.

11. ნემომპალი-კარბონატული თიხიანი, ადგილ-ადგილ მცირე სისქის ხირხატიანი ნიადაგები

ამ ნიადაგების ძირითადი მასივი ჩხარის რაიონში მდ. ჩოლაბურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. სამხრეთისაკენ იგი მდ. ძუსასა და ჩხარის წყალგამყოფ ქედს ფარავს და შემდეგ მდ. ჩოლაბურისაკენ ეშვება. მდ. ყვირილას ორივე ნაპირის მთისწინები ამავე ნიადაგებს უკავია.

მათი აგებულების დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: ზემო ჰორიზონტები მურა-ჩალისფერია, ქვემოთ კი ჩალისფერი; სტრუქტურა კარგადაა გამოსახული; სისქე შედარებით მცირეა და ორგანულ ნივთიერებათა შემცველობა უმნიშვნელოა.

მათთვის დამახასიათებელია CaCO₃ „თეთრი თვლები“, რომლებიც ღრმა ჰორიზონტებში უხვადაა დაგროვილი და ქვედა ფენების დიდ კარბონატობას იწვევს.

მექანიკური შემადგენლობით, ეს უმეტესად თიხები და თიხნარებია, რაც ქვეშეწინილი ქანების ხასიათით აიხსნება. ხირხატი მეტწილად სულ არ არის, იშვიათ შემთხვევაში კი დედაქანის ნახევრად გამოფიტული ნატეხების სახით გვხვდება.

საკვები ნივთიერებების მიხედვით ზემოაღწერილ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ღარიბია.

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

ცხრილი 21

მ დ ე ბ ა რ ე ბ ა	ქროლის №	სიღრმე სმ	ჰიგროსკოპული წყალი	ჰუმუსი	მილიგრამ. 100 გრ. ნიად-ში				pH
					ჰიდროლ. აზოტი	შესათვისებელი		CaCO ₃ %/0	
						K ₂ O	P ₂ O ₅		
სოფ. ჭალატყე	2	0—10	11,04	1,52	2,35	11,18	3,74	6,22	7,85
		15—25	7,85	0,76	1,79	11,80	ნიშვ.	37,80	7,93
		40—50	6,82	0,66	2,35	14,47	ნიშვ.	42,60	7,91
სოფ. სახანო	17	0—10	8,79	1,28	5,21	12,32	0,62	13,42	7,93
		25—30	8,95	1,23	2,63	11,80	0,41	10,32	7,83
		175—85	8,80	0,58	2,35	9,87	0,41	17,89	7,80

ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ ნიადაგი ჰუმუსით ღარიბია და ჰიდროლიზურ აზოტს უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს. შესათვისებელი ფოსფორმევა თითქმის სრულიად არაა; იგი მხოლოდ ზოგან და ისიც ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება, რაც ფოსფოროვანი და აზოტოვანი სასუქების საჭიროებაზე მიგვითითებს.

კალიუმის შემცველობა ამ ნიადაგებში საშუალოდ 10—11 მგ უდრის და ამ მხრივ იგი შედარებით უზრუნველყოფილია.

კალიუმის კარბონატებით ძლიერ მდიდარი ნიადაგებია, თუმცა, როგორც საშუალო, ისე ნაწილობრივ სუსტი კარბონატული სახესხვაობებიც გვხვდება.

მევენახეობა აქ დიდად განვითარებულია და მაღალი ხარისხის პროდუქციის იძლევა, თუ სათანადო საძირე შეირჩა.

განხილული სხვაობისათვის შესაფერ საძირედ შეიძლება Berlandieri X Riparia 420 A და Riparia X Rupestris 3309 და 3306 ჩაითვალოს.

12. კირქვებზე განვითარებული, გამოტუტვილი ნეშომპალა-კარბონატული თიხიანი ნიადაგები

ჩხარის, ზესტაფონისა და ორჯონიკიძის რაიონებში ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების მასივში ცალკე ნაკვეთებად გამოტუტვილი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები გვხვდება.

მათი ზემო ჰორიზონტები ყომრალი ფერისაა, რომელიც ქვემოთ ჩალისფერი ხდება; ქვენიადაგს უმეტეს შემთხვევაში დიდი სისქის, წებოვანი, უსტრუქტურო თიხა წარმოადგენს, რომელშიაც ზოგჯერ ნახშირმევა კირის ჩანარებია. სტრუქტურა აშკარადაა გამოხატული და ზემო ფენებში იგი მარცვლოვანი და კაკლოვანი აგრეგატებითაა წარმოდგენილი, ქვედა ფენებში კი გორბოვანია.



ეს ნიადაგები, მეტწილად თიხიანი და მძიმე თიხნარი, მექანიკური შემადგენლობით ხასიათდება, რაც ქვეშეფენილი ქანების, ამ შემთხვევაში თიხოვანი ფიქლების, ხასიათით აიხსნება.

ცხრილი 22

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

მდებარეობა	ჭრილის ქს	ს.ღრმე სმ	ჰიგროსკოპული წყალი	ჰუმუსი	მილიგრ. 100 გრ. ნიადაგში				pH
					ჰიდროლიზური აზოტი	შესათვისებელი CaCO ₃		%	
						K ₂ O	P ₂ O ₅		
სოფ. ვარძია	65	0-10	10,09	2,24	1,64	17,22	0,62	0	6,60
		20-30	10,57	1,31	0,71	12,12	0	0	6,15
		40-50	11,83	0,30	0,71	17,22	0	0	6,23
		86-96	11,11	0,50	0,24	13,39	0	0	6,82
სოფ. ლახუნდარა	55	0-10	9,84	—	0,47	10,84	2,50	0	6,70
		12-22	10,37	—	1,41	10,84	0,62	0	6,91
		76-86	10,77	—	0	10,20	5,00	1,14	7,05

ჰუმუსის ისედაც მცირე რაოდენობა ზემო ფენებში სიღრმეზე კიდევ უფრო მცირდება. ჰიდროლიზური აზოტი და ადვილად შესათვისებელი ფოსფორმჟავა თითქმის სულ არაა და, მაშასადამე, ამ ელემენტების შევსება მეტად საჭიროა.

ნახშირმჟავა კირს მოკლებული ეს მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგები ვაზისთვის მაინც სავესებით ხელსაყრელია, ოღონდ პროდუქციის ხარისხი, ზემოაღწერილი კარბონატული ნიადაგების სახესხვაობებთან შედარებით, აქ მაინც ნაკლები იქნება.

III. დაბლობის მუხრი და ალუვიური ნიადაგები

დაბლობის ეწერი და ალუვიური ნიადაგები უმთავრესად გამოკვლეული ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში მდ. რიონის, ხანისწყლის, ყვირილასა და მისი შენაკადის მდ. ჩოლაბურის ხეობებშია.

ა) ეწერი ნიადაგები

13. ეწერი, მძიმე თიხნარი და თიხა-ნიადაგები მდინარეების ძველ ტერასებზე

მათი ძირითადი ფართობი მდინარეების ხანისწყლის, ყვირილასა და ჩოლაბურის ძველ ტერასებს ემთხვევა. ნაკლებია მათი ფართობი ჭიათურის რაიონში, მდ. ღუმალას მარჯვენა ნაპირზე.

ეს ღია ფერის მკვრივი, თიხა და მძიმე თიხნარი ნიადაგებია, რომლებიც ზემოდან სუსტი სტრუქტურისაა, ხოლო ქვემო ფენებში კი სულაც უსტრუქტუროა.

ღრმა ჰორიზონტებში ერთნახევარი ჟანგების და ორტშტეინის მარცვლების უხვი დაგროვებებია, ხშირად კი აშკარად გამოხატული ორტშტეინის ფენაც არის.

რელიეფისა და ქანების ხასიათის მიხედვით ეს ნიადაგები გაეწერების ხარისხით და მექანიკური შემადგენლობით განსხვავდება.

რაიონის დასავლეთ ნაწილში ხანისწყლის, ყვირილას და ჩოლაბურის ზემო ტერასებზე საშუალო და ძლიერ ეწერი ნიადაგები ჭარბობს, რომლებსაც მძიმე თიხები უფენია; ეს ნიადაგები 45—50 სმ სისქეს აღწევს და უკვე ზემო ჰორიზონტებიდანვე დიდ სიმკვრივესა და წებოვნებას იჩენს.

მდ. დუმალას მარჯვენა ნაპირზე არსებულ ნიადაგებს ნაკლები გაეწვრება და უფრო მსუბუქი მექანიკური შემადგენლობა ახასიათებს.

ამ ნიადაგებს ჰუმუსის უმნიშვნელო შემცველობა ახასიათებს.

შემადგენელი ნაწილების ანალიზი

ცხრილი 23

მ დ ე ბ ა რ ე ბ ა	ჭრილის №	სიღრმე სმ	ჰიგროსკოპული წყალი	ჰუმუსი	შესათვისებელი P ₂ O ₅ მილიგრ-ით	pH
სოფ. როზის ჩრდილოეთი განაპირი	162	0—8 18—26 35—43 59—67	4,75 6,47 3,98 3,22	1,53 1,79 1,01 0,88	0,31 0 0 0	6,2 5,2 5,2 5,0

ცხრილიდან ჩანს, რომ შესათვისებელი ფოსფორმჟავას შემცველობა მეტად მცირეა. გაეწვრება შედარებით ძლიერია.

როგორც ვთქვით, ჰუმუსით ეს ნიადაგები ღარიბია. ამასთან უსტრუქტურია, ქერქს იკეთებს და ძალიან მკვრივდება; გვალვის დროს იგი სკდება და ერთობ არახელსაყრელი ფიზიკური თვისებებისაა, რის გამოც ძნელი დასამუშავებელია და თითქმის მხოლოდ სიმინდის მოსაყვანად იხმარება, მაგრამ მცირე მოსავალს იძლევა.

არგვეთისა და თერჯოლას საბჭოთა მეურნეობებში ეწერი ნიადაგების პატარა ფართობებზე ვენახებია გაშენებული, დანარჩენი ნაწილი კი მდ. დუმალას მარჯვენა ნაპირზე ტყის მასივებსა და გამოკვლეული ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში აჯამეთის ტყეს უჭირავს.

14. სუსტი ეწერი, ძლიერ ხირხატიანი ნიადაგები მდინარეების ძველ ტერასებზე

ამ სახესხვაობის ნიადაგებს გამოკვლეული ტერიტორიის უმნიშვნელო ფართობი ეკუთვნის, რომელიც მდ. ხანისწყლის, რიონისა და ყვირილას ძველ ტერასაზეა და ხანისწყლის გაყოლებაზე ვიწრო ზოლად რიონისაკენ მიიმართება.

ქვემოდან მათ ალუვიური ნალექები უფენია, მცირე რაოდენობით შეიცავს წვრილმიწას და ძირითადად ხრეშის, კენჭისა და რიყის ქვისაგან შედგება.

მორფოლოგიურად ეს ნიადაგები უმნიშვნელო სისქით ხასიათდება, რომელიც საშუალოდ 50—60 სმ უდრის; ცალკე ადგილებში ნიადაგის სისქე მხოლოდ 50—32 სმ-ია.

ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში და სოფ. ვარციხეში აღებული ნიმუშების ანალიზები არკვევს, რომ მექანიკური შემადგენლობით ეს მძიმე თიხნარებია.



ქიმიური შემადგენლობის მხრივ საყურადღებოა, რომ ჰუმუსის შემცველობა ცალკე ჭრილებში დიდად იცვლება, მაგრამ საერთოდ კი მისი მაჩვენებლები იმერეთის საშუალო მონაცემებს უახლოვდება.

ადვილად შესათვისებელი ფოსფორმჟავას შემცველობა მეტად მცირეა და ნიადაგის მჟავიანობაც უმნიშვნელოა.

თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს ნიადაგები ბარშია, სითბოს რეჟიმი აქ ხელსაყრელია და მჟავიანობა ძლიერი, ისინი ხარისხოვანი მევენახეობის შემდგომი განვითარებისთვისაც გამოსადეგად უნდა ჩავთვალოთ და ამის მაგალითს ვარციხის საბჭოთა მეურნეობის აფხანაურის ნაკვეთი წარმოადგენს.

ბ) ალუვიური ნიადაგები

იმერეთის პირობებში ალუვიური ნიადაგები ნაკლებადაა გავრცელებული. ისინი უფრო მნიშვნელოვანი მდინარეების—ყვირილას, ჩოლაბურისა და ხანისწყლის ქვემო წელზე გვხვდება და მათ ვიწრო ზოლად გასდევს.

ზესტაფონიდან დაწყებული დასავლეთისაკენ, მდ. ყვირილასა და მდ. რიონის შესართავამდე იგი თანდათან განივრდება და რიონის ვრცელ დაბლობს უერთდება.

სოფ. საჩხერის აღმოსავლეთით, სოფ. ჭალასკენ, მდ. ყვირილას ალუვიური კარბონატული ნიადაგები გასდევს.

დასახელებული მდინარეების ჭალის ტერასებზე ალუვიური ნიადაგების მეტი ფართობი უკარბონატო სახესხვაობებს უკავია, ხოლო ნაკლები გავრცელება აქვთ გაფწრებულ ნიადაგებს მდ. ყვირილას ვალმა-ვამოლმა, მეორე და მესამე ტერასებზე.

ალუვიურ კარბონატულ ნიადაგებს მდ. ყვირილას სათავეების ვაკე ზოლი ეკუთვნის და გარდა ამისა, ძუსას ხეობაში პატარა ადგილი უჭირავს.

15. ალუვიური თიხნარი, სუსტად გაეწრებული ნიადაგები

ალუვიურ თიხნარს, სუსტად გაეწრებულ ნიადაგებს მდ. ყვირილას მეორე და მესამე ტერასები უკავია სოფ. სვეტმალალის, ჭინჭარაულისა და აჯამეთის საცდელი სადგურის ჩრდილოეთით.

ეს ნაფენები დიდი სისქისაა—1,5—2 მ, ზოგან კი მეტ სიღრმესაც აღწევს; ისინი მუქი ფერისაა და შედარებით კარგი სტრუქტურის. მათ გაეწრების სუსტი ნუშნები ეტყობა.

ცხრილი 24

მდებარეობა	ჭრის №	სიღრმე სმ	მექანიკური ფრაქციები მმ				ჰუმუსი	pH
			1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01		
სოფ. ქვედა საქარა	82	0—8	3,00	10,93	15,85	70,22	1,24	6,83
		22—36	3,80	10,57	19,24	66,39	0,84	6,68
		60—68	4,82	19,22	22,46	53,50	0,67	6,98
		92—100	4,01	25,13	24,06	46,80	0,45	6,98
		117—125	1,09	9,86	16,99	72,06	0,42	7,08

მექანიკური შემადგენლობა სხვადასხვანაირია. ეს უმთავრესად თიხნარი და უფრო იშვიათად აიხა ნიადაგებია.

ალუვიურ ნიადაგებში ჰუმუსი საერთოდ ნაკლებია; ამ შემთხვევაში ზედაპირზე იგი 1,24% არ აღემატება და ქვემოთკენ თანდათანობით კლებულობს.

16. ალუვიური თიხნარი ნიადაგები რიყის ნაფენზე

ალუვიური თიხნარი ნიადაგები ზოლად მიჰყვება მდ. ყვირილას, ჩოლაბურისა და ხანისწყლის ქალას; ვიწრო ზოლად ისინი ზოგი სხვა მდინარის ხეობაშიც გვხვდება.

ისინი მდინარეულ ახალ ნალექებზეა წარმოქმნილი. ნიადაგების მასა ძირითადად წვრილმიწისაგან შედგება, რომლის შემცველობა ნიადაგის საფარში ქვემოთ თანდათან კლებულობს.

მდინარის ხრეში, კენჭი და ქვიშა მთელ ფართობზე და სხვადასხვა სიღრმეზე გვხვდება. ზოგან იგი ზედაპირზეა, ზოგან კი 1—1,5 მ სიღრმეზეა.

ზედა ჰორიზონტები მურა-რუხისფერია და სიღრმეში ჩალისფერი ხდება; ზემო ფენების მარცვლოვან სტრუქტურას ქვემოთ გორიხოვანი ცვლის; ქვიშის მთელი პროფილი ფორიანია; ადგილ-ადგილ სიღრმეში მდინარის კენჭნარია.

მექანიკური შემადგენლობით ეს ნიადაგები საკმაოდ ერთგვაროვანია და საშუალო და მსუბუქ თიხნარებს ეკუთვნის; იშვიათად გვხვდება ქვიშნარი ნიადაგებიც, რომლებიც მდინარეების ქალის უფრო მახლობლად მდებარეობს.

ცხრილი 25

მდებარეობა	ქვიშის კმ	სიღრმე სმ	ჰორიზონტული წყლის წილი	მექანიკური ფრაქციები მმ				ჰუმუსი	pH
				1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01		
საქარის საცდელი სადგურის ნაკვეთი	21	0—8 19—27 40—48 118—126	4,47 5,44 5,73 3,79	5,43 5,62 4,12 1,98	18,73 24,40 16,67 14,48	29,02 28,91 27,78 33,24	46,82 41,07 51,43 50,30	1,41 0,74 0,55 0,30	6,46 6,38 6,62 6,48

ზემოაღწერილი სახესხვაობის მაგივრად აქაც ჰუმუსის შემცველობა დიდად არაა და ზედაპირზე 1,41% არ სჭარბობს; სიღრმეში მისი რაოდენობა თანდათანობით მცირდება და გრძელი მეტრის სიღრმეზე 0,3%-მდე ჩამოდის.

რეაქცია სუსტი მჟავაა; ზოგან მდ. ჩოლაბურის ქალაში არის სუსტი კარბონატული ნიადაგები, რომლებშიაც CaCO₃ 1—2%-ს აღწევს.

17. ალუვიური თიხნარი კარბონატული ნიადაგები

ეს ნიადაგები მეტად მცირედაა გავრცელებული და მათ მდ. ყვირილას სათავეებში გრძელი ვიწრო ზოლი უჭირავს სოფ. საჩხერედან აღმოსავლეთით სოფ. ქალამდე. მათი პატარა ფართობი მდ. ძუსას ხეობაშიცაა.

კარბონატების შემცველობის გარდა, ეს ნიადაგები ამის წინ დახასიათებული ნიადაგებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდება.

მექანიკური შემადგენლობით ალუვიური თიხნარი კარბონატული ნიადაგები მსუბუქ, უფრო იშვიათად კი მძიმე თიხნარებსა და ქვიშნარებს ეკუთვნის.



ჰუმუსი აქ მეტია და სიღრმეზე თანდათან მცირდება.

ანალიზების შედეგები კარბონატების ზედაპირიდანვე შემცველობასაც ვვიჩვენებს, სიღრმით მატულობს და ადგილ-ადგილ მნიშვნელოვან რაოდენობას, 33,33%-ს აღწევს.

ცხრილი 26.

მდებარეობა	ტერიტორია	სიღრმე სმ	პირველი კლასი	მექანიკური ფრაქციები მმ				ჰუმუსი	CaCO ₂ %/0
				1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01		
სოფ. კალვათა	306	0—8	5,28	23,72	21,06	25,34	29,88	2,28	4,33
		23—35	4,68	27,80	20,97	24,17	27,06	1,44	3,24
		60—68	5,77	22,19	20,14	21,18	36,49	1,59	3,04
სოფ. ივანწმინდა	297	0—8	—	—	—	—	—	—	10,97
		20—28	—	—	—	—	—	—	7,18
		51—50	—	—	—	—	—	—	33,33

ალუვიური ნიადაგების აღწერილი სახესხვაობანი შედარებით მაღალი ლირსებისაა, რადგან საკვებ ნივთიერებებს საკმაოდ შეიცავს და სახნავად, საბო-სტნედ, ამერიკული ვაზის სადედეებად და ნამყენი ვაზისთვისაა გამოყენებული.

დ ა ს კ 3 5 ა

იმერეთის ბუნებრივი პირობები, ნიადაგური საფარის ხასიათი და ცალკე-ული ნიადაგების სახესხვაობათა საწარმოო თავისებურებანი მეტად რთული და მრავალფეროვანია.

აქაური ნიადაგების ძირითადი ტიპებიდან შევენახობისათვის თავისი შემადგენლობითა და ოვისებებით უფრო გამოსადეგი ნემომპალა-კარბონატული ნიადაგებია.

ამ ნიადაგებიდან ყველაზე დიდი ადგილი, ერთის მხრივ, მცირე სისქისა და ხირხატიან სახესხვაობებს ეკუთვნის, რომლებიც უმთავრესად თიხაფიქლების, კარბონატული თიხების, კიროვანი ქვიშა-ქვებისა და სხვა ქანების გამოფიტვის პროდუქტებისაგან შედგება და მოისწინა ზოლის შედარებით დიდი დახრილობის მქონე კალთებზე მდებარეობს, ხოლო, მეორე მხრივ ამავე ნიადაგების გამოტუტვილ სახესხვაობებს, რომლებსაც უფრო ნაკლებ დაქანებული რელიეფი უჭირავს.

ნემომპალა-კარბონატული ნიადაგები სისქით 50—60 სმ არ აღემატება და ხირხატსა და კირქვის ნატეხებს უხვად შეიცავს, რაც განსაკუთრებით ქვე-და ფენებს ახასიათებს. მექანიკური შემადგენლობით ეს ნიადაგები უმთავრესად მძიმე თიხნარი და თიხა-ნიადაგებია.

ისინი საკმაოდ მკვრივი მარცვლოვან-გორხოვანი სტრუქტურისაა და როგორც ზედა, ისე ქვემო ფენებში ჰუმუსს მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს. კერძოდ ზემო ფენებში ჰუმუსი უფრო ხშირად 4—6%-ს შეადგენს. ნახშირმჟავა კირი ბევრია მცირე სისქის სხვაობებში; სხვაგან იგი მცირე რაოდენობითაა, მაგრამ სიღრმეში ერთბაშად მატულობს და 50—60% და ზოგჯერ მეტსაც აღწევს. ზოგან ეს ნიადაგები ძლიერ ჩამორეცხილია—მცირე სისქითა და უკვე ზედაპირიდანვე დიდი ხირხატიანობით ხასიათდება; ადგილ-ადგილ ზედაპირზე ქანია გაშიშვლებული.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების გამოტუტვილი სახესხვაობანი დიდი სისქისაა, ძლიერ თიხიანი და კირისაგან გამორეცხილი-ხირხატი მათში უმნიშვნელოა; ჰუმუსის შემცველობა ბევრად ნაკლებია.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების კარგი სტრუქტურა, არცთუ ისე მკვრივი აგებულება და დადებითი ფიზიკური თვისებები სრულიად ხელსაყრელ პირობებსა ქმნის მევენახეობისათვის და მეტადრე შამპანური ჯიშების გასაშენებლად.

ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით, სადაც ნიადაგის წარმომქმნელ ქანებში მომეტებული ადგილი ქვიშნარებს, თიხა-ფიქლებსა და სხვა უკარბონატო ქანებს ეკუთვნის, ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს ყომრალი ნიადაგები ენაცვლება, რომლებიც გაბატონებულია აჭარა-იმერეთის, რაჭისა და სურამის ქედების მთაყის ზონაში.

ყომრალი ნიადაგების კომპლექსის სახესხვაობათა ერთ სერიაში დიდი ადგილი უჭირავს გამოტუტვილ ყომრალ ნიადაგებს, რომლებიც ხსენებული მთების შედარებით მცირე დაქანების კალთებზე და მთისწინა ზოლის ნაწილში მდებარეობს.

ეს ნიადაგები მეტწილად საშუალო და მცირე სისქისაა, საშუალოდ კი 60—80 სმ აღწევს; ხირხატის შემცველობა მათში საკმაოდ დიდია და სიღრმისაკენ მატულობს. ჰუმუსიანი ჰორიზონტი კარგადაა გამოსახული, ალუვიურია კი სუსტად. მექანიკური შემადგენლობით ეს მომეტებულად საშუალო და მძიმე თიხნარია.

ციცაბო კალთებზე, სადაც ნიადაგის წარმომქმნელი პროცესები სუსტია და ეროზია კი უფრო ნაკლები, ყომრალი ნიადაგების მცირე სისქისა და ძლიერ ხირხატიანი სახესხვაობანია წარმოდგენილი.

ეს სახესხვაობანი მხოლოდ ნაწილობრივია გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის.

ისინი მევენახეობისათვის ხელსაყრელია, თუმცა პროდუქციის ღირსების მხრივ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს ჩამოუვარდება.

ამრიგად, მევენახეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით ყველაზე მეტი მნიშვნელობა ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებსა და მათ გამოტუტვილ სახესხვაობებს ეკუთვნის, რომლებიც როგორც ცნობილია, ვაზის კულტურისათვის ერთ-ერთ საუკეთესო ნიადაგებად ითვლება.

ეს ნიადაგები ახლაც დიდ მოსავალსა და საუკეთესო ღირსების ღვინოებს იძლევა.

ყომრალი ნიადაგებიდან ვაზისათვის სავსებით გამოსადეგია ხირხატიანი და საშუალო სისქის სახესხვაობები, რომლებიც ნაკლები დაქანებას კალთებზე მდებარეობს.

იმერეთის დანარჩენი ნიადაგები მევენახეობის თვალსაზრისით ნაკლებაა ხოლო მათი ნაწილი, რომელიც არახელსაყრელი რელიეფით, ჰავითა და სხვა პირობებით ხასიათდება, სულაც არ ვარგა.

И. ДОНДЖАШВИЛИ

ПОЧВЫ ОСНОВНЫХ РАЙОНОВ ВИНОГРАДАРСТВА ИМЕРЕТИИ

Резюме

Имеретия по своим природным условиям и генетическо-производственным свойствам почв, чрезвычайно разнообразна и сложна.

Среди слагающих почвенный покров, основных почвенных типов, лучшими для использования в виноградарстве следует признать разнообразные по составу и свойствам перегнойно-карбонатные почвы. Среди этих почв большее место занимают маломощные и скелетные разности на продуктах выветривания известняков, мергелистых сланцев, известковых песчанников, занимающие относительно крутые склоны предгорной полосы, и выщелоченные разности тех же почв, соответствующие более пологим элементам рельефа, в общем массиве этих почв.

Перегнойно-карбонатные почвы отличаются небольшой мощностью обычно не более 50—60 см., большим содержанием скелета из обломков известняка, особенно в нижних слоях почвы. По механическому составу они чаще тяжело суглинистые и глинистые.

Почвы эти имеют довольно прочную зернисто-комковатую структуру и значительное содержание гумуса, как в верхних, так и в нижележащих слоях. В верхних слоях процент гумуса составляет чаще 4—6%, но при значительном содержании и в нижних слоях. Углекислая известь содержится в большом количестве, особенно в маломощных разностях, в других же содержание ее малое, но резко возрастает с глубиной, достигая 50—60 и более процентов. Местами эти почвы сильно смыты и отличаются весьма малой мощностью и большой скелетностью с самой поверхности; местами же на поверхности обнажена порода.

Выщелоченные разности перегнойно-карбонатных почв выделяются большей мощностью профиля, большей глинистостью и выщелоченностью от углекислой извести, благодаря большему воздействию атмосферных осадков в соответствующих этим почвам условиям рельефа; незначительна в них скелетность. Содержание гумуса значительно меньше.

Обладая хорошей структурой, сравнительно неплотным сложением, хорошими физическими свойствами, вышеуказанные почвы представляют собой среду вполне благоприятную для разведения виноградников, особенно шампанских сортов.

С севера, востока и юга, где в качестве почвообразующих пород преобладающее место занимают песчанники, глинистые сланцы и другие некарбонатные породы, перегнойно-карбонатные почвы сменяются буроземными лесными почвами, занимающими в горнолесной зоне Аджаро-Имеретинского, Рачинского и Сурамского хребтов, преобладающее место.

В комплексе буроземных почв различается серия разностей среды которых большее место занимают оподзоленные буроземы, занимающие относительно некрутые склоны указанных выше гор и некоторую часть предгорной полосы.

Эти почвы большей частью относятся к средним и маломощным разностям со значительным содержанием скелета, который увеличивается с глубиной по мере приближения к материнской породе. Мощность их в среднем 60—80 см. Гумусовый горизонт выражен хорошо, аллювиальный же горизонт—слабо. Механический состав их чаще средний и тяжело суглинистый.

На крутых склонах, где слаба интенсивность процессов почвообразования и сильнее эрозия почвы, представлены маломощные и сильно скелетные разности буроземных почв.

Под сельскохозяйственные культуры эти разности буроземов используются лишь в некоторых частях.

Для виноградной лозы они также благоприятны, хотя в меньшей степени, чем перегнойно-карбонатные почвы—в отношении качества получаемого продукта.

Таким образом, с точки зрения виноградарства и перспектив его развития наибольшее значение, в почвенном отношении, имеют перегнойно-карбонатные почвы и их выщелоченные разности, являющиеся, как известно, одними из лучших для культуры виноградной лозы. Они и в настоящее время дают лучшего качества вина и высокую урожайность винограда.

Среди буроземных почв для виноградной лозы вполне пригодными надо считать скелетные разности средней мощности, соответствующие некрутым склонам.

Остальные почвы Имеретии, для указанной цели мало пригодны, а часть их, залегающая в малоблагоприятных условиях рельефа, климата и др. и вовсе непригодны.

ლიტერატურა

1. В. Р. Вильямс. Почвоведение, М, 1939.
2. М. Н. Сабашвили. Почвы влажной субтропической зоны ССР Грузии. Изд. Главн. Управл. Субтр. культ. Н. К. З. СССР.
3. А. И. Сорокин, С. П. Симонович. Объяснительная записка к геологической карте части Кутаисской губернии.
4. С. Симонович, А. Бацевич, А. Сорокин. „Геологическое описание частей Кутаисского, Лечхумского, Сенакского и Зугдидского уездов Кутаисской губернии“, МГК, сер. 1, кн. 5, 1875.

5. С. А. Захаров. О главнейших итогах и основных проблемах изучения почв Грузии, Изв. Тифл. Пол. Инст., Вып. I, 1924.
6. М. Ф. Калинин. „Объяснительная записка к почвенной карте Кутаисской губернии. Труды Лаб. при Сак. пит. ам. лоз, 1901.
7. И. Н. Антипов—Каратаев. Почвы Никитского сада, Труды Отд. почв. ГИОА, 1929.
8. А. А. Колаковский. Альпийские пастбища Очемчирского и Гальского районов. Труды Абх. Н. И. Ин-та.
9. А. Л. Шатский. Климаты виноградных районов Имеретии. Научн. Исслед. Инст. вин. и виноделия Гр. ССР.
10. О. Н. Михайловская. О генезисе бурых лесных почв Закавказья. Труды Сов. Секции Межд. ассоц. почв., Том IV.
11. А. А. Ломакин. Леса Шорапанского уезда Труды Лаб. Сак. пит. ам. лоз, 1900.
12. А. И. Розанов. Бурые лесные почвы Таджикистана. Тр. Сов. секц. меж. ассоц. почв., Том V.
13. П. К. Дюжев. Почвы Новороссийского р-на и возможности их освоения под культуру винограда. Научн.-Исслед. Инст. виногр. и винод. НКЗ РСФСР, 1940.
14. А. О. Саникидзе. Почвы Кахетии, Научн.-исслед. Инст. виногр. и вин. ССР Грузии, 1940.
15. И. В. Фигуровский. Климаты Кавказа, Тифлис, 1919.
16. И. С. Щукин. Очерки геоморфологии Кавказа, ч. I, 1926.
17. В. Б. Гуссак. Борьба с поверхностными смывами почв, Тифл. 1937.
18. С. А. Захаров. „О главнейших итогах и основных проблемах изучения почв Грузии“, Изд. Тифл.-Пол. Инст., вып. 1924.
19. М. Н. Сабашвили. „Почвы виноградных районов Имеретии и Карталинии“ (Рукопись), НКЗ Груз. ССР, 1936.
20. Его же Краткая характеристика почв Зестафонского района (Рукопись). Наркомпищепром Груз. ССР, 1940.
21. Его же Тоже Сацхерского района.
22. Его же—Тоже Чхарского района.
23. Д. П. Гелеванишвили и М. Н. Сабашвили. Почвы районов орошения Машвельского и I Советск. каналов, (рукопись), 1929.
24. А. И. Джанелидзе. Геологическое наблюдение в Окрибе, Гр. Фил. АН СССР. Тбилиси, 1940.
25. А. А. Завалишин. Совешание по классификации почв, Почвов. №3, 1939.
16. Т. К. Кварацхелия и Т. А. Акулова. Борьба со смывами почв чайных плантаций, Советск. субтр, № 11, 1935.



თ. კვარაცხელია

ვაზის დატვირთვა დასავლეთ საქართველს პირობებში

შ მ ს ა ვ ა ლ ი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში „ლონისძიებები ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ“ მოცემულია სოფლის მეურნეობის კულტურების აღმავლობის გარკვეული პროგრამა, რომელიც შეიცავს მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის—ზომებს ახალი ნარგავების გაშენების უზრუნველყოფისა და არსებული ბაღებისა და ვენახების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია: „დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას 1946—1950 წლებში წარმოადგენს მოსავლიანობის ყოველმხრივ ამაღლება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლის გადიდება მიწათმოქმედების კულტურის მნიშვნელოვანი ამაღლებისა და მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა ფართო გამოყენების გზით“.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების რეალიზაციისათვის საჭიროა დამუშავებულ იქნეს აგროლონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ვენახებიდან მაღალი და მყარი მოსავლის მიღებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ლებულობენ ყურძნის მაღალ მოსავალს—100-150 და მეტ ცენტნერს ჰქეტარიდან.

მათი მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი შესაძლებლობა არსებობს ვენახების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

მიუხედავად ამისა, უმრავლეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფაქტიური საშუალო მოსავლიანობა შედარებით მცირეა. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ვაზის არასაკმაო დატვირთვა.

ვაზის დატვირთვა ზემო იმერეთში 1,5×1,5 მ და დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში 2,0×1,5 მ კვების არის პირობებში, სადაც ფაქტიურად სტოვებენ 12—24 კვირტს თითოეულ ვაზზე, არასაკმაოდ უნდა ჩაითვალოს. ეს ძლიერ უშლის ხელს მოსავლიანობის აწევას.

მაღალი და მყარი მოსავლიანობის უზრუნველყოფ აგროლონისძიებათა სისტემის გამოყენების დროსაც აუცილებელია ვაზის ოპტიმალურად დატვირთვა; უამისოდ სხვა აგროლონისძიებებს არ შეუძლია სათანადო ეფექტის მოცემა.

რა ფაქტორებით განისაზღვრება ვაზის მაღალი მოსავლიანობა? ეს დამოკიდებულია სანაყოფე კვირტების რაოდენობაზე, თანაყოფილის რიცხვზე, რო-

მელიც ჩაისახა ამ კვირტებში წინა წელს, და მტევნების სიდიდეზე; რამდენადაც მეტია სანაყოფე კვირტები, რამდენადაც მეტი მტევნები ჩაისახა მათში და რამდენადაც მეტია მტევნის წონა, მით მეტია მოსავალი.

კონკრეტულ ეკოლოგიურ პირობებში და ჯიშის ფარგლებში სანაყოფე კვირტების რაოდენობას, მათში ჩასახულ თანაყვავილთა რიცხვს და მტევნების სიდიდეს განსაზღვრავს ვაზის განვითარების სიძლიერე და აგროტექნიკის დონე, რომელსაც ფლობს წარმოება თავისი განვითარების ეტაპზე. ესენი განსაზღვრავენ ვაზის ოპტიმალური დატვირთვის სიდიდეს. ჩვენ მიერ კვლევის შედეგად მიღებული ცდების მონაცემებს ვაზის რაციონალური ფორმირების დამუშავებასთან დაკავშირებით (დასავლეთ საქართველოს პირობებში) მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ვაზის ფორმირება გათვალისწინებული ვარჯის მაგარი ჩონჩხის შექმნით (მრავალწლოვანი მხრები) და მასზე სწორად განლაგებული ყლორტებით, საგრძობლად აღიდეგს მოსავალს ჩვეულებრივ ფორმირებასთან შედარებით (გიუო და სხვა).

რამდენადაც ძლიერ განვითარებულია ფესვთა სისტემის მშთანთქმელი ზედაპირი, მით უფრო მეტია მოსავალი. ვაზის ძლიერი განვითარების პირობებში მოსავლიანობა განსაკუთრებით დამოკიდებულია აგროტექნიკის დონეზე; მთელ აგროტექნიკურ ღონისძიებათა ხარისხობრივად და დროულად გამოყენებაზე. ამ აგროტექნიკური ღონისძიებებიდან მოსავლიანობის გადამწყვეტ ფაქტორად, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, უნდა ჩაითვალოს ოპტიმალური დატვირთვა, ე. ი. ვაზის სწორად გასხვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიადაგის ზედმიწევნით კარგი დამუშავებით და ვენახის კარგად მოვლით მაინც არ შეგვიძლია უზრუნველყოთ მაღალი მოსავალი, თუ ვაზი არ იქნება სათანადოდ გასხლული. მეტი ან ნაკლები კვირტების დატოვებით, ე. ი. ვაზის მეტი თუ ნაკლები დატვირთვით, შეიძლება გავადიდოთ ან შევამციროთ მოსავალი. ამრიგად, ვაზის გასხვლა ითვლება მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოდ და მასზე უშუალოდ დამოკიდებულია მოსავლიანობა.

ვაზის ოპტიმალურად დატვირთვის არსი შემდეგში გამოიხატება: ვაზზე იმდენი კვირტი უნდა დავტოვოთ, რამდენსაც შეუძლია უზრუნველყოს მაღალი მოსავლიანობა ვაზის ღონისა და მისი მსხმოიარების შეუმცირებლად; ამისათვის უნდა განისაზღვროს წონასწორობა საასიმილაციო ზედაპირსა (რომელიც უზრუნველყოფს ფოტოსინთეზს) და ფესვთა სისტემას შორის (რომელიც უზრუნველყოფს წყლით და მინერალური საკვებით მომარაგებას). დიდი ხანია შემჩნეულია, რომ თუ ვაზი გადაიტვირთა ზედმეტი კვირტების დატოვებით, შეიძლება იმდენად დასუსტდეს, რომ შემდეგ წლებში მცირე მოსავალი მოგვეცეს. ნაკლები დატვირთვის დროს ყლორტები ძლიერ იზრდება, რაც იწვევს მცირე მოსავლიანობას შემდეგ წლებში. მაშასადამე, დატოვებული კვირტების რაოდენობის განსაზღვრა ითვლება მნიშვნელოვან ამოცანად, რომლის სწორად გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მოსავლიანობის გადიდება, საკმაო სიძლიერის ზრდა და ვაზის ხანგრძლივობა.

პროფ. რ ა ვ ა ზ ი ს [2] გამოკვლევების მიხედვით, ზრდის სიძლიერეს, მოსავალსა და ხარისხს შორის განსაზღვრული შეფარდებაა. ამ გამოკვლევებით

დადგენილი იყო ოპტიმალური შეფარდება მოსავლის წონისა ერთწლიან ნაზარდის წონასთან. რავაზის განსაზღვრით, საფრანგეთის სხვადასხვა რაიონისა და სხვადასხვა ჯიშისათვის ეს შეფარდება უნდა მერყეობდეს 4—6-მდე. თუ ეს შეფარდება 6-ზე მეტი აღმოჩნდა, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ვაზები გადატვირთულია მოსავლით, ხარისხისა და ნაზარდის საზიანოდ. თუ ეს შეფარდება 4-ზე ნაკლებია, მაშინ ვაზები დაუტვირთავია. პროფ. მერჟიანიანის განსაზღვრით [3], ყუბანის პირობებში იმ ჯიშებისათვის, რომლებსაც საშუალო ზრდა აქვს და საშუალო მსხმოიარების კოეფიციენტი, შეფარდება 6-ს უდრის. ნაკლები მსხმოიარების კოეფიციენტისა და ძლიერი ზრდის მქონე ჯიშებისათვის (გალანი, თავრიზი) შეფარდება 6-ზე ნაკლები იყო. დიდი მსხმოიარების კოეფიციენტისა და ნაკლები ზრდის სიძლიერის მქონე ჯიშებისათვის (ალიგოტე) შეფარდება 8-ს და მეტსაც უდრიდა. მიუხედავად იმისა, რომ პროფ. რავაზის დასკვნები საფრანგეთის პირობებისათვის დიდ ღირებულებას წარმოადგენს, ვაზის ოპტიმალური დატვირთვის განსაზღვრა რავაზის მეთოდით დასავლეთ საქართველოს პირობებისათვის მიუღებელია.

წლიური ნალექების საგრძნობი რაოდენობის არათანაბარი განაწილება ვაზის განვითარების ფაზების მიხედვით, რასაც ადგილი აქვს, განსაკუთრებით ზოგიერთ წლებში, დასავლეთ საქართველოს პირობებში, როდესაც ნალექების დიდი რაოდენობა მოდის ვაზის ან გაძლიერებული ზრდის, ან მარცვლის სიმწიფის პერიოდში, აუცილებლად შეცვლის პროფ. რავაზის მეთოდით დადგენილ შეფარდებას (მოსავლის წონა შეფარდებული წლიური ნაზარდის წონასთან).

სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ვაზის ოპტიმალური დატვირთვის დადგენას, როგორც მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ აგროლონისძიებას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დატვირთვის ცდებში, რომლებიც ჩაატარა უკრაინის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ნაუმენკო) ჯიშებზე შასლა-დორე, შასლა ვარდისფერი და გამე-ნუარი, დატვირთვის ნორმის გადიდება 16-დან 28 კვირტამდე საგრძნობი ვავლენა არ მოახდინა მოსავლის ხარისხზე და საკმაოდ გადიდებული მოსავალი მოგვცა, როგორც ეს ჩანს ქვემოთოყვანილი ცხრილიდან (5).

ანალოგიური ცდები ჩაატარა ანაპის საცდელმა სადგურმა (1939 წ.) რისლინგზე კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში „ჯემეტე“ და თვით საცდელ სადგურში. შედეგები ასეთია [6]: სადგურის საცდელ ნაკვეთზე დატვირთვის 50%-ით გადიდება (წინააღმდეგ არსებული 47,8 კვირტისა საშუალოდ ვაზზე) მოსავალი 12%-ით გაზარდა, მაშინ, როდესაც დატვირთვის 50%-ით გადიდება „ჯემეტის“ საბჭოთა მეურნეობაში (წინააღმდეგ 75 კვირტისა საშუალოდ ვაზზე) მოგვცა მოსავლის არა მატება, არამედ შემცირება (92%). კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში დატვირთვის 25% გადიდებით (წინააღმდეგ 38,6 კვირტისა) მოსავალი 31%-ით გაიზარდა. შემდგომ გადიდებას (50%) უკვე არ მოჰყვა მოსავლის ზრდა.

დაღესტნის საცდელი სადგურის მიერ დერბენტის რაიონში 1939 წელს ჩატარებული ცდების მონაცემების მიხედვით, დატვირთვის 25% გადიდებით აგადაის ჯიშზე (წინააღმდეგ 13,8 კვირტისა საშუალოდ ვაზზე) მოსავალი



მოსავლის ელემენტების ცვლელადობა ვაზის სხვადასხვა დატვირთვისთან დაკავშირებით (უკრაინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაკვირვებანი 1934 წელს).

გასხვლის ვარიანტი	ფაქტურად დატვირთული კვირტები	განვითარებული კვირტები	განვითარებული კვირტები %/0-ით	მშობლიარე ყლორტები %/0-ით	მტვევნების რაოდენობა ვაზზე	მტვენის ს.მუალა წილა გრ-ით	ვაზის მოსავალი კვ-ით	ტვილის მაქიანობა %/0-ით	ტვილის მუდონობა %/0-ით
შ ა ს ლ ა-დ ო რ ე									
16 კვირტი	19.9	14.5	72.9	73.2	21.9	117.0	25.7	16.8	4.2
22 კვირტი	22.7	15.1	66.5	70.8	22.7	116.0	2.65	16.4	4.2
28 კვირტი	27.1	17.8	65.7	73.5	31.0	126.0	3.94	15.7	4.4
შ ა ს ლ ა ვ ა რ დ ის ფ ე რ ი									
16 კვირტი	29.6	12.7	64.7	77.8	22.4	152.0	3.41	15.5	3.9
22 კვირტი	25.2	17.9	71.0	77.4	34.5	116.0	4.01	14.7	3.9
28 კვირტი	27.8	18.8	67.5	76.9	35.4	133.0	4.74	14.8	3.9
გ ა მ ე-ნ უ ა რ ი									
16 კვირტი	19.2	12.3	64.1	81.4	29.4	76.9	2.266	22.8	8.6
22 კვირტი	25.5	17.2	67.4	84.3	32.7	88.3	2.881	22.7	8.4
28 კვირტი	30.1	20.8	59.1	86.9	35.6	90.8	3.231	21.0	8.2

50%-ით გაიზარდა. რქაწითელის დატვირთვის 50% გადიდებით (წინააღმდეგ 25,4 კვირტისა) მოსავალი 37%-ით გაიზარდა. ამრიგად, ზემომოყვანილი ცდები დატვირთვაზე, ჩატარებული სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ, ადასტურებს ვაზის დატვირთვის ნორმების დადგენის დიდ მნიშვნელობას მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

ს ა ვ ე ლ ე ც დ ე ბ ი

ვაზის ოპტიმალური დატვირთვის დადგენის და მისი ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით ჩვენ მიერ დაყენებული იყო ცდები იმერეთის სამ ძირითად ზონაში, რომლებიც განსხვავდებიან ერთი მეორისაგან ნიადაგური და კლიმატური პირობებით.

1. მთიანი ზონა, ძლიერ დასერილი მთის ქედებით, ხშირად მეტად მნიშვნელოვანი დაქანებებით, ზღვის დონიდან 350—600 მეტრის ფარგლებში. ამ ზონაში შედის შემდეგი ადმინისტრაციული რაიონები: ორჯონიკიძის, საჩხერის, ჭიათურის და ზესტაფონის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი;

2. ცენტრალური ბორცვებიანი ზონა, რომელიც ხასიათდება უფრო რბილი რელიეფით, ზღვის დონიდან 200—300 მეტრის სიმაღლით. ამ ზონას ეკუთვნის შემდეგი ადმინისტრაციული რაიონები: ზესტაფონის, ჩხარის და მაიაკოვსკის ჩრდილო-აღმოსავლეთის ბორცვებიანი ნაწილი (სოფლები: ოზჩა, დიმი, მაიაკოვსკი, ფერსათი);

3. ქვემო დაბლობი ზონა, რომელიც დაკავებულია ძირითადად რიონის დაბლობით, ზღვის დონიდან 100—200 მეტრია. ამ ზონაშია შემდეგი ადმინისტრაციული რაიონები: წულუკიძის, სამტრედიის, ვანის, ქუთაისის, წყალტუბოსა და მაიაკოვსკის დაბლობი ნაწილი.

იმერეთის რელიეფის სხვადასხვაობას არ შეიძლება გადავლენა არ მოეხდინა ზემოაღნიშნული ზონების კლიმატურ და ნიადაგურ თავისებურებაზე.

ა. შატსკის მონაცემებით [7], აღნიშნული ზონების კლიმატური პირობები შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

ჰაერის მრავალწლიური საშუალო ტემპერატურა: მთავორიანი ზონის—13,4° (ჭიათურის მეტ. სადგურის მონაცემებით), ქვემო ზონის—14,5° (წულუკიდის მეტ. სადგურის მონაცემებით), ცენტრალურის—14,1° (საქარის მეტ. სადგურის მონაცემებით);

ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა: მთავორიანი ზონის—70%, ცენტრალურის—73% და ქვედა ზონის—77%;

ნალექების წლიური ჯამები: მთავორიანი ზონის—925 მმ (წიფის მეტ. სადგ. მონაცემებით), ცენტრალური ზონის—1150 მმ (საქარის მეტ. სადგ. მონაცემებით) და ქვედა ზონის—1555 მმ (წულუკიდის მეტ. სადგ. მონაცემებით);

ტენის ბალანსი (გამონაგარიშებული შატსკის მეთოდით): მთავორიანი ზონაში 420 მმ უდრის, ცენტრალურ ზონაში 510 მმ და ქვედა ზონაში 750 მმ.

ი. დონჯაშვილის მონაცემების მიხედვით [8], ზემო იმერეთში გავრცელებულია ნეშომპალა-კარბონატული, მცირე სიღრმის ხირხატიანი ნიადაგები; ცენტრალურ ზონაში—კარბონატული თიხნარი და მძიმე თიხიანი, საკმაო სიღრმის, აგრეთვე ზოგიერთ ადგილში გაეწრებული ნიადაგები; ქვედა ზონაში—ალუვიური თიხიანი, ზოგ ადგილზე გაეწრებული ნიადაგები.

ზემოაღნიშნული ზონების კლიმატური და აგრეთვე ნიადაგური პირობები გავლენას ახდენს ვაზის ზრდა-განვითარებაზე, მოსავლიანობასა და ხარისხზე. რამდენადაც დიდდება სიმაღლე ზღვის დონიდან, ე. ი. რიონის დაბლობიდან სურამის უღელტეხილამდე, შესაფერისად ემჩნევა ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის მაჩვენებლების შემცირება; პროდუქციის (ღვინის) ხარისხი კი გარკვეულ სიმაღლემდე უმჯობესდება. ძირითად ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს ზრდაზე, მოსავლიანობაზე და პროდუქციის ხარისხზე, ტენიანობის ბალანსი უნდა ჩაითვალოს.

ზემო იმერეთში ცდები დაყენებული იყო საწარმოო ჯიშებზე შემდეგ ადმინისტრაციულ რაიონებში:

ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოული) რაიონი—სოფ. ბაზალეთის კოლმეურნეობა „მტკიცე კავშირში“, ჯიში ციცქა. ცდები ჩატარდა შემდეგისკემით (გარიანტები): 1. დატვირთვა—10 კვირტი (საკონტროლო, სტანდარტული სხვა); 2. დატვირთვა—13 და 16 კვირტი (დატვირთვის გადიდება 25% და 50%-ით); ფორმირება ადგილობრივი (ქართული), ერთი ან ორი სანაყოფე რქით; კვების არე—1,25 მ×1,25 მ; ნიადაგი ნაკლები სიღრმის, ხირხატიანი, ნეშომპალა-კარბონატული. ნაკვეთი მდებარეობს ფერდობზე. სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 50, ოთხი განმეორებით. მოვლა-დამუშავება ჩატარდა მევენახეობის აგროწესებით ვათვალისწინებულ ვადებში, სრული მინერალური სასუქის ფონზე. სასუქად შეტანილი იყო: სულფატ-ამონიუმი, სუპერ-

ფოსფატი და კალიუმის მარილი. დაკვირვებები ტარდებოდა 2 წლის მანძილზე (1938—1939 წლებში).

ჭიათურის რაიონი—სოფ. შუქრუთში, წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში, ჯიში ქვიშხური. კვების არე 1,5 მ×1,5 მ; ნაკვეთი მდებარეობს მცირედ დაქანებულ ფერდობზე; ნიადაგი კარბონატული, ორმა, საკმაოდ ნოყიერი; ფორმირება გიუოს წესით (შპალერული); ცდები მიმდინარეობდა 1946—1947 წლებში, ორგანული სასუქის ფონზე (ნაკელი). საცდელად აღებული იყო 2 დატვირთვა: 9 და 18 კვირტი. სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 50, ოთხი განმეორებით.

ცენტრალურ იმერეთში ცდები დაყენებული იყო საწარმოო ჯიშებზე შემდეგ ადმინისტრაციულ რაიონებში:

ზესტაფონის რაიონი—სოფ. არკვეთის ბერიას სახ. კოლმეურნეობაში. კვების არე 1,45 მ×1,20 მ; ნაკვეთი ვაკე, ნიადაგი ეწერი; ფორმირება გიუოს წესით (შპალერი). ცდა დაყენებული იყო შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 10 (საკონტროლო), 13 (გადიდება 25%-ით), 18 (გადიდება 75%-ით) და 20 კვირტით (გადიდება 100%-ით); სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 100, ოთხი განმეორებით; დაკვირვება მიმდინარეობდა 3 წლის მანძილზე (1939—1941 წ. წ.). ცდის დაყენების წელს შეტანილ იქნა აზოტოვანი სასუქი ლენას გვარჯილის, ფოსფორმეცავა ტომას წილას და კალიუმის მარილის სახით, თვითეული 150 კგ წმინდა ნივთიერების ანგარიშით ჰექტარზე.

სოფ. სვირის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, ჯიშ ცოლიკოურზე; კვების არე—1,40 მ×1,20 მ; ნიადაგი ეწერი; ნაკვეთი მდებარეობს მცირედ დაქანებულ ფერდობზე; ფორმირება გიუოს წესით (შპალერი). ცდა დაყენებული იყო შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 16 (საკონტროლო) და 24 კვირტით (გადიდება 50%-ით); სასუქი შეტანილ იქნა ნაკელის სახით 60 ტონა ჰექტარზე. ცდები მიმდინარეობდა 1938—1939 წლების განმავლობაში; სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 100, ოთხი განმეორებით.

ვაჭევის საბჭოთა მეურნეობაში ჯიშ შარდონზე. ნაკვეთი მდებარეობს ფერდობზე; კვების არე 1,5 მ×1,5 მ; ფორმირება გიუოს წესით (შპალერი); ნიადაგი—გაეწრებული თიხიანი; ცდა დაყენებული იყო შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 12 (საკონტროლო) და 24 კვირტით (გადიდება 100%-ით); ცდები მიმდინარეობდა 1941—1942 წლების განმავლობაში; სასუქი შეტანილია სრული მინერალური სასუქის სახით, თვითეული 150 კგ წმინდა ნივთიერების ანგარიშით ჰექტარზე. სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 100, ოთხი განმეორებით.

სოფ. ქვედა საქარის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ცოლიკოურისა და ციცქის ჯიშებზე; ნაკვეთები ვაკე; კვების არე ცოლიკოურისათვის: 2,0 მ×1,5 მ; ფორმირება ადვილობრივი (ქარაული); ნიადაგი—კარბონატული თიხნარი. ციცქისათვის: კვების არე—1,20 მ×1,20 მ; ცოლიკოურისათვის ნიადაგი—ეწერი, თიხნარი. ცდები დაყენებული იყო 1945 წელს; დაკვირვება მიმდინარეობდა 3 წლის განმავლობაში ორგანულ სასუქის ფონზე (ნაკელი), შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 8—10 კვირტით (საკონტროლო) და 18—20

კვირტით (დატვირთვის გადიდება 75—100%-ით), სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 100, ოთხი განმეორებით.

საქარის საცდელი სადგურის ტერიტორიაზე ჯიშ ციციკაზე; კვების არე 1,5 მ×1,5 მ; ნიადაგი—ალუვიური თიხნარი, ფორმირება გიუოს წესით (შპალერი). ცდები მიმდინარეობდა სრული მინერალური სასუქის ფონზე, სამი წლის განმავლობაში (1942—1944 წ.წ.) შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 20 (საკონტროლო) და 30 კვირტით (გადიდება 50%-ით), სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 100, ოთხი განმეორებით.

სოფელ ზედა საქარის კოლმეურნეობა „ძმობაში“ ციციკის, ცოლიკოურისა და კრახუნას ჯიშებზე. ნაკვეთი ვაკე, კვების არე 1,4 მ×1,1 მ; ფორმირება გიუოს წესით (შპალერი), ნიადაგი—კარბონატული თიხნარი; ცდა დაყენებული იყო 1946—1947 წლებში, მინერალური სასუქის ფონზე შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა—9 (საკონტროლო) და 18 კვირტით (გადიდება 100%-ით), სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 100, ოთხი განმეორებით.

ჩხარის რაიონი—თერჯოლის საბჭოთა მეურნეობაში, ჯიშ ცოლიკოურზე; კვების არე 1,5 მ×1,5 მ; ფორმირება გიუოს წესით (შპალერი), ნიადაგი ეწერი; ნაკვეთი ვაკე. ცდები მიმდინარეობდა 1946—1947 წლებში, სრული მინერალური სასუქის ფონზე შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 10 (საკონტროლო) და 20 კვირტით (გადიდება 100%-ით), სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 100, ოთხი განმეორებით.

სოფ. თერჯოლის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში ციციკისა და ცოლიკოურის ჯიშებზე; კვების არე 2,0 მ×1,5 მ; ფორმირება გიუოს წესით (შპალერი), ნაკვეთი მდებარეობს მცირედ დაქანებულ ფერდობზე; ნიადაგი—გაეწრებული თიხნარი; ცდა მიმდინარეობდა ორგანული სასუქის ფონზე (ნაკელი) 1946—1947 წლებში შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 10 (საკონტროლო) და 20 კვირტით (გადიდება 100%-ით); სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 100, ოთხი განმეორებით.

მაიაკოვსკის რაიონი—მაიაკოვსკის მიკრორაიონში სოფელ ქვედა დიმში, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, ცოლიკოურზე; ნაკვეთი ვაკე. ნიადაგი გაეწრებული; ფორმირება ადგილობრივი (ქართული), კვების არე 2,0 მ×1,5 მ; ცდა მიმდინარეობდა 1945—1946 წლებში ორგანული სასუქის ფონზე (ნაკელი) შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 20 (საკონტროლო), 30 (გადიდება 50%-ით) და 40 კვირტით (გადიდება 100%-ით); სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 50, ოთხი განმეორებით.

სოფელ მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, ჯიშ ცოლიკოურზე; კვების არე 1,5 მ×1,5 მ; ნაკვეთი მდებარეობს ფერდობზე; ნიადაგი გაეწრებული, ხირხატიანი; ფორმირება გიუოს წესით (შპალერი), ცდა დაყენებული იყო 1938—1939 წლებში ორგანული სასუქის ფონზე (ნაკელი) შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 20, 30, 35 და 40 კვირტით; სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 50, ოთხი განმეორებით.

ქვემო იმერეთში ცდები დაყენებული იყო საწარმოო ჯიშებზე შემდეგ ადმინისტრაციულ რაიონებში:

წყალტუბოს რაიონი—სოფ. ყუმისთავის ანდრეევის სახ. კოლმეურნეობაში, ჯიშ ცოლიკოურზე; კვების არე 1,25 მ×1,25 მ; ცდა მიმდინარეობდა 1946 წელს ორგანული სასუქების ფონზე, შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 12 (საკონტროლო) და 18 კვირტით (გადიდება 50%-ით); ნაკვეთი მდებარეობს ოდნავ დაქანებულ ფერდობზე; ნიადაგი გაეწრებული, თიხნარი; ფორმირება ადგილობრივი (ქართული); სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 100, ოთხი განმეორებით.

სამტრედიის რაიონი—სოფ. დიდი ჯიხაიშის სოციალიზმის სახ. კოლმეურნეობაში, ჯიშ ცოლიკოურზე; კვების არე 1,20 მ×1,20 მ; ნაკვეთი ვაკე; ნიადაგი გაეწრებული თიხნარი; ფორმირება გიჟოს წესით (შპალერი). ცდა მიმდინარეობდა 1947 წელს ორგანული სასუქის ფონზე (ნაკელი) შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 14 (საკონტროლო) და 20 კვირტით (გადიდება 50%-ით); სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 50, ოთხი განმეორებით.

ვანის რაიონი—სოფ. ტობანიერის სტალინის სახ. კოლმეურნეობაში, ჯიშ ცოლიკოურზე; კვების არე 1,70 მ×1,70 მ; ფორმირება ადგილობრივი (ქართული); ნაკვეთი მცირედ დაქანებულ ფერდობზე; ნიადაგი გაეწრებული, თიხიანი; ცდა მიმდინარეობდა 1947 წელს შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 10 (საკონტროლო) და 20 კვირტით (გადიდება 100%-ით) ორგანული სასუქის ფონზე; სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 50, ოთხი განმეორებით.

წულუკიძის რაიონი—სოფ. მათხოჯის ბერიას სახ. კოლმეურნეობაში, ჯიშ ცოლიკოურზე, კვების არე 1,5 მ×1,5 მ; ნაკვეთი ვაკე; ნიადაგი გაეწრებული თიხნარი; ფორმირება ადგილობრივი (ქართული); ცდა მიმდინარეობდა 1947 წელს ორგანული სასუქის ფონზე (ნაკელი) შემდეგი ვარიანტებით: დატვირთვა 10 (საკონტროლო) და 20 კვირტით (გადიდება 100%-ით); სააღრიცხვო ვაზების რაოდენობა დანაყოფზე 50, ოთხი განმეორებით.

მეტეოროლოგიური პირობები

იმის უფრო ნათლად წარმოდგენისათვის, თუ რა გავლენას ახდენს მეტეოროლოგიური პირობები ვაზის ნაყოფიანობის ელემენტებზე, მოგვყავს 10 წლის მანძილზე თვითრი საშუალო ნალექების და ტემპერატურის მონაცემები. ამ მხრივ აღსანიშნავია ზოგიერთ წლებში (მაგ., 1939 წ.), შედარებით სხვა წლებთან, მტევენის საშუალო წონის საგრძნობლად გადიდება, რაც მარცვლის სიმწიფის პერიოდში ჭარბი ნალექებით აიხსნება (მაგ., სოფ. სვირის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მონაცემებით).

ცდების მეთოდოლოგია და პირობები

თვითეულ დანაყოფში აღებულია 50-100 სააღრიცხვო, თანაბრად განვითარებული ვაზი, ოთხი განმეორებით. ცდები დაყენებული იყო სრული მინერალური ან ორგანული სასუქების ფონზე. ნიადაგის დამუშავება ხდებოდა საგაზაფხულო-საშემოდგომო თიხნით, ზაფხულზე 3-ჯერ გათოხნით, ნარგავების მოვლა კი—აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში.

ბამოკვლევის ობიექტები

1. აღრიცხვა (თვითეულ ვაზზე) გასხვლის შემდეგ დატოვებული კვირტებისა; ასეთი აღრიცხვის საჭიროება გამოწვეული იყო მით, რომ გასხვლის დროს მოსალდნელი იყო დატვირთვის გადახრები დადგენილი ნორმებიდან;
2. აღრიცხვა განვითარებული კვირტებისა (თვითეულ ვაზზე) შემდეგი დაყოფით: მსხმოიანოე, უნაყოფო და განუვითარებელი—იმ მიზნით, რომ გამოგვეჩვენო, თუ რა გავლენას ახდენს დატვირთვა კვირტების განვითარებასა და ყლორტების მსხმოიარობაზე;
3. აღრიცხვა (თვითეულ ვაზზე) მტევნების რაოდენობისა იმ მიზნით, რომ გამოჩვენოთ იქნეს მსხმოიარობის კოეფიციენტი სხვადასხვა დატვირთვის პირობებში და მტევნების რაოდენობა დატოვებულ თვითეულ კვირტზე;
4. მოსავლის წონა დანაყოფების მიხედვით, იმ მიზნით, რომ განისაზღვროს მტევნის საშუალო წონა, ფაქტობრივი მოსავალი ვაზიდან, დანაყოფიდან და ჰექტარიდან;
5. აღრიცხვა ანასხლავის წონისა (ერთწლიანი რქების) ვარიანტების მიხედვით (ჩატარებულია ზოგიერთ კოლმეურნეობაში).

მასალის განხილვა

ჩატარებული აღრიცხვების შედეგები (ზონების, რაიონების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიხედვით) მოთავსებულია თანდართულ ცხრილებში¹.

ვაზის საშუალო ტემპერატურა 1938 წლიდან 1947 წლამდე თვეებისა და წლების მიხედვით (საქარის აგრომეტ. სადგურის პონაცემების მიხედვით)

Средняя температура воздуха по месяцам и по годам с 1938 по 1947 год
(по данным агрометст. Сакара)

	იანვარი Январь	თებერვალი Февраль	მარტი Март	აპრილი Апрель	მაისი Май	ივნისი Июнь	ივლისი Июль	აგვისტო Август	სექტემბერი Сентябрь	ოქტომბერი Октябрь	ნოემბერი Ноябрь	დეკემბერი Декабрь	წლიური საშუალო Головая Средняя
1938	5,4	3,8	4,1	12,4	18,7	19,8	26,2	26,1	22,0	15,7	10,6	7,9	14,4
1939	5,8	4,6	7,3	12,6	19,4	21,9	23,7	23,2	19,4	15,2	9,8	7,2	14,2
1940	2,6	6,1	6,1	14,9	16,3	22,2	24,3	25,4	20,4	15,0	12,6	7,8	14,4
1941	4,2	8,6	7,4	15,6	19,2	22,6	24,7	23,4	20,6	22,1	7,8	1,8	14,8
1942	2,6	7,1	5,1	11,3	17,2	22,2	22,2	25,1	20,2	16,2	10,9	5,2	13,8
1943	3,9	2,5	5,2	12,0	17,9	20,6	22,2	23,8	20,2	17,3	12,1	6,9	13,8
1944	3,8	5,5	10,0	12,6	15,6	22,1	22,8	22,0	20,4	17,0	11,5	5,5	14,1
1945	5,4	2,7	5,3	9,9	17,2	19,4	23,1	23,5	20,4	13,6	9,4	3,9	12,8
1946	2,6	4,9	7,6	12,1	18,8	22,2	22,6	25,4	21,3	12,6	11,9	5,4	14,0
1947	4,1	6,5	12,2	13,3	18,3	22,6	25,0	22,6	18,4	14,2	11,6	8,0	14,7
საშუალო Средняя	4,0	5,2	7,0	12,7	17,9	21,6	23,7	24,0	20,3	15,9	10,8	6,0	14,1

¹ 1938—1947 წლებში დაგროვილი ციფრობრივი მასალა დაამუშავა და ცხრილები შეადგინა უმცროსმა მეცნიერ მუჟაჰა გ. გაფრინდაშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუძღვნი.



ნალექების რაოდენობა მილიმეტრებით 1938 წლიდან 1947 წლამდე (საქარის აგრომეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების მიხედვით)

Количество осадков в мм-ах с 1938 по 1947 год (по данным агрометстанции Сакура)

	იანვარი Январь	თებერვალი Февраль	მარტი Март	აპრილი Апрель	მაისი Май	ივნისი Июнь	ივლისი Июль	აგვისტო Август	სექტემბერი Сентябрь	ოქტომბერი Октябрь	ნოემბერი Ноябрь	დეკემბერი Декабрь	ნალექ. წლიური რაოდენ. Голов. колич. осадков
1938	81,1	178,4	206,0	116,8	66,4	71,2	60,7	53,6	75,7	20,8	85,2	39,4	1055,3
1939	110,7	165,4	95,0	51,9	99,8	69,7	85,9	142,6	106,6	217,3	140,9	126,7	1412,5
1940	212,8	62,1	77,7	23,0	86,4	67,8	65,0	17,8	36,7	325,6	35,5	165,9	1170,3
1941	152,0	44,6	89,1	55,9	43,9	86,8	45,3	60,1	90,7	172,5	264,2	252,6	1357,7
1942	76,3	27,0	151,2	101,2	74,8	28,2	67,9	20,0	47,4	88,6	138,7	86,3	907,6
1943	127,7	157,4	50,1	45,3	63,3	83,0	40,2	58,8	44,3	140,7	87,4	141,3	1039,5
1944	98,6	192,6	75,7	86,0	138,6	53,4	42,3	39,7	68,3	89,9	42,0	7,4	934,5
1945	80,9	129,8	108,4	151,0	65,1	147,2	36,3	46,5	40,5	236,2	76,5	220,2	1338,6
1946	137,9	82,9	127,0	168,1	57,5	66,7	134,1	20,2	80,4	119,2	82,7	69,9	1146,6
1947	139,9	53,7	30,5	62,7	33,8	112,2	56,2	58,4	152,2	289,2	104,9	87,2	1180,9
საშუალო Средняя	121,8	109,4	101,1	86,2	73,0	78,6	63,4	51,8	74,3	170,0	105,8	119,7	1155,0

ცდების შედეგები ზემო იმერეთში შემდეგ სურათს იძლევა:

ორჯონიკიძის რაიონი — კოლმეურნეობა „მტკიცე კავშირში“ (ცხრილი 1). დატვირთვის 19,6% ვადიდებით 1938 წელს მოსავალი მხოლოდ 12,7%-ით ვადიდა; დატვირთვის 29,3% ვადიდებით 1939 წელს მოსავალი 29%-ით ვადიდა. როგორც ჩანს, მინერალური სასუქების ეფექტანობა უფრო მკვეთრად გამოჟღავნდა მეორე წელს; დატვირთვის შემდგომ ვადიდებას შესაბამისად არ მოჰყოლია მოსავლის ზრდა, პირიქით, მოსავალი კიდევ შემცირდა. მაგალითად: დატვირთვის 69,7%-ით ვადიდებამ (1939 წ.) მოსავალი გაადიდა მხოლოდ 26,3%-ით, მაშინ როდესაც დატვირთვის 29,3%-ით ვადიდებამ (იმავე 1939 წ.) მოსავალი 29%-ით ვადიდა. ეს გვიჩვენებს, რომ ბაზალეთის პირობებში ნაკლები სიღრმის ნეშომპალა-კარბონატულ ხირხატიან ნიადაგებში, არსებულ აგროტექნიკის დონეზე, დატვირთვის ვადიდება 30%-ს ზემოთ ვადაჭარბებულად ითვლება, რაც მტკიცდება ნაყოფიანობის ელემენტების მაჩვენებლებით. მაგალითად, 1939 წელს დატვირთვის 29,3% ვადიდებით განვითარებული კვირტების რაოდენობა 90,5% შეადგენს, დატვირთვის 69,7% ვადიდებით განვითარებული კვირტები კი — 77,7%-ია, ე. ი. საგრძნობლად შემცირდა განვითარებული კვირტების რაოდენობა.

მტევნის საშუალო წონა დატვირთვის 29,3% ვადიდებით მატულობს 3,33%-ით, რაც აიხსნება მტევნის უფრო გაძლიერებული კვებით, უზრუნველყოფილი ფოტოსინთეზის მეტი ინტენსივობით, რაც დაკავშირებულია საასიმილაციო ზედაპირის ვადიდებასთან. დატვირთვის შემდგომი ვადიდებით ემჩნევა მტევნის საშუალო წონის შემცირება (როგორც ვადატვირთვის შედეგი). ასევე საგრძნობლად ემჩნევა მტევნების რაოდენობის შემცირება ერთ დატოვიბულ

კვირტზე 1,11 გადატვირთვის და 1,37 ოპტიმალური დატვირთვის პირობებში. მსხმოიარობის კოეფიციენტი დატვირთვის 29,3% გადიდებით შეადგენს 1,5 (1939 წ.), დატვირთვის შემდგომი გადიდებით კი—1,4-ს, ე. ი. შემცირება ემჩნევა გადატვირთვისთან დაკავშირებით.

ჭიათურის რაიონი—წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში (ცხრილი № 2) დატვირთვის 86,7%-ით გადიდებამ ჯიშ კვიშურზე მოსავალი 1947 წელს 111,1%-ით გააძლია განვითარებული კვირტების, დატოვებულ კვირტზე მტევნების რაოდენობისა და მსხმოიარობის კოეფიციენტის უმნიშვნელო მერყეობით. მტევნის საშუალო წონა დატვირთვის 86,7% გადიდებით გაცილებით მაღალია (223 გრამი), ვიდრე საკონტროლოსი (192,5 გრამი). როგორც ჩანს, არასაკმაოდ დატვირთვა ისეთი ჯიშის, როგორც კვიშურია, რომელსაც შედარებით ძლიერი ზრდა ახასიათებს, სტიმულს აძლევს ვეგეტაციური ორგანოების მეტად განვითარებას, მტევნების განვითარების ანგარიშზე. პირიქით, 1947 წელს თითქმის ასეთსავე დატვირთვას (17,3 კვირტი ვაზზე) მოსავლიანობის ზრდა არ მოჰყოლია საკონტროლოსთან შედარებით, როგორც ეს 1946 წელს ემჩნეოდა. 1947 წელს მოსავალი გადიდდა მხოლოდ 66,2%-ით, რაც, ალბათ, საკვებ ნივთიერებათა ნაკლებობითაა გამოწვეული.

საინტერესოა ამასთანავე აღინიშნოს, როგორც ეს ცხრილებიდან ჩანს, რომ დატვირთვის ცვალებადობით ნაყოფიანობის ელემენტების მაჩვენებლები, როგორცაა: განვითარებული კვირტების რაოდენობა, მტევნების რაოდენობა ერთ კვირტზე, მტევნის საშუალო წონა და ერთწლიანი ნაზარდის წონა (300 გრამი საკონტროლოსი და 265 გრამი დატვირთვით გადიდებული ვაზიდან) საკონტროლოზე დაბლა; დატვირთვის გადიდებით (96%-ით) 1947 წელს ემჩნევა მოსავლიანობის საკმაოდ ზრდა (66,2%), მაგრამ თუ ვიმსჯელებთ ნაყოფიანობის ელემენტების მაჩვენებლებით, ამჟამად მიღებული დატვირთვის 86,7% და 96,1% გადიდებით ვაზი რამოდენიმედ გადატვირთულად უნდა ჩაითვალოს აღნიშნული კოლმეურნეობის აგროტექნიკის დონის პირობებში (შუქრუთი).

ცდების შედეგები ცენტრალურ იმერეთში შემდეგ სურათს იძლევა:

ზესტაფონის რაიონი—არგვეთის საბჭოთა მეურნეობაში ჯიშ ცოლიკოურის (ცხრ. № 3) დატვირთვის 30% გადიდებით მოსავალი 1939 წელს 22,8% და 1941 წელს 24,8% გადიდდა. დატვირთვის 77% გადიდებით 1939 წ.—60,3%-ით, 1941 წელს—40,9%-ით. დატვირთვის შემდგომი გადიდებით (100%-ით) მოსავალი სათანადოდ არ გადიდებულა; საკონტროლოსთან შედარებით გადიდდა მხოლოდ 1939 წელს—145,5%-ით და 1940 წელს—39,7%-ით. როგორც ჩანს, დატვირთვა 18-20 კვირტის დატოვებით, ე. ი. ამჟამად მიღებული დატვირთვის გადიდება 50%-ით, არგვეთის საბჭოთა მეურნეობის პირობებში ოპტიმალურად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ნაყოფიანობის ელემენტების მკვეთრ მერყეობას ვარიანტთა შორის ვერ ვპოულობთ.

მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (ცხრილი № 4) მიღებული დატვირთვის (ცოლიკოურის ჯიშზე) 52% გადიდებით (1938 წ.) მოსავალი 43,5%-ით გადიდდა, დატვირთვის 77% გადიდებით (1939 წ.) მოსავალი 74,5%-ით გადიდდა. მტევნის საშუალო წონა დატვირთვის გადიდებით როგორც პირველ, ისე მეორე წელს შესამჩნევად დიდდება—125 გრამი წინააღმდეგ 121 გრამისა პირველ წელს და 212 გრამი წინააღმდეგ 200 გრამისა მეორე წელს (6,8%); მსხმოიარობის კოეფიციენტი დატვირთვის გადიდებით მატულობს ცდის მეორე წელს—1,75 წინააღმდეგ 1,70-ისა.

1	მტს-ის	45/9,8	54/7,3
2	ინსტიტუტის	51,4/8,0	57/5,7
3	სადგურის	44/9,6	54/7,8

მუშაობა ჩატარებულია არგვეთის საბჭოთა მეურნეობის ვენახში

ცხრ. № 2

სარეველების რაოდენობა 80^ა მეტრზე

№№ რიგზე	კულტივატორის დასახელება	სარეველების რაოდენობა კულტივაციამდე	სარევე. რაოდ. კულტივატორის გატარების შემდეგ	სარეველების მოსპობის %
1	მტს-ის	1005	380	65,1
2	ინსტიტუტის	1213	520	57,1
3	სადგურის	1120	313	69,3

მტს-ის კულტივატორს, როგორც ზევით არის ნათქვამი, მაქსიმალური გაშლის შემთხვევაში აქვს სიგანე 84 სმ და აკმაყოფილებს 1,5 და 2 მეტრიან რიგთაშორისის კულტივაციას ორჯერ გავლით იქეთ-აქეთ. მისი მაწარმოებლობა დღიურად (8 საათში) უდრის 0,7—0,8 ჰას.

სადგურის კულტივატორი კი ერთი მუდმივი სიგანისაა; მისი სამუშაო სიგანე უდრის 75 სმ-ს და 1,5 მეტრ რიგთაშორისიან ნარგავებში საჭიროა გავატაროთ ორჯერ, ორმეტრიანში კი სამჯერ. მისი მაწარმოებლობა 8 საათში უდრის 0,6—0,7 ჰას.

ინსტიტუტის კულტივატორს, მისი ზემოაღნიშნული დეფექტების გამო, სავლელ გამოცდაში დიდი ხნით მონაწილეობა არ მიუღია და ცნობებიც აღარ გვაქვს.

მტს-ის და საცდელი სადგურის მიერ გადაკეთებული კულტივატორები იმთავითვე გავრცელებულ იქნა წარმოებაში და რჩევა მიეცა კოლმეურნეობებს ასეთები დაემზადებინათ საცდელი სადგურის დახმარებით.

სადგურის კულტივატორი გამოცდილი იყო აგრეთვე ზესტაფონის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში, უფრო მძიმე პირობებში როგორც ნიადაგის მექანიკური შედგენილობის, ისე ნაკვეთის დასარეველიანების მხრივ.

მიუხედავად ამისა კულტივატორმა დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა

დ ა ს კ 3 5 ა

მოყვანილი მასალებით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. წულუკიძის მტს-ის ცხენის კულტივატორი როგორც მძიმე, ისე მსუბუქ პირობებში ვენახის რიგთაშორისი კულტივაციის ჩასატარებლად საკლებით აკმაყოფილებს აგროტექნიკურ მოთხოვნას, ოღონდ საჭიროა მისი წონის შემცირება და აგრეთვე ცენტრალური ზოლის თათის სივანის შემცირება, ვინაიდან ის დამუშავებულ ფართობზე სტოვებს ღარისებურ კვალს;

2. საქარის საცდელი სადგურის მიერ რეკონსტრუირებული ცხენის წვევის კულტივატორი, რომელსაც გაუკეთდა ფოლადისაგან დამზადებული ხუთი მკვიდრი ბატისთათისნაირი თათი და უმავე დროს მყარი მუშაობისათვის გამაგრებულია გვერდითი ზოლები მუდმივი განბიჯებით, საველე გამოცდის და წარმოებაში მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით სრულიად მისაღები აღმოჩნდა გასაავრცელებლად როგორც მძიმე, ისე მსუბუქ პირობებში ვახის რიგთაშორისი მანძილის კულტივაციისათვის.

Л. КОЧИАНВИЛИ

О МЕХАНИЗАЦИИ МЕЖДУРЯДНОЙ ОБРАБОТКИ В ВИНОГРАДНИКАХ

Летняя обработка—культивация междурядий в виноградниках производится на глубину 6—12 см обычными культиваторами на конной тяге и тракторными орудиями—лушильником и тракторным культиватором.

Эти орудия служат поверхностному разрыхлению почвы после ее основной обработки—вспашки в целях сохранения влажности и уничтожения сорняков.

При междурядной обработке для защиты лоз от повреждений нужно оставлять для орудия полосу с каждой стороны ряда шириной в 20—25 см.

Любое орудие при летней обработке междурядий должно удовлетворять следующим условиям:

- 1) высокое качество культивации, выражающееся в разрыхлении на равномерную глубину и уничтожении сорняков;
- 2) возможность регулирования глубины в пределах 6—12 см;
- 3) взаимное перекрытие друг друга рабочими лапами на 2—3 см для лучшей борьбы с сорняками;
- 4) почва не должна забиваться и застревать между лапами;
- 5) устойчивость культиваторов в работе и незначительность деривации.

Среди культиваторов на конной тяге нет еще таких, которые в достаточной мере отвечали бы всем этим условиям.

За последние годы на Сакарской опытной станции виноградарства и виноделия подверглись испытанию три культиватора на конной тяге:

- 1) изготовленный в местной мастерской МТС Цудукидзеvского района („МТС“);
- 2) реконструированный Институтом виноградарства и виноделия АН Грузинской ССР („Институт“);
- 3) „Планет“ № 8, реконструированный Сакарской опытной станцией („Станция“).

Техническое описание культиваторов

1. Культиватор „Планет“ № 8 подвергся следующей переделке:

Все крайние лапы, числом четыре, укрепленные на боковых полосах культиватора, заменены так наз. гусиными; лапы на средней полосе оставлены без изменения. Рабочая ширина новых лап составляет 20 см. Кроме того снят регулятор ширины и вместо него на центральной полосе установлен постоянный ограничитель, закрепленный на боковых полосах. Это придает культиватору большую устойчивость в работе и он работает на определенной ширине, которая равна 75 см.

Рабочие органы—лапы взаимно так расположены на всех трех полосах культиватора, что перекрывают друг друга на 2—3 см, а это дает лучшие результаты в борьбе с сорняками.

Габариты культиватора „Станция“:

- а) длина — 155 см
- б) ширина — 75 „
- в) высота — 28 „

2. Габариты культиватора „МТС“:

- а) длина — 140 см
- б) ширина — 84 „
- в) высота — 28 „

Минимальная ширина при замкнутых боковых полосах составляет 38 см.

Вес—42 кгр.

Культиватор имеет семь рабочих лап, три на боковых полосах и одну на центральной полосе. Боковые лапы имеют так наз. форму оленьего языка и только седьмая на центральной полосе—гусиноголапчатая шириной в 35 см.

Культиватор располагает регулятором ширины, предельная рабочая ширина 84 см.

Все части культиватора изготовлены в мастерской МТС.

3. Культиватор реконструированный Институтом виноградарства и виноделия АН Грузинской ССР почти той же формы, что и культиватор

МТС Цулукидзеовского района, но изготовлен из более легкого материала и не имеет регулятора ширины.

Габариты культиватора „Институт“:

- а) длина — 145 см
- б) ширина — 70 „
- в) высота — 30 „

Вес — 37,4 кгр.

Полевые испытания

Для испытания этих культиваторов в полевых условиях были выделены участки виноградников с почвами различных типов: один на территории Сакарской опытной станции, а другой в Аргветском совхозе в насаждениях с расстоянием между рядами в 1,5 и 2 м.

Опыты производились после однократной или двукратной вспашки. Опытные участки делились на делянки для четырехкратного повторения.

Опыты повторялись на протяжении трех лет и в их процессе изучались: заглубление культиватора в почву, качество рыхления почвы, уничтожение сорняков, ширина необрабатываемой площади и оценка управления культиваторами как с точки зрения рабочего, так и легкости для тягловой силы.

Опускание в глубину, как известно, происходит посредством колеса, однако культиватор „Институт“ не удалось подчинить этому правилу. При подъеме колеса две передние лапы сразу уходят в глубину, а остальные пять остаются на поверхности. Таким образом заглубление всех лап на одинаковую глубину оказалось недостижимым.

Что касается культиваторов „МТС“ и „Станция“, несмотря на различие в конструкции, они хорошо удовлетворяют агротехническим требованиям.

До опытов культиватор „Станция“ был в работе на сильно засоренных участках виноградника Сакарской опытной станции и сорняки почти совершенно были уничтожены.

Оба указанные культиватора устойчивы в работе и допускают регулирование глубины культивации по желанию. Однако культиватор „МТС“ сравнительно тяжелее и желательно уменьшить вес его деталей. Он не имеет других недостатков, если не принять в расчет, что задняя лапа, помещающаяся на средней полосе, слишком широка (30 см); обрабатываемая им площадь не имеет ровной поверхности и оставляет по ходу желобообразную борозду.

В каждом отдельном случае после культивации производилось измерение необработанной площади по обе стороны ряда лоз. Результаты измерений даны в нижеследующей таблице:

Табл. № 1.

№ поряд.	Наименование культиватора	Ширина необработанной полосы по сторонам ря- да и глубина обработки в см		Примечание
1	„МТС“	45/9,8	54/7,3	В виноград- нике Ар- гветского совхоза
2	„Институт“	51,4/8,0	57/5,7	
3	„Станция“	44/9,6	54/7,8	

Кроме того учтены сорняки, среди которых особенно были распро-
странены пырей и гумай. Учет сорняков производился следующим об-
разом:

До культивации между рядами в полосе, отведенной каждому куль-
тиватору, подсчитывалось количество сорных трав. После культивации
для каждого культиватора подсчитывались оставшиеся сорняки.

Получена следующая картина:

Количество сорняков на 80 м²

Табл. № 2.

№№ по порядку	Наименование культиватора	Количество сорняков до культи- вации	Количество сорняков после куль- тивации	% уничто- жения сор- няков
1	„МТС“	1005	380	65,1
2	„Институт“	1213	520	57,1
3	„Станция“	1120	313	69,3

Как отмечалось, культиватор „МТС“ имеет максимальную ширину в
84 см и культивация 1,5—2 метровой полосы между рядами достигается
проходкой туда и обратно; его дневная производительность (за 8 часов)
0,7—0,8 га.

Культиватор „Станция“ имеет постоянную ширину в 75 см и дол-
жен пройти в 1,5-метровой полосе дважды, а в 2-метровой трижды; его
дневная производительность 0,6—0,7 га.

Культиватор „Институт“, ввиду отмеченных дефектов, не принимал
длительного участия в опытах и данных о нем мы уже не имеем.

Культиватор „МТС“, реконструированный Сакарской опытной стан-
цией, не внедрен в производство и колхозам дается совет изготовлять
такие культиваторы с помощью опытной станции.

Культиватор „Станция“ был испытан также в одном из колхозов
Зестафонского района в более трудных условиях, как в отношении меха-
нического состава почвы, так и обилия сорняков. Культиватор и в этих
условиях дал положительные результаты.

В Ы В О Д Ы

Приведенные материалы позволяют сделать следующие выводы:

1. Культиватор МТС Цулукидзеvского района на конной тяге, как в трудных, так и в легких условиях, полностью удовлетворяет агротехническим требованиям для культивации площадей между рядами виноградной лозы, необходимо только уменьшить его вес и ширину лап центральной полосы во избежание оставляемой ими желобообразной борозды.

2. Культиватор на конной тяге, реконструированный Сакарской опытной станцией и снабженный пятью прочными стальными гусиными лапами и укрепленный для устойчивой работы постоянными ограничителями боковых полос, по выполненной им при полевых испытаниях и в производстве работы оказался вполне приемлемым для культивации междурядий виноградников как в легких, так и трудных условиях.



ა. ცერცვაძე

ქართული ვაზის ზოგი ჯიშის კულტურა საქართველში (დასავლეთ საქართველოში)

უ მ ს ა ვ ა ლ ი

საქართველოში ძველთაგანვე მისდევდნენ მევენახეობას, რადგან ამას აქაური ჰავა ხელს უწყობს. სოფლის მეურნეობის ეს დარგი დიდად არის განვითარებული ჩვენს მთავარ რაიონებში.

ამიტომ, რომ ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ, მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მევენახეობის განვითარებას.

ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების მიუხედავად, მევენახეობის განვითარება ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩამორჩენილი იყო. ამის მთავარი მიზეზია მილდიუს, ოიდიუმისა და ფილოქსერას გაჩენა და აგრეთვე იმპერიალისტური ომი.

ამ გარემოებათა მიზეზით ვენახების ფართობი დასავლეთ საქართველოში 1875 წლის შემდეგ 40.000 ჰექტარიდან 20.000 ჰექტარზე ჩამოვიდა.

ისტორიული ცნობების მიხედვით, მევენახეობამ საქართველოში განვითარების შემდეგი 4 ხანა განვლო:

I ხანა — ღრმა წარსულიდან მოყოლებული ვიდრე სოკოვან დაავადებათა გაჩენამდე, ე. ი. 1845 წლამდე. ეს ხანა ცნობილია ვენახების ვრცელი ფართობითა და დიდი მოსავლით. კულტურის მოვლა ამ ხანაში განსაკუთრებულ აგროლონისძიებებს არ მოითხოვდა.

II ხანა — 1845 წლიდან ვიდრე 1890 წლამდე. სოკოვან დაავადებათა გავრცელების წყალობით დაზიანდა ადგილობრივი საწარმოო ჯიშები და მოსავლიანობა დიდად შემცირდა.

III ხანა — იწყება 1890 წლიდან და გრძელდება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ეს იყო ხანა ვენახების აღდგენისა ფილოქსერის მიმართ გამძლე ამერიკულ საძირებზე, წვრილი გლეხური მეურნეობების ხარჯზე.

IV ხანა — სოციალისტური მევენახეობის ხანა. მას ეკუთვნის ღირსშესანიშნავი დადგენილებები, როგორებიცაა: საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მევენახეობის შემდგომი განვითარების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ მევენახეობისა და ხარისხოვანი ელვინეობის განვითარების შესახებ“. ეს ხანა ხასიათდება ჩვენი მევენახეობის აღორძინებით მსხვილი საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების სახით, მშრომელ მოსახლეობაში აგროწესების შეტანით, დამუშავების ძველი

ხერხების გაუმჯობესებითა და დიდ ახალ-ახალ მასივებში ვენახების ჩაყრით. 1946 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული კანონი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს მევენახეობის შემდგომ აღმავლობას. 1950 წლისათვის ვენახების ფართობი 70,000 ჰექტარს უნდა შეადგენდეს, ე. ი. დამატებით 11,000 ჰექტარი ახალი ვენახები უნდა ჩაიყაროს.

ჩნდება მევენახეობის ახალი რაიონები—ახალციხას, ადიგენისა და ასპინძის, სადაც განზრახულია 2313 ჰექტარი ვენახის გაშენება.

ფილოქსერას გავრცელებასთან დაკავშირებით დაიღუპა მრავალი საკუთარფესვიანი ვენახი ფილოქსერას მიმართ გაუძლისი ჯიშებით და შერჩენილი ბევრი შედარებით გამძლეჯიშოიანი. ეს უკანასკნელნი მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენენ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში მევენახეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

ამ საკუთარფესვიანი ვენახებით დაინტერესებამ ჩაგვატარებინა ნამყენი და საკუთარფესვიანი ვენახების შედარებითი შესწავლა რაიონობლივ, ფილოქსერას მიმართ სხვადასხვა ჯიშის პრაქტიკული გამძლეობის თვალსაზრისით.

მუშაობისას ყურადღება ექცეოდა:

1. ვაზის სოკოვან დაავადებათა გავრცელების ისტორიის საქართველოში;
2. ფილოქსერას გავლენას ვაზზე;
3. ვენახების დაღუპვის მიზეზებსა და
4. ადგილობრივი ვაზის ჯიშების ყოფა-ქცევას.

ვაზის ფიტოპათოლოგიურ და ენტომოლოგიურ დაავადებათა გავრცელების ისტორია საქართველოში

ოიდიუმი (ნაცარა)

მევენახეობის ოქროს ხანას ვაზის ფიტოპათოლოგიური და ენტომოლოგიური დაავადების ხანა მოსდევს.

1845 წელს კავკასიის მთავარმართებელმა ვორონცოვმა მოაწყო ზოგან, სხვათა შორის ქუთაისის გუბერნიამიც, სანერგეები ადგილობრივი მევენახეობა-მეღვინეობის გასაუმჯობესებლად.

ვორონცოვის დავალებით, ამ სანერგეთა მეზღვეები იწერდნენ ვაზის სხვადასხვა ჯიშის რქას ყირიმიდან და ევროპის ქვეყნებიდან; ეს რქა იაფად ან სულაც უფასოდ ურიგდებოდა მოსახლეობას. შემოტანილ რქას თან მოჰყვა სოკოვანი დაავადება „ოიდიუმი“, რომელიც ხელსაყრელ პირობებში (მეტისმეტი ტენიანობა, მაღალი ტემპერატურა) მოედო ყოფილ ქუთაისის გუბერნიას.

ოიდიუმის გავრცელების გავლენით უურძნის მოსავალმა გურიასა და სამეგრელოში ძალიან იკლო. მოსავლის შემცირება წლების მიხედვით თანაბარი არ იყო. ზოგ წელიწადს ამა თუ იმ რაიონში უურძენი სულ არ მოსდიოდათ. ასეთი იყო, მაგალითად, 1855 წელი გურია-სამეგრელოში. ამ კუთხეებში, ოიდიუმის მოძალეების გამო, დაიწყეს უურძნის ადგილობრივი ძვირფასი ჯიშების

შეცვლა იზაბელათი, რომელიც დადიანმა ოდესიდან მე-5) წლების ნახევარში გამოიწერა. ამიტომაც, რომ მას მკვიდრნი ოდესას უძახიან (18;150). ხშირად ხეები ზედ შეხვეული ვაზით იკაფებოდა და მათ ადგილას სიმინდი ითესებოდა (18).

ამრიგად, მე-70 წლებისათვის გურია-სამეგრელოს ვენახების მოსავლიანობა იმდენად შემცირდა, რომ ადგილობრივ მოთხოვნილებასაც ვეღარ სწვდებოდა. ადგილობრივი წარმოების სიმცირე ივსებოდა ღვინის შემოტანით: სამეგრელოში—შორაპნისა და რაჭის, ხოლო გურიაში—ქუთაისისა და შორაპნის მაზრებიდან.

რაჭა-ლეჩხუმის დაბლობი ნაწილის ვენახებმა ოიდიუმის წყალობით ასეთივე კრიზისი განიცადა. ვაზი ხმებოდა და ბევრმა დაიწყო უნაყოფო ვენახების გაკაფვა. ამასთანავე მოსახლეობამ შეინიშნა ზოგი ჯიშის (წითლებიდან—ალექსანდრეული რცხილა, თეთრებიდან კი—მწვანე) გამძლეობა ავადმყოფობის მიმართ და ამ ჯიშების გავრცელებით გადაარჩინა თავისი ვენახები (18;157).

ოიდიუმის საშიშროებამ თავი იჩინა ქუთაისის მაზრის დასავლეთ ნაწილებშიც, ოღონდ ჰავის ნაკლებმა ტენიანობამ და მაზრის აღმოსავლეთ ნაწილში ვენახების მთა-ბორცვებზე მდებარეობამ საგრძნობლად შეუშალა ხელი ავადმყოფობის გავრცელებას.

ეს არის მევენახეობის აყვავების დრო ქუთაისის გუბერნიის აღმოსავლეთ მთა-გორიან ნაწილში. იმერეთის ღვინოებიდან ამ ხანაში თავისი უდავო ღირსებით თეთრებიდან უბისა, ხოლო წითლებიდან ოზრის, სვირის, ქვაშითის, ტაბაკინისა და შემდეგ საჩხერისა და კოპიტნარის ღვინოები გამოირჩევა (18; 156).

მე-70 წლებიდან იმერეთში ყურძნის კულტურა ხეებზე მხოლოდ დაბლობში შერჩა. მაღლარი მთა-გორიან ნაწილში დაბლარმა, ე. წ. დაბალშტამბიანმა ვენახებმა განდევნა.

ამასთანავე იზრდება ვენახების ფართობიც. შორაპნის მაზრაში ითვლებოდა 10750 დესეტიან ვენახი; 1894 წელს კი—უკვე 14371 დესეტიან იყო, აქედან—12273 დაბლარი და 2098 მაღლარი.

ამ პირობებში ბაზარზე მხოლოდ იმერეთის მაღლობი და მთა-გორიანი ნაწილის ღვინოები საღებოდა. მოსახლეობამ ხელი მიჰყო დაბლარის გაშენებას, რომელიც დესეტიანზე 400 ვედრა მოსავალს იძლეოდა. 1876—1882 წლებში იმერეთის მევენახეობის საუკეთესო ცენტრების, განსაკუთრებით სვირის, ღვინოები სხვაგან გაჰქონდათ—ფოთს, ბათუმს, თბილისს, მოსკოვს, ოდესასა და ლენინგრადს.

დაბლობ იმერეთში ვაზს ვერც ერთ სრულიად საღსა და სუფთა ყლორტს ვერ დაუნახავდით. ყველა ერთწლიანი ყლორტი ოიდიუმისაგან იმდენად ზიანდებოდა, რომ შესახედავად სულ მუქი იყო და ამასთანავე მუხლში მალე ტყდებოდა. ავადმყოფობა აზიანებდა ვაზის ყველა მწვანე ნაწილს—რქას, ფოთოლსა და ნაყოფს. იგი ზაფხულის დასაწყისში ვითარდებოდა, ნაყოფს ჯერ მწვანეს უსწრებდა და აღარ ამწიფებდა (18).



ამრიგად,

1. მე-70 წლებისათვის ადგილობრივი ჯიშები გურია-სამეგრელოში მეტ-წილად იზაბელათი შეიცვალა.

2. საგრძნობლად დაზარალდა რაჭა-ლეჩხუმის ვენახები, სადაც ყურადღება გამძლე ჯიშებს მიექცა.

3. მევენახეობა იმერეთის მთა-გორიან ნაწილში ვითარდებოდა.

მილდიუ

მევენახეობის წარმატება იმერეთის მთა-გორიან ნაწილში დროებითი ვა-მოდგა. 1881 წელს გამოჩნდა მეორე სოკოვანი დაავადება—მილდიუ, რომელ-საც ადგილობრივ „ჭრაქი“ დაარქვეს. ეს ავადმყოფობა დიდად აზიანებს მთელ მწვანე მასას და ამასთან ერთად ღრმა კვალსა სტოვებს ვაზის შემდგომ განვი-თარებაში.

მე-50 წლებში ამერიკიდან ევროპაში შემოიტანეს შემდეგი სოკოვანი და-ვადებანი: მილდიუ, ოიდიუმი, ბლეკ-როტი და უაიტ-როტი. მათში პირველად მილდიუ უნდა გამოიყოს, რადგან იგი მევენახეობისათვის ფილოქსერაზედაც უფრო საზიანოა (65; 134).

მილდიუ საქართველოში 1881 წლიდან ჩნდება, მაგრამ მისი შესამჩნევი გავლენა 1887 წლიდან იწყება როგორც შორაპნის მაზრაში, ისე რიონის მთელ ხეობაში (ქუთაისის გუბერნიაში), სადაც ვაზი იღუპება და ვენახები პარტახ-დება.

ვაზის ხმობა რაჭა-ლეჩხუმში აგრეთვე მილდიუს გავრცელების შემდეგ იყო (61; 1894; 8789).

როგორც ვხედავთ, მილდიუმ თავიდანვე მონახა პირობები თავისი გან-ვითარებისათვის დასავლეთ საქართველოში. გურია-სამეგრელოს ვენახები არამც-თუ უწინდებურ აღარ იძლევა კარგ ღვინოებს, არამედ ნაღვურდება (7; 49). ოიდიუმის მიმართ გამძლე იზაბელაც კი ვერ უძლიანდება ამ ახალ სნეულე-ბას (მილდიუს). მოსახლეობა ხედავს ვენახების დაღუბვას, მაგრამ უცოდინარო-ბით საქმეს ვერა შევლის.

ამრიგად, იზაბელას მოშენების მიუხედავად, ვენახების ფართობი გურია-სამეგრელოში მაინც დიდად მცირდება. ეს შემცირება თვალსაჩინო ხდება დართული ცხრილიდან.

ცხრილი 1

გურია-სამეგრელოს რაიონები

რაიონები	მაზრები	ფართობი 1850 წლისა თვის დესეტინებით	ფართობი 1894 წლისა-თვის დესეტინებით
გურია სამეგრელო	ოზურგეთის სენაკის ზუგდიდის	4500 11000	1240 3803

მეგრელებმა და გურულებმა ხელი მიჰყვეს იმერული, ოიდიუმის მიმართ შედარებით გამძლე ჯიშების—კრახუნასა და მწვანეს მოშენებას, მაგრამ უწამლებლად ავადმყოფობის ეს ჯიშებიც ვერ უძლებდა და ხმებოდა (7; 52-53).

კავკასიის ფილოქსერის კომიტეტმა, რომელიც ამ მავნებელთან საბრძოლველად დაარსდა, შენიშნა მევენახეობის დამღუპველი დაქვეითება 1881 წლიდან სოკოვან დაავადებათა—მილდიუსა და ოიდიუმის წყალობით. 1888 წლიდან იგი სავანეებო ზომებს იღებს ავადმყოფობამოდებული ადგილების მიმართ და როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ყველა მაზრაში დემონსტრაციულ წამლობას იწყებს (62; 1889; 1—129).

ერთდროულად ფილოქსერის კომიტეტი აქვეყნებს ბორდოს სითხის დამზადების ინსტრუქციას, რომელშიაც აღნიშნავს მილდიუსა და ოიდიუმის მკურნალობის ვადებსაც.

პირველ ხანებში ვაზის სოკოვან დაავადებათა მკურნალობას მოსახლეობა იჭენეულად შეხვდა. სერგო ბარბაქაძე, რომელიც ფილოქსერის კომიტეტში თარჯიმნად მუშაობდა, ამბობს: „მოსახლეობა, ვიდრე, მკურნალობის შედეგიანობაში დარწმუნდებოდა მკურნალ პარტიას თავისთან არამც და არამც არ მიუშვებდა. ამიტომ თვითეულ პარტიას შეიარაღებული „სტრაჟნიკები“ უნდა გაჰყოლოდა“.

ამასვე ყხედავთ კახეთშიაც. ვარდისუბნელები და კურდღლოაურელები თავიანთ ვენახებს ახლო არ აკარებდნენ სამკურნალოდ მისულთ და ამათაც მკურნალობაზე უარის თქმა უხდებოდათ. შაქრიანში მათ ვენახები არც კი დაათვალიერებინეს.

ვაზის მკურნალობისადმი გლეხობის ასეთი დამოკიდებულება, როგორც შემდეგ გამოირკვა, იმ ხმების შედეგი ყოფილიყო, თითქოს წამლობის ხარჯის გასანაღებლად მთავრობა მოსავლის ნახევარს გადაახდევინებდა მათ (25; 215).

მილდიუს მკურნალობის შემდეგ, ვენახები გამომჯობინდა და მოსავალიც გაიზარდა.

ქვემო იმერეთში, სადაც სოკოვანი დაავადებანი ძალიან მომძლავრდა, ვენახები სრული გაპარტახების საზღვარზე მიდგა. მევენახეებს ეგონათ, რომ წამლობა საჭირო იყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვენახი მსხმოიარობაში შევიდოდა.

პრინცი მიურატის 1888 წელს ჩაყრილი ვენახები ჭყადლაშში (ზუგდიდის მაზრა) წლითიწლობით იწამლებოდა; წამლობის შემდეგ ეს ვენახები მშვენიერი შესახედავი იყო. მუქი მწვანე ფოთლით იყო შემოსილი და ძლიერი ფესვთა სისტემა ჰქონდა. ვენახების წამლობამ კარგი შედეგი გამოიღო (61; (1890); 52-54).

მოსახლეობამ, რაკი იგი წამლობის შედეგად ვაზის განკურნებასა და მოსავლის მატებაში დარწმუნდა, შეითვისა სოკოვან დაავადებათა მკურნალობის მეთოდები და ამით მოსავლიანობაც საგრძნობლად გაიზარდა. ამრიგად:

1. 1881 წლიდან ოიდიუმს კვალდაკვალ მოსდევს მილდიუ, რომელიც მთელ საქართველოში ყველა ადგილობრივსა და ევროპულ ჯიშს აზიანებს.

2. თავდაპირველად მოსახლეობა ექვით უყურებდა დემონსტრაციულ-მკურნალობას და ეს დამლუბველ გავლენას ახდენდა ვენახებზე;

3. სავარაუდებელია, რომ ეს ორი ავადმყოფობაც—მილდიუ და ოიდიუმი—კმაროდა ვენახების ძლიერი დაზარალებისა და ნაწილობრივ გაპარტახებისათვისაც.

მილდიუს გაჩენასთან ერთად აქა-იქ თავს იჩენს ფილოქსერაც.

ფილოქსერას გავრცელება

ფილოქსერის სამშობლოდ ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება კლდოვანი მთების აღმოსავლეთით. ამერიკელმა ენტომოლოგმა აზა ფიტჩემ აღმოაჩინა იგი აქ 1854 წელს ამერიკულ ვაზზე ფოკლის ფორმის სახით.

ამერიკიდან ფილოქსერა გადატანილ იქნა ევროპასა და სხვა ქვეყნებში. ევროპაში ყველაზე ღრე (1854 წელს) ფილოქსერა ინგლისში აღმოჩნდა ვაზის ფოთლებზე ორანჟერეაში (ლონდონის ახლოს). მაგრამ მაშინ იგი ვაზის მავნებლად არ მიუჩნევათ. როგორც ვაზის მავნებელი, ფილოქსერა ცნობილია 1863 წლის შემდეგ, როდესაც იგი საფრანგეთში პროფ. პლანშონმა აღმოაჩინა. ფილოქსერის პირველი კერები ნაპოვნია 1869 წელს, ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთსა და მეორე სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. საფრანგეთის შემდეგ პირველად ავსტრალიაში პოულობენ ფილოქსერას 1872 წელს, ონგრეთში ის 1875 წელს აღმოაჩინეს, პორტუგალიასა და ესპანეთში—1847 წელს, იტალიაში—1872 წელს, ოსმალეთსა და რუმინეთში—1883 წელს, ბულგარეთში—1884 წელს.

ევროპის გარეთ ფილოქსერა, ავსტრალიის ვარდა, კალიფორნიაში აღმოჩნდა წარსული საუკუნოს მე-80 წლებში, არგენტინასა და ჩილში 1883 წელს და ახალ ზელანდიაში—1890 წელს.

რუსეთში ფილოქსერა პირველად ყირიმის დასავლეთ ნაწილში აღმოაჩინეს 1880 წელს, სოხუმში—1881 წელს, ყუბანში—1883 წელს, ბესარაბიაში—1884 წელს და აზერბაიჯანსა და სომხეთში—1925 წელს.

ლიტერატურული წყაროებით რუსეთში ფილოქსერა შემოტანილია ერფ-რუტიდან (გერმანია) 1870 წელს.

აფხაზეთში ფილოქსერა აღმოჩნდა სოხუმში 1881 წლის 24 ივნისს პოლკოვნიკ ვედენსკის ბაღში, რომელიც მცენარეებით ვაჭრობდა და ვაზს ევროპიდან (გერმანიიდან) იწერდა. ფილოქსერის გამოჩენის გამო მოეწყო კავკასიის ფილოქსერის პარტია, რომელიც პირველ ყოვლისა ევროპული ჯიშებით გაშენებულ ვენახებს სინჯავდა (60; (1882)-4-19).

უცხო, განსაკუთრებით გერმანული (62:(1886)-5-64) ჯიშებით სავსე სოხუმის საექვო ვენახების ვარდა, 1882 წელს გაისინჯა ფოთი და ყოფ. ზუგდიდის მაზრის შემდეგი სოფლები: დარჩელი, ანაკლია, ხეთა, რედუქტყალა და სხვანი, მაგრამ ფილოქსერა არსად არ აღმოჩნდა. იმავე წელს ჩატარდა დადიანის ვენახების დაწვრილებითი გამოკვლევა; ისინი საექვონი იყვნენ, რადგან დადიანი ხშირად იწერდა უცხოეთიდან სხვადასხვა მცენარეებს, რომლებსაც ადვილი იყო ფილოქსერა თან მოჰყოლოდა. ფილოქსერა არც აქ აღმო-

ჩნდა. გამოიკვლიეს აგრეთვე ბათუმის ოლქის შემდეგი სოფლები: ორთაბათუმი, მახინჯაური, ახალშენი, ჩაქვი, გონიო, ჭერეხი და სხვანი. ფილოქსერა ვერსად მოინახა.

გამოკვლევა ფილოქსერის აღმოსაჩენად ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში გრძელდებოდა. დათვალიერდა თბილისი, მუხრანი, დამპალო, საგურამო, წინანდალი, საბუფე, ენისელი, სილნალი, ბაკურციხე, ლაგოდები და ბებრი სხვა სოფელი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში: ჭოგნარი, ზესტაფონი, ბაღდადი, ოზურგეთი, მუხური, ნოსირი, ახალსენაკი, აბაშა, ზუგდიდი და სხვა. გამოკვლეულ იქნა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში გურიელ-ლონგეილის ვენახები ჭოგნარში, სადაც 20 წლის წინათ საფრანგეთიდან სარგავი მასალა იყო შემოტანილი, მაგრამ ფილოქსერა არა და არ აღმოჩნდა.

ფილოქსერის კომიტეტი 1883 წლიდან ყოველწლიურად სწავლობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში არსებული ვაზის ნარგავების მდგომარეობას, საიდანაც ირკვევა, რომ დაწყებული აფხაზეთში პირველად ფილოქსერის აღმოჩენიდან ვიდრე 1888 წლამდე, იგი მხოლოდ 434 ვაზს გამოაჩნდა, თუმცა სულ 536.000 ძირი გაისინჯა.

ამრიგად, 1888 წლის ჩათვლით ვენახების მდგომარეობას დასავლეთ საქართველოში შედარებით არა უჭირდა რა, რადგან ფილოქსერის გავრცელება აფხაზეთს არ გასცილებია და აქაც დაზიანებული ვაზი ცოტა მოინახა. ამ დროისათვის თბილისის კერა უკვე მოისპო.

ამ მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა. ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1889 წელს, ფილოქსერა აღმოჩნდა ქუთაისის გუბერნიის შუაგულში—დასავლეთ საქართველოს სამრეწველო მეღვინეობის ცენტრში. ამის შემდეგ ფილოქსერა დიდი სისწრაფით გავრცელდა თავის პირველი კერების გარშემო და მოკლე ხანში მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო.

სამრეწველო მეღვინეობის ცენტრში ფილოქსერის აღმოჩენასთან დაკავშირებით, 1800 წელს ფილოქსერამოდებულ ადგილებში ჩატარდა წამლობა გოგირდოვანი ნახშირბადით სოკოვან დაავადებათა მკურნალობასთან ერთად, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

ამ მუშაობას ეწეოდა საქარის ამერიკული ვაზის სანერგე, რომელსაც ამისთან ერთად შემოჰქონდა უცხოეთიდან ამერიკული და ფრანგულ-ამერიკული ჯიშები როგორც საძირებად, ისე უშუალო მწარმოებლებადაც; იგი ცდიდა მათ დასავლეთ საქართველოს პირობებში, აყენებდა ვაზის საძირე კულტურის ცდებსაც და ავრცელებდა მათ მოსახლეობაში.

ამერიკული ვაზის ყოფილმა სანერგემ მუშაობის სქემა საფრანგეთიდან გადმოიღო. მისი მიღწევები იყო: სოკოვან დაავადებებთან ბრძოლა, კადრების მომზადება, ფართო პროპაგანდა მოსახლეობაში მევენახეობის საკითხებზე და აგრეთვე მეცნიერული ხასიათის მუშაობა (ცხოვრებით ნაკარნახევი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა), მაგალითად: ადგილობრივი და სხვა ჯიშების ამპელოგრაფია, ნიადაგების გამოკვლევა, ჯიშების საცდელი ნაკვეთების მოწყობა და სხვა. სანერგის არსებით ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი მოსახ-

ლეობაში საძირეებს საკმარისი შემოწმების გარეშე ავრცელებდა და ფილოქსერის მიმართ ადგილობრივი ჯიშების გამძლეობა საფუძვლიანად არ შეუმოწმებია.

ფილოქსერის მოქმედება ვაზზე დას. საქართველოში

ვაზის ადგილობრივი ჯიშების გამძლეობას ფილოქსერის მიმართ კურადღება უნდა მიექცეს. საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში, მრავალი როგორც ახალი, ისე ძველად ჩაყრილი საკუთარფესვიანი ვენახი. ჩვენ მოვალენი ვართ მცენარეთა განვითარების ბიოლოგიაზე ლისენკოს თეორიის საფუძველზე ახლა მაინც ჩავატაროთ იმის ყოველმხრივი ანალიზი, თუ როგორია ვაზის ადგილობრივი ჯიშების გამძლეობა ფილოქსერის მიმართ და რა არის საბოლოოდ მიზეზი ზოგი საკუთარფესვიანი ჯიშის ხანგრძლივი ნორმალური მსხმოიარებისა დაავადებულ ზონებში.

ჩვენ ვიცით, რომ ვაზის უცხო ჯიშებისა და ხეხილის შემოტანის თარიღად 1845 წელი უნდა მივიჩნიოთ. ფილოქსერა კი, როგორც ვნახეთ, შემოტანილ უცხო ჯიშებზე მხოლოდ 1881 წელს აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ფილოქსერა, ეტყობა, დიდი ხნის შემოტანილი იყო, მისი კერები გვიან გამოაშკარავდა. 536,666 გამოკვლეული ვაზიდან 1888 წელს ფილოქსერა მხოლოდ 434 ევროპულისა და ამერიკული ვაზის ძირზე აღმოჩნდა.

აღმოჩენილი ფილოქსერის მოსასპობად რიგი ღონისძიებები ჩატარდა. მაგრამ ფილოქსერის კერების პოვნის გამო დასავლეთ საქართველოში დაიწყეს ამერიკული ვაზის შემოტანა საძირეებად.

ამავე დროს იწერდნენ ნამყენ სანერგე მასალასაც.

საქარის სანერგის თაოსნობით დასავლეთ საქართველოში გლახობა სადედეების გაშენებას შეუდგა.

სადედეების გამრავლებასა და ვაზის რქის უცხოეთიდან შემოტანას ხელს უწყობდა მოსახლეობაში გაშლილი პროპაგანდა და პრესაში მოთავსებული წერილები ფილოქსერისაგან ვაზის ყველა ევროპული ჯიშის სწრაფი დაღუპვის თაობაზე.

ა. სილანტიევის წიგნის „ფილოქსერის“ წინასიტყვაობაში ვ. ტაიროვი წერს: „არ არის დედამიწის ზურგზე კულტურულ მცენარეთა უფრო საზარელი და შეუპოვარი მავნებელი: იგი ცხოვრობს მიწაში ვაზის ფესვებზე... დაკინებით აკეთებს თავის გამანადგურებელ საქმეს, გადადის ძირიდან ძირზე. ვენახიდან ვენახში, ქვეყნიდან ქვეყანაში და თან უბედურება და განადგურება მოაქვს“ (19).

ნაკლები მნიშვნელობა არა ჰქონია ზოგი ავტორის მიერ ნამყენი ვაზის ღირსებათა გადაჭარბებას, რადგან ისინი მოსავლის რაოდენობის ზრდას, მისი ხარისხის გაუმჯობესებასა და მსხმოიარების დაჩქარებას მცნობას უმაღლიდნენ.

მოგების კაპიტალისტურმა წყურვილმა ამერიკული ვაზის გასაღებაში საზარბიელო ლუკმა იშოვნა. ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს (57; 11), რომ

საფრანგეთი გვაძლევდა მოკარბებულ უხეირო სარგავ მასალას, რომელიც მისი ნიადაგებისათვის გამოუსადეგარი გამოდგა. ასე, მაგალითად, საფრანგეთში პირველ ხანებში სახელი გაითქვა საძირე რიპარიამ, მისი უარყოფითი თვისებების გამოაშკარავების შემდეგ საფრანგეთში თავი მიაწებეს ამ საძირეს, ხელი მიჰყვეს რუპესტრის-დიუ-ლოს, ხოლო რიპარიაზე დამყნობილ მასალას რუსეთში გზავნიდნენ.

სანერგეთა საქმეში მიღებული ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ იმერული ჯიშებისა და რიპარიას ნათესაობა (აფინიტეტი) პირველ წელიწადს კარგია, მაგრამ მერე საძირე დამსხვილებაში უკანა რჩება და ეს ვაზის სწრაფ გახმობას იწვევს; იმერული ჯიშების ნათესაობა ბერლანდიერთან საკმარისი არ არის. საგანგებო ცდების დაყენებამდე, ნათესაობის საკითხში დიდი სიფრთხილე გვმართებს.

საჭიროა აგრეთვე საძირეების გამოცდა სხვადასხვა ნიადაგურსა და კლიმატურ პირობებში. კრემერი თავის გამოკვლევაში „სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი მევენახეობის გარდაქმნისათვის პრუსიაში“ წერს: „რაც საძირეები ახლა ხელთა გვაქვს, არამცა და არამც არ არის ყოველთვის გამოსადეგი ჩვენს პირობებში“ (57; 7).

შტელვაგი გვაძლევს ცალკე საძირეების დაზიანების ნაკრებ ცხრილს ნოდოზიტეტების ქონება-არქონების მიხედვით, სხვადასხვა ადგილას, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ამ მასალებიდან ჩანს ის, რაც ლისენკოს თეორიით წინასწარვე უნდა გავვითვალისწინებინა. სხვადასხვა პირობებში შეიძლება მცენარის სხვადასხვანაირი განვითარება (განვითარების სხვადასხვა კონკრეტული ანატიპი) მივიღოთ, რაც მოგვცემს სხვადასხვა თვისებებსა და ნიშნებს, ვიდრე იმუნობის არსებით განსხვავებამდე.

ლიტერატურიდან და პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ფილოქსერა მეტნაკლებად ყველა ამერიკული საძირის ფესვებს უჩნდება. ამის გამო ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საძირის შეგუებას გარკვეულ ნიადაგში (ადაპტაცია); ფილოქსერის მიმართ გამძლეობას კი განსაზღვრავენ მხოლოდ იმის კვალობაზე, თუ რამდენად იხავრება მისგან გარეგნულად ესა თუ ის ჯიში. ჩვენ ვხედავთ, რომ საუკეთესო მოვლის, ღრმა ქვენიადგის, სასუქების პერიოდული შეტანისა და ყველა აგროწესის დაცვის პირობებში ნამყენი ვაზის ნორმალური მსხმოიარება 25—35 წელიწადს გრძელდება; დანაკლისი ვენახებს პირველივე წლიდან ეტყობა და შემდეგ ძველ ვენახებში ეს დანაკლისი 40%-სა და მეტსაც აღწევს.

ვაზის დანაკლისი ასაკის მიხედვით ნაჩვენებია მეორე ცხრილში.

დანაკლისის შესავსებად პრაქტიკაში მიღებულია წიღნა-გადაწვენა.

ნამყენი ვენახები იწვევს მათი ფართობის სწრაფი ზრდის შეზღუდვას და მოითხოვს კადრების საგანგებო მომზადებას, დიდ ხარჯებს, სპეციალურ სანერგეებსა და კეთილმოწყობილ სადღეღებებს.

ცხრილი 2

საქარის ზონალური სადგურის ნარგავებში

წლების მიხედვით	დანაკლისი % -ულად მთელი ხნის მანძილზე	შენიშვნა
1-ლი წელიწადი	5—8	უპირატესად საძირე რიბ. X რუბ. № 3306, 3309, 10114, 1934 წლის გამოთ- ვლით
მე-2 წელიწადი	8—12	
მე-5 წელიწადი	15—20	
მე-10 წელიწადი	20—25	
20—30 წლამდე	30—40	

ვაზის საშუალო დანაკლისი დასავლეთ საქართველოში

წელიწადი	ყოველი წლის დანაკლისი	მთელი ხნის დანაკლისი	შენიშვნა
1-ლი წელიწადი	5—10	5—10	საძირე უპირატესად დიულა
მე-20 წელიწადი	0,5—1	15—20	
მე-30 წელიწადი	1—1,5	25—40	

გარემო პირობების როლი ფილოქსერის განვითარებაში.

„მცენარეული ორგანიზმის განვითარება მუდამ შინაგანისა და გარეგანის ურთიერთმოქმედების გზით მიმდინარეობს“ (51; 127).

ლიტერატურაში არის მონაცემები ფილოქსერის ნელი ნოდრაობის თაობაზე ნიადაგური პირობების გამო.

შუა და ჩრდილოეთი საფრანგეთის ტენიან ნაწილში ფილოქსერა ნელა გრცელდება.

შვეიცარიაში ფილოქსერა 10—12 წლის განმავლობაში პირველი კერიდან მხოლოდ 660 მ მანძილზე გავრცელებულა (ხოჯაევის მოხსენებიდან 1885 წ. თბილისში).

„ფილოქსერის გავრცელება მოძრაობით აღმოსავლეთ საქართველოში მეტია, ვიდრე დასავლეთში“ (5).

ფილოქსერის გავრცელების მთავარ დაბრკოლებად ფილოქსერის კომიტეტს კლიმატური ზღუდენი და ძირითადად ნიადაგის მოჭარბებული ტენიანობა მიაჩნია (62; 1886; 16).

ფილოქსერის ბუნებრივად გაჩენის შემთხვევაში ვაზი უფრო დიდხანს ძლებს და სამეურნეო სამსახურსაც უფრო ხანგრძლივ ეწევა, ვიდრე ხელოვნურად შეყრის დროს (6; 263).

იმერული ჯიშების გამძლეობის ცნობებს ჩვენ ფილოქსერის კომიტეტის ანგარიშებში ვპოულობთ. წულუკიძე წერს საქარის სანერგის გამგეს, რომ თერჯოლაში, ჩხარში, ალისუბანში, საზანოსა და დილიკოურში საძირე კულტურები ფეხს ძნელად იკიდებს, რის მიზეზიც იმაში მდგომარეობს, რომ ვენახების ჩაყრისას ციციქას ეტანებიან, რომელიც სხვებზე უფრო გამძლეა. იგი

იწერება აგრეთვე, რომ ოკრიბაში საბოლოოდ განადგურდა ქვედოურის, მისისა და საფერის ვენახები, ხოლო მწვანე და თავწითელა უფრო გამძლე გამოდგა; მისივე დაკვირვებით, ნესტიან ადგილებში ფილოქსერიანი ვაზი არ იღუპება.

არის ნაშრომები, რომლებიც საგანგებოდ მიეძღვნა ადგილობრივი ჯიშების ფილოქსერის მიმართ გამძლეობის შესწავლას; ასეთებია მახარაძის (115), აბესაძის, მაკარეცკაიასა და ცხაკაიასი (1), ხაჭაპურიძის (97), ალექსიძისა (6) და პრინცი (66;65;68) შრომები.

თბილისის ბოტანიკური ბაღის ანატომთა კოლექტივი აბესაძის, მაკარეცკაიასა და ცხაკაიას სახით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მწვანე და რქაწითელი კახეთიდან და ციციქა და ალექსანდრეული იმერეთიდან უფრო გამძლეა ფილოქსერის მიმართ, ვიდრე სხვა ქართული ჯიშები.

ხაჭაპურიძე (97) აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ჯიშების, მაგალითად, ალექსანდრეულის, გამძლეობა, უმეტეს შემთხვევაში მოვალზეა დამოკიდებული; გულმოდგინე დამუშავების, სასუქების შეტანის, სწორი გასხვლისა და წინით გაახალგაზრდადების დროს ალექსანდრეული საკმაოდ გამძლეა სხვა რაჭულ ჯიშებთან შედარებით; რაჭაში ალექსანდრეულის როგორც ძველი, ისე ახალი ვენახები კარგად ინახება და დამაკმაყოფილებლად ისხამს, ხაჭაპურიძის ცნობებით, ალექსანდრეული ნესტიან ნიადაგებში ბევრად უკეთ ინახება, ვიდრე ნაკლებტენიან ნიადაგებში.

პრინცი (68) საინტერესო მითითებას იძლევა ბიოეკოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობაზე. ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს, სტრუქტურას, ტენიანობასა და დამუშავებას დიდი როლი მიუძღვის ფილოქსერის მოძრაობაში. მატლი ნესტიან ნიადაგში ვერ მოგზაურობს, დამუშავებულსა და ფოცხით გასწორებულ ნიადაგში მისი გადანაცვლების უნარი მცირდება.

ცნობილია აგრეთვე, რომ ფილოქსერა ბინადრობს ყველგან, სადაც კი ვაზის მოშენებას მისდევნენ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი ჰავა მისთვის ოპტიმალურ პირობებს წარმოადგენს (57).

ვენახების გამოკვლევა მოწმობს, რომ დიდი ხნის არსებობის მიუხედავად, დასავლეთ საქართველოს ზონაში (იმერეთში) კლიმატური და ნიადაგური პირობების გამო ფილოქსერა მაინცადამაინც ვერ ვრცელდება მძიმე, წებოვანსა და თიხიან ნიადაგებში.

საერთო წარმოდგენის შესაქმნელად გავეცნოთ იმერეთის ნიადაგებს.

დასავლეთ საქართველოს ნიადაგები

აღმოსავლეთ იმერეთი ხასიათდება ერთმანეთის თანდათანობით შემცველი ნიადაგური ტიპებით, მთატყიანით დაწყებული მთის შუა და ქვემო ზონაში, ვიდრე ეწერსა და ალუვიურამდე მდინარეთა ვაკეობაზე. ეს მრავალფეროვნება იმდენად დიდია, რომ ნიადაგის ტიპები ხშირად მცირე მანძილზე იცვლება. ვაზის კულტურას მეტწილად (70%-ზე მეტი) მთატყიანი ნიადაგები უჭირავს, რომელნიც პირობითად შეიძლება მთატყიან კარბონატულ და



მთატყიან გაეწრებულ ნიადაგებად დაეყოთ. მთატყიანი კარბონატული ნიადაგებია ჩხარის, საჩხერის, ხარაგოულის რაიონებსა და მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირის ნაწილში.

ნიადაგური საფარის სისქე ფერდობის დაქანების კვალობაზე იცვლება და იზრდება ნაკლებად დაქანებულ ფერდობებსა და ტერასებზე.

მცირე სისქის ნიადაგებია საზანოს ნაწილში, ალისუბანში, რუფოთში, ეწერში, ბახალეთში და სხვაგან. ისინი უფრო ფხვიერი და წყალგამტარია.

ცხრილი 3

ადგილი	სიღრმე (სმ)	ჰიგროსკოპული წყალი	მექანიკური ფრაქციები მმ-ით				CaCO ₃ %/%	PH
			1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01		
ბ.ხ.ალეთის კოლმეურნეობა „მტკიცე კავშირის“ ნაკვეთზე	0—10	10,42	2,79	13,69	18,10	75,42	21,33	7,85
	10—20	8,44	4,64	17,76	24,59	53,01	48,72	8,75
	20—40	7,26	2,42	14,82	23,45	59,31	52,38	8,0
	40—50	16,35	3,21	17,31	25,37	54,11	84,36	8,8

ქვენიადაგი, რომლის კირის შემცველობა 50—80%-ს აღწევს, მეტად უხვიეროა ვაზის ფესვთა სისტემის ზრდისათვის.

ეწრის, ღვანკითის, სიქთარვის, თერჯოლის, ზოვრეთის, დილიკოურის, საქარის, არგვეთის, კვალითის ნაწილის, პირველი სვირის, ცხრაწყაროს, ალავერდის, კლდეეთისა და სხვათა ნაკლებად დაქანებულ ფერდობებზე ნიადაგის სისქე მატულობს. ეს ნიადაგები მეტი ტენტევალობით ხასიათდება; იგი 50%-ს აღწევს.

ცხრილი 4

ადგილი	სიღრმე (სმ)	ჰიგროსკოპული წყალი	ჰუმუსი ტიურინით	მექანიკური ფრაქციები მმ-ით				CaCO ₃ %/%	PH
				1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	<0,01		
თერჯოლა	0—8	5,16	3,10	3,16	23,95	29,74	43,15	2,17	7,50
(ჩხარის რაიონი)	16—24	5,35	2,98	2,11	18,14	31,05	48,42	0	6,92
	32—40	8,23	1,25	0,54	20,98	25,89	52,59	0	6,74
	61—69	7,87	1,01	0,54	21,62	28,65	49,19	0	6,83
	84—92	7,96	0,76	1,27	17,56	23,66	57,51	0	6,91

ეს ნიადაგები ტიპობრივია მევენახეობის რაიონების დიდი ნაწილისათვის.

აღნიშნული მთის გაეწრებული ნიადაგები დიდი სისქითა და მცირე ჩამორეცხვით განირჩევა. ასეთი ნიადაგები ახასიათებს ხარაგოულს, იგორეთს, კიცხს,

ლახუნდარას, ვარძიას, მეორე სვირს, კვალითს, როდინოულს, ოზჩას, მაიაკოვსკის, დიმსა და სხვა სოფლებს.

ნიადაგის სისქე ამ ადგილებში დიდ ფარგლებში მერყეობს—71-დან 150 სმ-მდე.

ცხრილი 5

ტრიტონა №№	სიღრმე სმ	100° C-სას გამშრალი ნიადაგის 100 წილში						ჰიტრისკობული წყალი	CaCO ₃ %/0	სრული ტენიანობა
		ჩონჩხი ქვიშა			წვრილი შიშა მტვერი		შაბი			
		3—1	1—0,5	0,5	0—0,5	0,5— 0,25				
20	0—8	0,11	0,11	0,11	12,29	20,37	67,01	7,24	5,84	26,16
„	20—28	0,22	0,98	0,22	19,98	10,30	68,28	7,85	4,95	53,23
„	46—54	0,11	0,42	0,32	10,00	15,27	73,88	7,01	6,26	48,71
„	61—69	0,65	0,86	0,18	16,45	6,72	74,09	7,00	19,45	44,39
„	84—92	0,33	0,44	0,11	16,02	12,19	70,91	10,11	—	—

ჩამოთვლილი ადგილების თითქმის ყველა ნიადაგი თიხიანია და დიდი ტენიანობით ხასიათდება; საქარის საცდელი სადგურის მასალებით ტენიანობა 53—56%-მდე აღის.

დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) ჰავა ტენიანია, სუბტროპიკული; ნალექები საშუალოდ 1200 მმ აღწევს, უმეტესი—1500 მმ, უმცირესი—800 მმ.

ზოგ წელიწადს ნალექები, განსაკუთრებით ოქტომბრიდან აპრილამდე, 1000 მმ აღწევს, ხოლო წვიმიანი დღეები თვეში 14-20-მდეა. თვიური ნალექების რაოდენობა 300 მმ და მეტიცაა.

ჰაერის ტენიანობა აღნიშნულ ხანაში დიდია, აორთქლება თვიურად საშუალოდ 30—40 მმ არ აღემატება.

ნიადაგების იმ ძირითადი ტიპის შეფარდებითი ტენიანობა, რომელიც ვენახებით დაფარული ფართობის 70%-ს აღემატება, წვიმების შემდეგ 40—48%-მდე აღწევს და ამ დონეზე ოქტომბრიდან აპრილამდე გასტანს. ქვენიანდაში (20—60 სმ სიღრმეზე) ტენიანობა 53%-მდეა. გამოკვეთულია, რომ ამ ნიადაგების სრული ტენიანობაც 52—55%-ს აღწევს (61; 1893; 109).

საბოლოოდ ვხედავთ, რომ ნახევარ წელიწადს მაინც ყოველი თვე თითქმის ნახევრად და ზოგჯერ მეტადაც წვიმიანია, ხოლო წვიმიან დღეთა რიცხვი თვიურად განუწყვეტლივ 9—12 უდრის. ამის შედეგად ერთნაირი პერიოდული დაგუბება იქმნება და ეს კი ფილოქსერის გამანადგურებელ საშუალებად მიჩნეულია.

ჩვენი მიმოხილვიდან ჩანს, რომ ფილოქსერის განუვითარებლობის ერთ-ერთ მიზეზად ჩაითვლება დიდი სინესტე, ნიადაგის ტიპი და თვით ვახის ბუნება-განვითარება.

აღბილობრივი ჯიშების დაღუპვის მიზეზები

ჩვენ არ ვაპირებთ მცირედად მოვაჩვენოთ ის ზარალი, რაც ფილოქსერი-საგან წარმოდგება, მაგრამ ზოგი ავტორის დასკვნა, თითქოს ვაზის ადგილობრივი ჯიშები მას 4 (30) თუ 8—12 (119) წელიწადზე მეტს ვერ უძალიანდებოდნენ, არ დასტურდება დასავლეთ საქართველოს ყველა ჯიშისათვის. ვაზის დაღუპვა დასავლეთ საქართველოში შედეგია როგორც ბუნებრივი და აგროტექნიკური ფაქტორებისა, ისე იმ სოციალური-ეკონომიკური მოვლენებისა, რომლებსაც ეს ქვეყანა XIX ს. მეორე ნახევარში განიცდიდა. ჩვენ მათ მოკლედ მოვიხსენიებთ.

ამ ხანაში მოსახლეობის ცხოვრებაში ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები მოხდა, რომლებმაც სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დამლუბველი გავლენა იქონიეს.

ბატონყმობა რუსეთში 1861 წელს, ხოლო საქართველოში 1864 წელს გაუქმდა. გლეხობის ყოფა რეფორმის შედეგად როდი გაუმჯობესებულა; აზნაურთა დაუმუშავებელი ვენახებიც წლითიწლობით უკან მიდიოდა. აზნაურობა ჯადვას უჩვევი იყო და ვენახი რომ ხელიდან არ წასვლოდა, 2—3 წლობით დასამუშავებლად სხვას აძლევდა. შედეგი საწინააღმდეგო გამოდგა—მოიჯარადრე დაინტერესებული იყო ვენახს მეტი მოსავალი ეძლია; შეუფერებელი დატვირთვა და უხეირო მოვლა ვაზის აღრიან დანაკლისს იწვევდა.

აბრტმენიბა

სოკოვან დაავადებათა გამოჩენისას მოსახლეობამ ვერ შესძლო მათთან შებრძოლება, რადგან ვენახის წესიერ მოვლასა და სხვა აგროტექნიკურ ხერხებს (წამლობა, გასხვლა, განაყოფიერება და სხვა) შეჩვეული არ იყო.

სოკოვან დაავადებათა ვაჩენამდე ვენახი განსაკუთრებულ მოვლას არ მოითხოვდა. თავი და ბოლო ის იყო, რომ ძირში 8 ვერშოკი სიღრმისა და 10 ვერშოკი სიგანის ორმო გათხრილიყო და შიგ ვაზის კალამი დარგულიყო (დაფესვიანებულ ვაზსაც კი რგავდნენ ხოლმე).

დაბლარის ჩასაყრელად თხრიდნენ საჟენ-საჟენნახევრის დაშორებით 12 ვერშოკი სიღრმისა და 14 ვერშოკი სიგანის ორმოს; შიგ კალამსა რგავდნენ, ხოლო რიგსა და რიგს შუა სიმიდს თესავდნენ.

ვაზის შევსებისათვის გადაწვენა-წიღნის საყოველთაოდ მიღებულ ხერხს ხმარობდნენ. ამის საშუალებით მერე და მერე ვაზის სიხშირე სასურველ დონემდე ე. ი. დესეტინაზე 8000-დან 15000 ძირამდე აჰყავდათ.

მალლარს ყოველ 8—10 წელიწადში წალდით აცლიდნენ და ამოკლებდნენ ზედმეტ რქას.

დაბლარს ყოველწლიურად უბრალო დანით სხლავდნენ—ზედმეტ რქას აცლიდნენ; ვაზს, ცალკე ძირის ძალ-ღონის კვალობაზე, ნეკებს და 2—5 და მეტ სანაყოფო რქას უტოვებდნენ.

სოკოვან დაავადებათა ვაჩენის შემდეგ ვაზის კულტურის აგროტექნიკა ძირფესვიანად შეიცვალა, მოსახლეობა კი ამ ახალ ხერხებს ეჭვით ეკიდებოდა.

სვირის სოფლის მასწავლებელმა გ. ჯუღელმა, მისივე თქმით, რახან ახალი აგროწესის (წამლობის) სარგებლობაში დარწმუნდა, პირველმა უწამლა თავის ვენახსა და მეზობელი ვენახის ნაწილს. მას სასამართლოში უჩივეს, მაგრამ შეწამლული ვენახები ისეთ ჩინებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ „დამნაშავეისათვის“ მადლობის მეტი არა ეთქმოდათ რა.

ფილოქსერის ცალმხრივი წამლობა გოგირდოვანი ნახშირბადით კარგ შედეგს არ იძლეოდა, მაგრამ როდესაც სოკოვან დაავადებებს მკურნალობდნენ, ბრწყინვალე შედეგს იღებდნენ (61—1892).

გულმოდგინე მოვლითა და უხვი განიყიერებით შეიძლებოდა ძალიან დასუსტებული ვენახები ფეხზე დამდგარიყო, მაგრამ მევენახეთა შორის აგრონომიული უცოდინარობა სუფევდა. ამის გარდა ვენახებს უცხო ჯიშები ერია.

ქუთაისის გუბერნიაში ანანოვის ვენახი მხოლოდ ფრანგული ჯიშებიდან შედგებოდა და მათ კი, მევენახის მოწმობით, ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობები არ უხდებოდა (62—(1886)—100).

სხვადასხვა მცენარე ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის სხვადასხვანაირ კლიმატურ პირობებს (51) საჭიროებს. ჩვენმა მევენახეებმა ეს დროზე ვერ გაითვალისწინეს. პირიქით, მათ სახელი გაუთქვეს ვაზის უცხო ჯიშებს, რომელნიც ჩვენს პირობებში ნორმალურად ვერ ვითარდებოდნენ, ძაბუნდებოდნენ, ფიტოპათოლოგიურ დაავადებათათვის ხელსაყრელ ნიადაგს ჰქმნიდნენ, რაც ადგილობრივი ჯიშების განანაგებას იწვევდა (62—(1886)).

გლენჯაკობამ წესად შემოიღო ვენახის გარშემო ამერიკული ვაზის გაშენება, რაც ფილოქსერის გავრცელების ხელოვნურ ბუდეს ქმნიდა.

ადგილობრივი ჯიშების პროპაგანდა

1881 წლიდან მოყოლებული საქართველოში მძვინვარებს დავა ფილოქსერისა და მის მიმართ ზოგი ადგილობრივი ჯიშის გამძლეობის საკითხების გარშემო. ეს დავა დღესაც არ დამთავრებულა, მიუხედავად იმისა, რომ 1895-1897 წლებში პეტერბურგს შემდგარმა თათბირმა დაგმო ბრძოლის რადიკალური ღონისძიებანი და ყველა ევროპული და ადგილობრივი ჯიშის ამერიკულ საძირებზე გადაყვანა დაადგინა.

ამ დადგენილებას ზურგს უმაგრებს რავაზისა და ვიალის ემპირიული 20-ქულიანი შკალა, რომელიც შემდგარია ქილებში გამოყვანილ კულტურებზე ცალკე ჯიშების გამძლეობის საჩვენებლად. ამ 20-ქულიანი სისტემით ევროპული და ადგილობრივი ჯიშების გამძლეობა ფილოქსერის მიმართ ნულს უდრის.

მაგრამ ამ შკალის მიხედვით განსაზღვრული გამძლეობა სინამდვილეში როდი მართლდება და მისი დასაბუთება ეჭვს ბადებს, რადგან ვერ უთავსდება ლისენკოს—განვითარების საერთო ბიოლოგიურ თეორიას.

ბუნებრივ პირობებში გამძლეობის ცვლილებების მიზეზი, ერთი მხრივ, ნიადაგის ტენიანობის, წებოვნებისა და სისქისა და, მეორე მხრივ, სხვა ფაქტორების კომპლექსის გავლენაში მდგომარეობს.



მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურა მიგვითითებს, თითქოს საკუთარ-ფესვიანი ვენახები ფილოქსერისაგან ილუზებოდეს, როგორც ვხედავთ, ზოგი ჯიშისათვის ეს ყველა პირობაში როდი მართლდება. ასეთებია, მაგალითად, ციცქა, დონდლაბი-მჰკნარა, თავწითელა, კუნძა.

ამ გარემოებამ აზრი დაგვიბადა შეგვესწავლა ვაზის ზოგი ჯიშის მიწის-ზედა და მიწისქვეშა ნაწილების (ფესვებისა და რქის) განვითარება ამ ჯიშების მოსავლიანობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ნიადაგში.

ვიდრე ჩვენი გამოკვლევების მონაცემებს მოვიყვანდეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ საკუთარფესვიანი ვენახები დასავლეთ საქართველოში მრავალია.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1934 წლის ცნობებით რაიონობლივ ვენახების ფართობი უდრის:

ცხრილი 6

№. რ. ღმე	რაიონები	ფართობი (ჰექტარი)	საერთო ფართობიდან	
			ნამყენი	უმყნობი
1				
2	ზესტაფონის	3690	2398	1292
3	მაიაკოვსკის	1994	1877	116
	ჩხარის	1562	320	1242
4	ჭიათურის	2644	1831	813
5	ორჯონიკიძის	1494	1093	401
6	ქუთაისის	1095	822	273
7	ამბროლაურის	1517	674	843
	სულ	13996	9016	4980

ამრიგად, 13996 ჰექტარი ვენახიდან ნამყენი ვენახი 9016 ჰექტარია, ხოლო უმყნობი—4980 ჰექტარი, ე. ი. საერთო ფართობის 35,7%.

ადგილობრივა ჯიშების ყოფაქცევა 1-ლ წელიწადს

1935 წელს სადგურის ტერიტორიაზე სანერგეში საველე პირობებში დაირგა ადგილობრივი და ამერიკული ვაზის კალამი შემდეგი საკითხების შესასწავლად:

1. რქის განვითარება.
2. ფესვთა სისტემის განვითარება.
3. ფილოქსერის გაჩენა (როგორც ფოთოლზე, ისე ფესვებზე).

გამოიცადა ჯიშები: 1. ციცქა (შანთი), 2. დონდლაბი-მჰკნარა, 3. თავწითელა, 4. კრახუნა, 5. ობჩური ცოლიკოური, 6. ბაზალეთური ცოლიკოური, 7. ძველშავი, 8. ალექსანდრეული, 9. მგალობლიშვილი, 10. მაჭანაური საფერე, 11. ქვიშხური, 12. დიუ-ლო, 13. რიბ.-რუბ. 10114.

ვეგეტაციის ხანაში ნიადაგი ოთხჯერ გაფხვიერდა, საჭიროების მიხედვით სოკოვან დაავადებათა მკურნალობა ჩატარდა და როცა ფოთლებისა და ფესვების საკმაო რაოდენობა განვითარდა, ნერგს ფილოქსერა შევასიეთ. შე-

საყრელად აღებული იყო ამერიკული ვახის დიუ-ლოს ფოთლები. შემოდგომისათვის ვაზი ამოითხარა და განვითარებული რქა და ფესვები ჯიშობრივ გაიზომა; მხედველობაში იქნა მიღებული აგრეთვე როგორც ფოთლების, ისე ფესვების დაავადების დონეც. ამ მუშაობის შედეგად გამოიჩვენა, რომ ერთი და იგივე ჯიში რქის განვითარებისა და ფესვთა სისტემის ძლიერების მხრივ ასე თუ ისე ერთნაირ სურათს იძლევა, მაგრამ სხვადასხვა ჯიში ამ ორი ნიშნით მკვეთრად განსხვავდება.

ფესვებისა და რქის ვაზომვის მიხედვით ჯიშები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

ცხრილი 7

ჯგუფი	№№ რიგზე	ჯ ი შ ი	1 კლასი			2 კლასი			3 კლასი			რქების დიამეტრი (მმ)	I ძირის სმ. ნაბ. წონა (გრ)	მერქნის ნაბატი (სმ)
			I ძირის ფესვთა რიცხვი	ფესვთა დიამ. (მმ)	ფესვთა სიგრძე (სმ)	I ძირის ფესვთა რიცხვი	ფესვთა დიამ. (მმ)	ფესვთა სიგრძე (სმ)	I ძირის ფესვთა რიცხვი	ფესვთა დიამ. (მმ)	ფესვთა სიგრძე (სმ)			
1 ჯგუფი	1	თავწითელა	3,3	4,8	65	3,6	2,0	35	9,3	1,0	10	7-4	4,5	60
	2	დონდლლაბი-მჭკნარა	2,5	3,5	65	2,8	2,4	35	7,0	1,5	10	7-4	4,0	60
	3	ცი ც ქ ა	2,2	4,1	70	2,5	2,5	40	8,0	1,1	10	7-4	3,5	60
	4	დიუ-ლო	2,1	4,7	65	2,0	2,5	35	7,0	1,2	10	7-4	4,5	60
2 ჯგუფი	5	რიბ.-რუბ. 10114	2,2	4,5	65	2,0	2,0	35	6,0	1,2	10	7-4	4,5	60
	6	ალექსანდრეული	0,3	3,2	35	1,3	2,0	30	5,0	1,5	10	7-4	0,9	40
	7	ბაზალეთ. ცოლიკოური	1,6	3,5	45	2,0	2,0	40	6,5	1,0	10	6-5	2,8	40
	8	ოცხანური საფერე	0,5	3,6	35	1,5	1,8	30	5,0	0,9	10	5-4	2,8	40
3 და 4 ჯგ.	9	კრახუნა	0,5	3,0	35	3,0	2,2	30	5,0	1,0	10	5	1,3	40
	10	ობჩური ცოლიკოური	0,6	2,8	40	2,3	2,0	35	4,5	1,2	10	6-5	2,6	40
	11	მგალობლიშვილი	0,2	2,8	35	1,8	1,8	30	4,0	0,8	10	5	1,4	40
	12	ძველშავი	0,8	2,4	25	2,7	1,8	20	8,0	0,9	10	4	1,1	40
3 და 4 ჯგ.	13	ქვიშური	—	—	—	0,5	1,9	10	3,0	0,8	10	3	0,9	20
	14	მაჭანური-საფერე	—	—	—	0,5	1,9	10	3,0	0,9	10	3	0,9	20

(ცხრილში მოყვანილი რიცხვები საშუალოა 100 ძირისათვის).

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ პირველი ჯგუფის ჯიშთა (თავწითელა, დონდლლაბი-მჭკნარა, ციცქა, დიუ-ლო, 101¹⁴) ნაბატის სიდიდე, მერქნის დიამეტრი, ფესვთა რიცხვი და მათი დიამეტრი 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე მეორე ჯგუფის ჯიშებისა (ალექსანდრეული, ბაზალეთური ცოლიკოური, ოცხანური საფერე, კრახუნა) და 2-ჯერ მეტი, ვიდრე მესამე და მეოთხე ჯგუფი ჯიშებისა (ობჩური ცოლიკოური, მგალობლიშვილი, ძველშავი, ქვიშური და მაჭანური საფერე)¹.

1. იმავე ჯიშებზე ჩატარდა ფოთლებისათვის ფილოქსერის გაღების შეყრა. თუმცა ეს ყველა ჯიშს შეეხო, ფილოქსერის გადაღება ახლად გამოტანილი ფოთლებსა და მეზობელ ვაზებზე ადგილობრივ ჯიშებს არ შესტყობია.

2. ფილოქსერაშეყრილ ადგილობრივი ჯიშების გაღები სიდიდითა და რაოდენობით ბევრად ნაკლებია ამერიკულ ჯიშებისაზე.

¹ მეოთხე ჯგუფის ჯიშებს პირველხარისხოვანი ფესვები არ გააჩნია.

ციცქას შენახული აქვს ფესვთა სისტემისა და მიწისზედანაწილის სი-
 ძლიერის განვითარების კანონზომიერება, მაშინ როდესაც მგალობლიშვილის,
 კრახუნასა და ცოლიკოურის ფესვთა სისტემა დაჩაგრულად გამოიყურება.

3. ფილოქსერაზეყრილი ამერიკული ჯიშების ფოთლებისა და რქის ზრდა
 ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით ბევრად შეგვიანებულია.

საკმარისია ამერიკულ ჯიშებს გალა შეეყაროს, რომ იგი თავისი კერიდან
 თავისთავად გადავიდეს მეზობელ ვაზებსა და ახლად გამოტანილ ფოთლებზე,
 რომელთა ზრდაც დიდად ბრკოლდება.

ფილოქსერის შეყრა ხსენებული ჯიშების ფესვებზე შემდეგს გვიჩვენებს:

პირველი ჯგუფის ვაზთა ფესვები ერთობ კარგად არის განვითარებული,
